შევარდნაძე მინისტრების შეცვლას ჯერ არ აპირებს A2

სკანდალური ქართული ფინიში A7

ტელეფონის დონის აღსასრული B4

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ხუთშაბათი, 20 ივნისი, 2002 წელი. №18

ფასი 50 თეთრი

## შესაძლებელია, თბილისის საკრებულოს არჩევნები სასამართლომ ბათილად ცნოს

თამარ მჭედლიშვილი

**დღეს თბილისის საოლქო სასამართლო განიხილავს "ნაციონალური მოძრაობის" სარჩელს. თუ სარჩელი დაკმაყოფილდა, რისი საკმაოდ დიდი ალბათობაც არსებობს, და აღდგა ცესკოს დადგენილება არჩევნების შედეგების გადახედვის შესახებ, მოვლენები, შესაძლოა, ასე განვითარდეს:**

**- შეიცვალოს არჩევნების შედეგები;**

**- რამდენიმე უბანში ხელახლა გაიმართოს არჩევნები;**

**- სასამართლომ მთლიანად ბათილად ცნოს თბილისის არჩევნები. ამ შემთხვევაში არჩევნები, ალბათ, შემოდგომისთვის გადაიდება.**

**თუ მესამე ვარიანტი გათამაშდა, პოლიტიკური სიტუაცია უკიდურესად დაიძაბება.**

*არჩევნებიდან თითქმის სამი კვირის შემდეგაც არავინ უწყის, როდის გაიმართება თბილისის ახალი მოწვევის საკრებულოს პირველი სხდომა. ცენტრალური საარჩევნო კომისია, შედეგების დამტკიცების მიუხედავად, სხდომის დანიშვნას ვერ ახერხებს. ამას საკმაოდ სერიოზული მიზეზი და არგუმენტი აქვს. საქმე ის არის, რომ ორი დღის წინ, თბილისის საოლქო სასამართლომ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა სრული დაცვით, შეაჩერა თბილისის არჩევნების შედეგების ოქმის მოქმედება და "ნაციონალური მოძრაობის" მიერ შეტანილი სასარჩელო განცხადების განხილვა დღეს დანიშნა.*

ერთი სიტყვით, სააკაშვილის გუნდი და კიდევ სამი პარტია კვლავ დაჟინებით ამტკიცებენ, რომ არჩევნები ტოტალურად გაყალბდა. ისინი თბილისის საოლქო სასამართლოს საბოლოო ვერდიქტს ელოდებიან. ერთ-ერთი პარტიის საჩივრის დაკმაყოფილებაც კი, პოლიტიკურ პროცესებს ერთობ გაართულებს და აზრს დაუკარგავს ლეიბორისტებისა და "ნაციონალების" შეთანხმებას საკრებულოს თავმჯდომარის თაობაზე.

გაგრძელება A2 გვერდზე

## ფრთხილად, პრეზიდენტს იცავენ!

B6



ძია სემი, როგორც ყოველთვის, ხელგაშლილია A2

აორთქლებული საბუთის საქმე A4

პრეზიდენტი პუტინი რუსულ პრესას შეღავათებს უუქმებს A4

შეიქმნება თუ არა რუსეთ-ბელარუსის საკავშირო სახელმწიფო A5

სპორტის სასახლეში არ ლოცულობენ A6

გზააბნეული ჯარისკაცები იარაღს აბარებენ A7

"გრანტიჭამია" არასამთავრობო ორგანიზაციები და "ანგაჟირებული" პოლიტიკოსები A8

"გიხაროდენ" - რიმეიქი A8

როგორ ეზიარნენ ქართველები ჯაზს B7

### ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 19 | |
| ქუთაისი | 22 | |
| ბათუმი | 20 | |
| სოხუმი | 19 | |
| ფოთი | 21 | |
| თელავი | 18 | |
| ზუგდიდი | 22 | |
| გორი | 17 | |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.2200 |
| ევრო | 2.1174 |
| ფუნტი სტერლინგი | 3.3138 |
| რუბლი | 0.0706 |

## ნატახტარის საქმის დეტალები

ინგა ალავიძე

შინაგან საქმეთა სამინისტროს იზოლატორში დაკავებულ სიმონ მჭედლიძეს დღეს ორთაჭალის ციხეში გადაიყვანენ. გუშინწინ, "ნატახტრის" საგუშაგოს სიახლოვეს, იარაღთან ერთად დაპატიმრებული სიმონ მჭედლიძე სამხედრო პროკურატურამ გუშინ უკვე ბრალდებულად გამოაცხადა და ისანი-სამგორის სასამართლომ მას სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა. სიმონ მჭედლიძემ გამოძიებას ვრცელი ჩვენება უკვე ჩააბარა. ჩვენების დეტალებიდან მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ უშიშროების მაიორი "ტყის ძმების" მეთაურის, დავით შენგელიას განცხადებას, თითქოსდა სამხედრო შეიარაღება მას პარტიზანებისთვის მოჰქონდა, კატეგორიულად უარყოფს. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, მჭედლიძემ ჩვენებაში დაადასტურა, რომ იგი სამსახურიდან თავისუფალ დროს შაქრო კალაშოვს ემსახურებოდა. თქვა ისიც, რომ იარაღი კალაშოვის დავალებით შეიძინეს ცხინვალში და მიჰქონდათ კალაშოვთან სახლში, წყნეთში. ერთი სიტყვით, ნატახტარის საქმის მთავარ გმირად შაქრო კალაშოვი მისმა "ხელქვეითმა" დაასახელა.

გამოძიებას ჩვენება არ მისცა არტურ ლუდკოვმა. იგი დუმილის უფლებას იყენებს, მანამდე, სანამ არ შეხვდება რუსეთის საელჩოს წარმომადგენლებს.

გაგრძელება A7 გვერდზე

## დავით შენგელია ხელბორკილების მოლოდინშია

**— როგორც ჩვენთვის ცნობილია, სამხედრო პროკურორი ტელეფონით დაგიკავშირდათ და ჩვენების მისაცემად პროკურატურაში მისვლა გთხოვათ. აპირებთ თუ არა ჩვენების მისაცემად მისვლას?**

— პროკურორი კი არ დამიკავშირდა, მე თავად დავურეკე მას — სანამ გუშინ პირდაპირი ეთერით გავაკეთებდი განცხადებას. პირველ რიგში, სწორედ გია ჯიქიას გავაგებინე, რომ დაკავებული იარაღი ჩემი იყო და ვუთხარი, ჩვენება ჩამომართვით-თქო. გუშინდელს შემდეგ ველოდები, როდის დამიძახებენ.

**— თითქმის არავის სჯერა, რომ იარაღი მართლაც თქვენ გეკუთვნოდათ. თანაც დაკავებული უშიშროების თანამშრომელიც თქვენზე არაფერს ამბობს. აქედან გამომდინარე, ფიქრობენ, რომ ყველაფრის თქვენ თავზე აღება სხვებმა გთხოვეს.**

— ის კაცი რომ არ მახსენებს, ერიდება, ალბათ. არ უნდა ამ საქმეში გამხვიოს, მაგრამ მე ხომ ვერ გავჩერდები, როცა ჩემს გამო კაცს ციხეში სვამენ.

**— თუ იარაღი პარტიზანებს ეკუთვნოდათ, მანქანის მოძრაობის მარშრუტი ცოტა უცნაურად გამოიყურება. ცხინვალიდან თბილისისკენ რატომ მოჰქონდათ აფხაზეთში საომრად განკუთვნილი იარაღი?**

— საქმე ის არის, რომ მარნეულიდან კიდევ მქონდა იარაღი წამოსაღები. ამიტომ ცხინვალიდან გამოტანილი იარაღი მცხეთაში უნდა დაებინავებინათ, იქვე ჩაგვეტანა იარაღი მარნეულიდან და ყველაფერი ერთად წაგვეღო. თორემ, სად გვაქვს იმდენი საშუალება პარტიზანებს, თითო ნაყიდი იარაღის გადასაზიდად ცალ-ცალკე მანქანები ვიშოვოთ.

**— როგორც ვიცით, გუშინწინ პირდაპირ ეთერში გაკეთებული აღიარების შემდეგ წყნეთში, კანონიერ ქურდთან — შაქრო კალაშოვთან წახვედით და მასთან სერიოზული საუბარი გქონდათ.**

— არსად არ წავსულვარ. ტელევიზიით რომ გამოვედი, ახალი ჩამოსული ვიყავი თბილისში, ძალიან დაღლილი და სახლში წავედი. თანაც კალაშოვს საერთოდ არ ვიცნობ.

**— მაგრამ, როგორც ამბობენ, ის იარაღით ადრე მართლაც დაგხმარებიათ.**

— არასოდეს. კი, მე ვიცნობ ზოგიერთ ქურდს, მაგრამ კალაშოვს, შვილებს გეფიცებით, არასდროს შევხვედრივარ.

**—თქვენ ამბობთ, რომ კალაშოვი იარაღის შესყიდვაში დაგეხმარათ. თუ პირადად არ იცნობთ, რატომ გეხმარებოდათ, ან როგორ გახვედით მასზე?**

— მე ათასი გზა მაქვს, რომლითაც ხალხს ვუკავშირდები და მეხმარებიან. ეს მარტო ჩვენი ხელისუფლებაა, დახმარების ნაცვლად, სიმწრით ნაშოვნ იარაღს რომ მართმევს.

**— იმ დღეს, როცა კალაშოვის მანქანა დააკავეს, თქვენ პირდაპირი ეთერით იარაღის დაბრუნებას იხვეწებოდით. ახლაც ფიქრობთ, რომ იარაღი მართლაც შეიძლება დაგიბრუნონ?**

— ახლა მე იარაღის დაბრუნებას კი არა, დაჭერას ველოდები.

*ესაუბრა* ***სოფო ჩხაიძე***



## ივანოვი ამტკიცებს, რომ შევარდნაძე და ალიევი ნარკობიზნესში არ დაუდანაშაულებია...

### მამხილებელი მასალის არქონის გამო

რუსუდან ნიკურაძე
*საქ.კორ. მოსკოვში*

9-10 ივნისს ბათუმში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია თემაზე "ნარკოტიკებისა და ნარკომაფიის წინააღმდეგ ბრძოლა". კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ მსოფლიოს 40 ქვეყნის სამთავრობო და საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლები. ამ ფორუმზე გამოსულმა რუსეთის საზოგადოებრივი ორგანიზაციის - "რუსეთი ნარკოტიკების

გაგრძელება A3 გვერდზე

## „ბესტ ეფორტ 2002„ - ნატო ბინძური ფეხებითა და სუფთა ხელებით

თენგიზ გოგოტიშვილი
*„რუსთავი 2„*
*სპეციალურად „24 საათისთვის„*

ამ დღეებში ნატო საქართველოში მართლაც ბინძურ კვალს სტოვებს. მათი "ბატინკები" მესამე დღეა, ზელენ ვაზიანის ტალახს, რომელსაც, უამინდობის გამო, არა და არ ეღირსა გაშრობა.

მესამე დღეა, დაიწყო "ქოოფერეითივ ბესტ ეფორტის" ტაქტიკური წვრთნის ნაწილი, რომლის დროსაც ჯარები უშუალოდ ამუშავებენ იმას, რასაც იქამდე კლასებში სწავლობენ.

პირველი დღე ფიზიკურ ვარჯიშს დაეთმო - ჯარისკაცები, თქვენ რომ მაგრები მხოლოდ იმიტომ გგონიათ, რომ მათი ქვეყნები ნატოს წევრები არიან, მაგრები სულაც არ ყოფილან.

გაგრძელება A3 გვერდზე

A2 პოლიტიკა A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 თვალსაზრისი

B1 სპორტი B2 სპორტი B3 სპორტი B4 ექსკლუზივი B5 სტილი B6 კულტურა B7 კულტურა B8 სხვადასხვა

## პარლამენტის ალყა მშვიდობიანად დასრულდა

გუშინ, დღის პირველ ნახევარში, საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო ალყაში იყო მოქცეული: პარლამენტის შენობის წინ მიმდინარეობდა "ზვიადისტური" ორგანიზაციების წარმომადგენელთა მიტინგი, მიმდებარე ქუჩა კი "ადვოკატთა შესახებ" კანონში ცვლილებების შეტანის მოწინააღმდეგეებმა გადაკეტეს. ეს უკანასკნელნი პარლამენტის თავმჯდომარესთან შეხვედრას ითხოვდნენ. ნინო ბურჯანაძემ პლენარულ სხდომაზე სინანული გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ იურიდიულ ეთიკას სწორედ ადვოკატები არღვევენ (აქციაში ადვოკატთა კოლეგიის თავმჯდომარე ნუგზარ ბირკაიაც მონაწილეობდა). იგი უარს აცხადებდა მათ წარმომადგენლებთან შეხვედრაზე მანამდე, ვიდრე პარლამენტზე ზეწოლა არ შეწყდებოდა და ქუჩა არ გათავისუფლდებოდა. მომიტინგეებმა სპიკერის წინადადება მიიღეს და ჭიჭინაძის (ყოფილი შევჩენკოს) ქუჩაზე ავტომობილების მოძრაობა აღდგა, რის შემდეგაც აღნიშნული შეხვედრაც შედგა.

გუშინდელი შემთხვევა უფრო გაუგებრობის ბრალი იყო: ორშაბათს გამართული პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილებით, "ადვოკატთა შესახებ" კანონში ცვლილებების შეტანის საკითხი გუშინდელი პლენარული სხდომის დღის წესრიგში შევიდა, მაგრამ სამშაბათის სხდომაზე გადაწყდა, რომ განხილვა პარასკევისთვის გადატანილიყო, რაც გუშინდელი აქციის მონაწილეებმა არ იცოდნენ და პარლამენტთან შეიკრიბნენ.

ამ გაუგებრობის გამო ყველაზე დიდი საფრთხე კობა დავითაშვილს დაემუქრა: მომიტინგე ადვოკატებმა კოლეგა დეპუტატი ხელში ჩაიგდეს და, ადვოკატთა ატესტაციის მხურვალე მხარდამჭერისთვის, მისი "სამაგალითო დასჯა" განიზრახეს. "ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელი მოწინააღმდეგეებს იოლად დაუსხლტა და თავი შეაფარა პარლამენტის შენობას.



*პარლამენტის ბლოკირების მცდელობა*

ბესო გულაშვილის ფოტო

## ძია სემი, როგორც ყოველთვის, ხელგაშლილია

### ამერიკა საქართველოს 103 მილიონი დოლარით დაეხმარება

ზაზა წულაძე

*ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა გუშინ გამოაქვეყნა 2002 წელს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში (დსთ) შემავალი კავკასიის სამი და ცენტრალური აზიის ხუთი სახელმწიფოს დახმარების დეტალები. ამერიკის ბიუჯეტიდან ყველაზე მეტი თანხა, 193 მილიონი დოლარი უზბეკეთს ერგო, საქართველო და სომხეთი კი მთელი წლის მანძილზე 103-103 მილიონ დოლარს მიიღებენ.*

ყველაზე დიდ თანხას, 31,7 მილიონ დოლარს, ამერიკა საქართველოს უსაფრთხოების განმტკიცების პროგრამებისთვის გამოყოფს. სახელმწიფო დეპარტამენტის განმარტებით ბარათში ნათქვამია, რომ ვაშინგტონი გააგრძელებს ახალგაზრდა ქართული სახელმწიფოს უსაფრთხოებისთვის მოწოდებული სამხედრო პროგრამების დაფინანსებას, კერძოდ, განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება საქართველოს საზღვრების დაცვისა და სამართალდამცავი სტრუქტურების (უშიშროება, თავდაცვის და საზღვრის დაცვის დეპარტამენტები) მხარდაჭერაზე. ამ პროგრამის ფარგლებში, ამერიკა გააგრძელებს საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტისთვის კომუნიკაციის, მსუბუქი სამხედრო ტექნიკის გადაცემასა და კადრების მომზადების დაფინანსებას. ასევე გადაწყვეტილია საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და საზღვაო ძალების სამსახურის დახმარება, რათა გაძლიერდეს სახელმწიფო საზღვრების კონტროლი და აღიკვეთოს საბრძოლო იარაღისა და ნარკოტიკების ტრანზიტი. ნიშანდობლივია, რომ არსად არ არის ნახსენები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

სახელმწიფო დეპარტამენტი ასევე აღნიშნავს, რომ მაისში თბილისში დაწყებული სამხედრო დახმარების - "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამაზე გამოყოფილი 64 მილიონი დოლარი, უცხოური სამხედრო დახმარების ხაზით, "თავისუფლების მხარდაჭერის" კანონის ფარგლებში დაიფარება. საინტერესოა, რომ სახელმწიფო დეპარტამენტი არ გამორიცხავს ამ პროგრამის გაგრძელებას, დამატებითი ასიგნირების მოთხოვნისა და საკრედიტო ვალდებულებების აღების ხარჯზე.

საბაზრო რეფორმებისთვის ვაშინგტონი 30,1 მილიონ დოლარს გვაძლევს. ამ პროგრამაში განსაკუთრებული აქცენტი ენერგეტიკის სექტორის რეფორმაზე გაკეთდება.

ასევე საუბარია საგადასახადო-საფინანსო-საბიუჯეტო სეგმენტების რეფორმირებაზე, მიწის პრივატიზაციის, მცირე და საშუალო ბიზნესისა და საბანკო სექტორის ფინანსურ მხარდაჭერაზე.

წელს 23,5 მილიონი დოლარი მოხმარდება საქართველოში დემოკრატიის მხარდამჭერი პროგრამების განხორციელებას. სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებით, დემოკრატიისა და სამართლებრივი რეფორმების გასაგრძელებლად ფინანსურ დახმარებას მიიღებენ არასამთავრობო ორგანიზაციები, დამოუკიდებელი მედია, სასამართლო ორგანოები. საინტერესოა, რომ 2002 წელს, თეთრი სახლი ყურადღებას ამახვილებს საქართველოში მომავალი თაობის ლიდერების ჩამოყალიბების პრობლემაზე. **"დახმარება ამ მიმართულებით სტიმულს მისცემს მათ, უკეთ გაანაწილონ რესურსები და ებრძოლონ კორუფციას,"** – ნათქვამია დეპარტამენტის განმარტებაში. ვაშინგტონის ინფორმაციით, 2001 წელს ამგვარი პროგრამებით საქართველოს 500-მა მოქალაქემ ისარგებლა და გაიარა სტაჟირება ამერიკაში. ასევე განსაზღვრულია იმ პროგრამების მხარდაჭერა, რომლებიც გააფართოებს ადგილობრივი ხელისუფლების, საქმიანი წრეებისა და მოსახლეობის ურთიერთობას, კოორდინირებულად გადაჭრან პრობლემები.

ჰუმანიტარული დახმარებისა და სექტორთშორისი ინიციატივების პროგრამებზე ამერიკამ, შესაბამისად, 13,4 და 4,5 მილიონი დოლარი გამოგვიყო. ამერიკის მთავრობა აგრძელებს ზამთრის პერიოდში განსაკუთრებით მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახებისთვის ელექტროენერგიის საფასურის დაფარვის პროგრამის ფინანსირებას. ვაშინგტონი ასევე გააგრძელებს საქართველოს ენერგოობიექტების მოდერნიზება-რეკონსტრუქციის პროგრამების მხარდაჭერას, რათა საქართველომ შეძლოს მისთვის სამყოფი ელექტროენერგიის გამომუშავება. **"ამერიკის მთავრობა კვლავაც განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს საქართველოს ენერგოსისტემის გრძელვადიანი რეკონსტრუქციის პროცესს,"** – აცხადებს სახელმწიფო დეპარტამენტი.

შეერთებული შტატების პრიორიტეტებია: კონკრეტული რაიონებისა და დევნილებისათვის ტექნიკური დახმარების გაწევა, ადგილობრივი მნიშვნელობის მცირე ბიზნეს-პროექტების გასახორციელებლად; კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ამერიკისა და საქართველოს საავადმყოფოებს შორის ექიმთა გაცვლის პროგრამები; წალკის, ციხისჯვრისა და თბილისის რამდენიმე პოლიკლინიკის დახმარება; მედიკამენტების, სამედიცინო ტექნიკის, სასკოლო ნივთებისა და ტანსაცმლის სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახებისათვის გადაცემა. სახელმწიფო დეპარტამენტი ასევე აცხადებს, რომ შეერთებული შტატები 2002 წელს დამატებით კიდევ 30 მილიონ დოლარს გამოყოფს იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალურ-მატერიალური მხარდაჭერისთვის. გარდა ამისა, ამერიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო, გლობალური ინიციატივის - "სურსათი განათლების მისაღებად" ფარგლებში, აპირებს საქართველოში 25 ათასი ტონა ხორბლის რეალიზაციას, საიდანაც მიღებული თანხა ქართული სკოლების დახმარების პროგრამაზე წავა.

2002 წელს ამერიკის ბიუჯეტში ყველაზე დიდი თანხა - 193 მილიონი დოლარი უზბეკეთისთვის არის გამოყოფილი, შემდეგ მოდიან საქართველო და სომხეთი (103-103 მილიონი), ტაჯიკეთი (98,1 მილიონი), ყაზახეთი (81,4 მილიონი), აზერბაიჯანი (54,9 მილიონი), ყირგიზეთი (49,9 მილიონი) და თურქმენეთი (16,9 მილიონი). საინტერესოა, რომ სომხეთის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად შტატები 10,2 მილიონს, ხოლო აზერბაიჯანისთვის - 13,6 მილიონ დოლარს გამოყოფს.

სულ, 1992 წლიდან, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, კავკასიის სამეულიდან ვაშინგტონი ყველაზე მეტი თანხით, 1,336 მილიარდი დოლარით, სომხეთს დაეხმარა, 1,1 მილიარდი დოლარი საქართველომ მიიღო (გარდა ამისა, კიდევ დამატებით 403 მილიონი - ამერიკის კერძო სექტორიდან და ფონდებიდან), აზერბაიჯანს კი მხოლოდ 450 მილიონი დოლარი ერგო.

## შევარდნაძე მინისტრების შეცვლას ჯერ არ აპირებს

### რჩეულიშვილი მთავრობაში მორიგი გამოსვლა...

თამარ ხორბალაძე

***"ჩვენ ავიყვანთ კონტროლზე ყველაფერს, რაც აქ ითქვა. ჩვენ განწყობილნი ვართ სათანამშრომლოდ. ჩვენ არ გვინდა განმეორდეს ის შეცდომები, რაც წინა პარლამენტმა დაუშვა. არ გვინდა აღიქვან, თითქოს ავთანდილ ჯორბენაძის "მოქალაქეთა" თავმჯდომარედ არჩევით ახალი მმართველი პარტია ყალიბდება. ჩვენ გვქონდა კონსულტაციები სახელმწიფო მინისტრთან და ვიზიარებთ მის განწყობას... "*** *– მოახსენა გუშინდელ მთავრობის სხდომას სტუმრის სტატუსით მიბრძანებულმა "სოციალისტთა" ლიდერმა, პარლამენტის ვიცე-სპიკერმა ვახტანგ რჩეულიშვილმა.*

*("24 საათთან" საუბრისას მან დააზუსტა, რომ კონსულტაციები სახელმწიფო მინისტრთან სოციალისტთა ფრაქციას ჰქონდა, დანარჩენ შემთხვევებში სიტყვა "ჩვენში" თამამად შეგიძლათ პარლამენტის კომიტეტების ახალარჩეული ხელმძღვანელებიც მოიაზროთ).*

*მოკლედ, გუშინ რჩეულიშვილი მთავრობაში იმ პარლამენტს წარმოადგენდა, რომელთან ურთიერთობაც საქართველოს პრეზიდენტს, მისივე აღიარებით, საკმაოდ გაუიოლდა.*

გუშინ, მთავრობის სხდომაზე, ვახტანგ რჩეულიშვილს სპეციალური და უკვე ტრადიციული მისია ჰქონდა დაკისრებული. მან პრეზიდენტს და, ამჯერად, სახელმწიფო მინისტრსაც თანამშრომლობა კიდევ ერთხელ შესთავაზა. თუმცა, წინა სკანდალური სტუმრობისგან განსხვავებით, არ უცდია პრესის წინააღმდეგ გალაშქრება.

მეტიც, ვახტანგ რჩეულიშვილმა ავთანდილ ჯორბანაძეს პრესასთან ურთიერთობაში მეტად "სასარგებლო რჩევებიც" მისცა: **"ავთო, რომ თქვი მინისტრები იქ არ არიან, სადაც უნდა იყვნენო, ეს პრესაში ცუდად გაშუქდა. ახლა მინისტრები რომ გაუშვა, იტყვიან, ჟვანიას გუნდში იყვნენო და ატეხავენ ერთ ამბავს..."**

ამ უხერხული სიტუაციიდან გამოსავალი "სოციალისტთა" ლიდერმა ჯორბენაძეს მთავრობის სხდომაზევე შესთავაზა. ურჩია, უკვე განთავისუფლებული მინისტრების და სხვა სახელმწიფო მოხელეების საქმეების შესწავლა, მათი პასუხისმგებლობის საკითხის წამოწევა. სავარაუდო კანდიდატურებიც იქვე დაასახელა: **"ახალი რომ მოვიდა საბაჟოზე, კარგია, მაგრამ რატომ არ ვსაუბრობთ, ქისტაურმა რა გააკეთა? სხვა განთავისუფლებულმა მინისტრებმა რა გააკეთეს? მაგალითად, მაჭავარიანმა... ხო, მაჭავარიანი თავისით წავიდა, მაგრამ... სააკაშვილმა რა გააკეთა იუსტიციის სამინისტროში? თქვას ახალმა მინისტრმა და თუ გააკეთა რამე, პატივი მივაგოთ, თუ არა და... მე მეცოდება ხალხი, თბილისი! მინისტრები უნდა დაისაჯონ არა იმიტომ, რომ რომელიმე პარტიის წევრები არიან, არამედ იმიტომ, რომ დანაშაული ჰქონდათ ჩადენილი... გნებავთ უშიშროების საბჭოზე განვიხილოთ, გნებავთ, პარლამენტში შევქმნით შესაბამის კომისიას..."** – სასწრაფოდ დასახა მოქმედების სავარაუდო გეგმა ვახტანგ რჩეულიშვილმა და ბოლოს რუსეთთან ურთიერთობის საკუთარი გამოცდილების გაზიარებაც შესთავაზა ქვეყნის მეთაურს.

საქართველოს პრეზიდენტმა რჩეულიშვილის **"შენიშვნა ცნობად მიიღო"**. ნაგავსაყრელი არ უხსენებია. უბრალოდ, შეახსენა: **"კადრების შერჩევისას ბევრი შეცდომა დავუშვით. თუ ვინმემ უნდა აგოს პასუხი ამ შეცდომებზე, პასუხი უნდა აგოს იმან, ვინც ხელს აწერს დანიშვნაზე. დანიშვნაზე ხელს პრეზიდენტი აწერს..."**

გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მინისტრების უმეტესობისადმი არ აქვს ისეთი პრეტენზიები, რომ მათ ყოფნა-არყოფნაზე იყოს საუბარი. ეს განცხადება სპეციალურად პრესისთვის იყო გაკეთებული და, სავარაუდოდ, ოთხმინისტრიანი "შავი სიის" გაუქმებას, ან დროებით მისგან აქცენტის გადატანას ისახავდა მიზნად (მართალია, ედუარდ შევარდნაძე პიტერ შოუს გატაცებასთან დაკავშირებით გუშინვე დაემუქრა ძალოვანებს თანამდებობიდან გათავისუფლებით, თუმცა, ეს უკვე სულ სხვა თემა და საუბრის საგანი გახლავთ).

რჩეულიშვილის პირადი ინიციატივისგან განსხვავებით, შევარდნაძეს უყურადღებოდ არ დაუტოვებია მის მიერ გახმოვანებული შეთავაზება პარლამენტის კომიტეტებისა და მთავრობის ურთიერთთანამშრომლობის გააქტიურების შესახებ. საკანონმდებლო ხელისუფლებაში შექმნილ ახალ რეალობასთან დაკავშირებით, ქვეყნის მეთაურმა განსაკუთრებული კმაყოფილება გამოთქვა: **"ამ ბოლო დროს პარლამენტთან უფრო იოლი გახდა მუშაობა. უმეტესობა საკითხებისა უფრო ადვილად წყდება..."**



*რჩეულიშვილი კმაყოფილია.*

ბესო გულაშვილის ფოტო

## გუშინ პარლამენტში...

პარლამენტის გუშინდელ პლენარულ სხდომაზე დეპუტატებმა მიიღეს კანონი "საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ", მეორე მოსმენით დაამტკიცეს კანონპროექტი "უმაღლესი კვალიფიკაციის სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების ატესტაციის შესახებ". პარლამენტარებმა მხარი არ დაუჭირეს ასევე მეორე მოსმენით განხილვისთვის წარმოდგენილ კანონპროექტს "დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ". გუშინვე პარლამენტში დაიწყო საგადასახადო კოდექსში შესატანი ცვლილებების პირველი მოსმენით განხილვა. კანონპროექტი წარმოადგინა ფინანსთა მინისტრის პირველმა მოადგილემ, ლევან ჩრდილელმა. საკითხის განხილვა დღევანდელ პლენარულ სხდომაზე გაგრძელდება.

* * *

დილის პლენარულ სხდომაზე ასეთი კურიოზი მოხდა: პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ისე აქტიურად გადაერთო დარბაზში მიმდინარე მოვლენებზე, რომ სხდომის გაგრძელება რაღაც საკითხზე მოსათათბირებლად პრეზიდიუმში ასულ და მის გვერდით აღმოჩენილ ზაზა სიორიძეს დაავალა, რომელიც ვიცე-სპიკერი გიგი წერეთელი ეგონა. კაზუსი მალევე გამოსწორდა – სხდომის წამყვანის სავარძელი სხვა ვიცე-სპიკერმა, ვახტანგ ყოლბაიამ დაიკავა.

## შესაძლებელია, თბილისის საკრებულოს არჩევნები სასამართლომ ბათილად ცნოს

პირველი გვერდიდან

"სოციალისტები", "ეროვნულ-დემოკრატები", "სახალხოელები" და "ნაციონალური მოძრაობა" კვლავ ამომრჩეველთა სიების გადამოწმებას და ბიულეტენების გახსნას ითხოვენ. ისინი სასამართლოს იმის დადგენასაც სთხოვენ, თუ რამდენად სამართლიანად მოიქცა "ცესკო", როცა არჩევნების შედეგები ისე დაამტკიცა, რომ არ განიხილა პარტიების მიერ შეტანილი საჩივრები.

ამასთან, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას "სოციალისტებმა" და "სახლხოელებმა" კიდევ ერთი სერიოზული ბრალდება წაუყენეს. დენის დავითაშვილი ამტკიცებს, რომ **"2 ივნისს, თბილისში, ადგილობრივი არჩევნები, ფაქტობრივად, არ ჩატარებულა და "ცესკომ", ამ არჩევნების შედეგების ცნობით, კრიმინალი ჩაიდინა. მან 6 895 ხმა ყალბად მიაწერა სხვადასხვა პოლიტიკურ სუბიექტს".**

მართალია, "სოციალისტების" სარჩელი თბილისის საოლქო სასამართლომ ორი დღის წინ არ განიხილა, მაგრამ დენის დავითაშვილი იმედოვნებს, რომ სასამართლო კოლეგიას ამის გაკეთება უკვე დღეს მოუწევს. ამჟამად, სასამართლო "ნაციონალური მოძრაობის" სარჩელს განიხილავს. ხვალ კი დაგეგმილია "ეროვნულ-დემოკრატებისა და სახალხოელების" სასარჩელო განცხადებების მოსმენა

**"ბოლომდე ვიბრძოლებთ, სხვა გამოსავალი არ გვაქვს. სასამართლო "ცესკოს" ქმედებას უკანონოდ ცნობს. ამაში დარწმუნებულები ვართ. წინააღმდეგ შემთხვევაში მასობრივ გამოსვლებს ვერაფერი შეაჩერებს",** - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას კომისიაში "სახლხოელთა" ინტერესების დამცველმა პაატა კიკვაძემ. ერთი სიტყვით, ვითარება ძალზე არაპროგნოზირებადია და წინასწარ იმის თქმა, თუ როგორ დამთავრდება საოლქო სასამართლოსა და პარტიათა ჭიდილი - შეუძლებელი.

ცენტრალური საარჩევნო კომისია ახლა მხოლოდ პასიური დამკვირვებლის როლით იფარგლება. თუმცა კულუარულ საუბრებში მისი წევრები აღიარებენ, რომ დღევანდელი პროცესი ძალზე დრამატული იქნება. საგულისხმოა, რომ "ცესკოში" ოფიციალური კომენტარისგან ყველა თავს იკავებს, მაგრამ არ გამორიცხავენ, რომ სააკაშვილი მაინც მიაღწევს გამარჯვებას – **"თუნდაც მოსამართლეებთან მისი ხანგრძლივი და მჭიდრო კავშირების გამო".** (ბოლო დღეებში განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე, რამდენად ხელსაყრელი იქნება ეს გამარჯვება თვითონ სააკაშვილისთვის, ცოტა ბუნდოვანია...)

სხვათა შორის, ანალოგიური ვითარებაა რუსთავის საკრებულოს ირგვლივაც. იქაც არ არის ცნობილი, თუ როდის გაიმართება პირველი სხდომა. ლეიბორისტული პარტია არჩევნების შედეგებს სასამართლოში აპროტესტებს. საქმე წარმოებაშია მიცემული და მთავარი სხდომის გამართვამდე რუსთავშიც შეჩერებულია შედეგების ოქმის მოქმედება. "ცესკოში" შესულია რუსთაველ "ლეიბორისტთა" საკმაოდ მძიმეწონიანი საჩივარი, მაგრამ მის განხილვაზე კომისიის წევრებმა ერთსულოვნად თქვეს უარი – ამჯერადაც იმ მოტივით, რომ **"საბოლოო გადაწყვეტილებას სასამართლო მიიღებს".**

და ბოლოს: ორი დღის წინ თბილისის წინა მოწვევის საკრებულომ თავისი საქმიანობა უკვე ოფიციალურად დაასრულა და ბოლო სხდომა გამართა.

გამომცემელი: რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი) , ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი), დამატებები: დედაქალაქი-დავით მაღრაძე, ლიტერატურა-მალხაზ ხარბედია, სამყარო-ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი-ნიკოლოზ რურუა, სტილი-ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა-ზაზა ფაჩუაშვილი. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი), დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიტო შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია. სტილი: ნანა ჭოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, მზია შომახია.ჭუანშერ ტიკარაძე. რეკლამა-ზურაბ ჭაოშვილი.

# ნატო ბინძური ფეხებითა და სუფთა ხელებით

პირველი გვერდიდან

არ გაგიჭირდებოდათ ისეთი ნატოელი ჯარისკაცის ნახვა, რომელიც თავისივე მეგობრებს, ლამის ზურგზე მოკიდებულები მიჰყავდათ ფინიშის ხაზამდე.

ასე დაიმსხვრა პირველი ლეგენდა ქართულ ტალახში. უფრო ზუსტად, ჩაიფლო და ველარ ამოვიდა. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ქართველმა ჯარისკაცებმა გამოცდას საკმაოდ კარგად გაუძლეს - პირველ რიგში იმიტომ, რომ ამ სწავლებებისთვის საგანგებოდ შეარჩიეს მომზადებული ნაწილები. აბა, მეფისტოლა ხალხის წინაშე თავს ლაფს ხომ არ დავისხამდით (აკი გითხარით, ტალახი ისედაც საკმარისზე მეტია-მეთქი)?!

ფაქტია, რომ ქართველ ჯარისკაცს ყველა აქებს. განსაკუთრებით იმიტომაც, რომ პოლიგონზე შექმნილ ექსტრემალურ პირობებთან კარგად შეგუებულები აღმოჩნდნენ (ამათ რა იციან, რა არის ექსტრემალური პირობები ქართულ ჯარში!).

სხვამხრივ კი, "ბესტ ეფორტი," ძირითადად, ისეთივე სწავლებაა, როგორიც უნდა იყოს "მშვიდობისთვის პარტნიორობის" პროგრამის ნებისმიერი სწავლება. ერთი გამონაკლისის გარდა - პირველად ამ პროგრამის ისტორიაში, გუშინ საცეცხლე ხაზზე სამასი ჯარისკაცი იდგა. ასეთი მასშტაბურობა აიხსნება სურვილით, ყველა ჯარისკაცი დაეუფლოს ყველა ტიპის შეიარაღებას. სამხედროების ენაზე ამას სხვადასხვა ქვეყნების არმიებს შორის თავსებადობის ზრდა ეწოდება - ქართველი ჯარისკაცი კანადელთან ან ბრიტანელთან ერთად ბრძოლის ველზე რომ მოხვდეს, მისი იარაღიდან სროლა ან მისი რადიოსადგურით შტაბის გამოძახება უნდა მოახერხოს.

ყველაფერი ეს სწავლების სცენარში დევს - ამ ვარჯიშებს სხვადასხვა ქვეყნის ჯარისკაცები სხვადასხვანაირი წარმატებით ასრულებენ, თუმცა, "ბესტ ეფორტის" ხელმძღვანელები "თათარიახნად" ჩამოყალიბებული 15-ეროვანი ბატალიონის საბრძოლო მომზადების დონით, ძირითადად, კმაყოფილნი არიან.

პირველ დღეს ოცეულებმა სულ ჩორთით ირბინეს - წვიმა არც უგრძვნიათ, ფორმა ზედვე აშრებოდათ. შემდეგ იხოხეს, იხტუნეს და იძრომიალეს. ვინც სველ და მოყანყალე ძელზე ვერ გაიარა, მკაცრმა სერჟანტებმა ათი აზიდვით (ახალქართულად "ატჟიმანია" რომ ჰქვია) დასაჯეს. ვინც გაიარა, ისიც ზედ მიაყოლეს. ჯარი ჯარია, გინდ რუსული ყაიდის "დედოვშჩინა" დაარქვით და გინდ - ნატოური დისციპლინა. ბოლოს კი საკუთარი "მკვდრები და დაჭრილები" ტალახიან ალმართებში ათრიეს. ამჯერად მკვდრებსა და დაჭრილებს გაუმართლათ, ვინც მათ "გვამებს" დაარბენინებდა - არა. ნამდვილ ომში, ცხადია, ყველაფერი პირიქით იქნება.

გუშინ კი ყველამ ყველაფერი ისროლა - კანადელებს "კალაშნიკოვები" მოეწონათ, ქართველებს - "გლოკები", სომხებს - "ემ-16"-ები. ყველას ერთად კი - მსხვილკალიბრიანი სნაიპერული "ფალკონები", ნებისმიერი ჯარისკაცის ოცნების იარაღი.

ნატოს ტყვია-წამალი არ დანანებია. შეიძლება ითქვას, ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა და მისმა მეგობრებმა ვაზიანი "დაადუღეს". ამ დღისთვის საგანგებოდ აღადგინეს ვაზიანის ბაზის ზემოთ მაღლობზე განლაგებული დავით-გარეჯის პოლიგონის დასავლეთ ნაწილი. გაიყვანეს ელექტროკაბელები, დადგეს მოძრავი სამიზნეები, შეაკეთეს სამეთაურო პუნქტი. მოკლედ, დაუბრუნეს ის სახე, რომელიც აქაურობას საბჭოთა არმიის პოლიგონობისას ჰქონდა. თუმცა, ამჯერად საუბარია პოლიგონის მხოლოდ მცირე მონაკვეთზე - ტერიტორიის ძირითადი ნაწილი კვლავაც დაცულ ისტორიულ ძეგლად რჩება, რომლის შებღალვის უფლება სამხედრო ჩექმას არ აქვს, თუნდაც ყველაზე წმინდა განზრახვა ჰქონდეს და საქართველოში მხოლოდ მშვიდობის მტრედობა სურდეს.

# კარტოზიამ (პოლიტიკური) შეცდომა დაუშვა

თამარ ხორბალაძე

გუშინდელ მთავრობის სხდომაზე საქართველოს პრეზიდენტმა განათლების მინისტრს განმარტება მოსთხოვა საშუალო სკოლების ახალ პროგრამებთან დაკავშირებით.

**"ამბობენ, ჩვენი საშუალო სკოლების პროგრამების დამუშავება დასრულების პროცესშია და ამ პროგრამებში ქართულ ენასა და საქართველოს ისტორიას ძალიან პატარა ადგილი აქვს დათმობილი. თუ ეს მართალია, იცოდეთ, ძალიან სერიოზულ პოლიტიკურ შეცდომას უშვებთ..."** – განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ.

ამას ალექსანდრე კარტოზიას ვრცელი გამოსვლა მოჰყვა. მან განაცხადა, რომ, რეალურად, საქართველოს ისტორიის მსოფლიოს ისტორიის სწავლებასთან სინქრონიზება ხდება, რამაც ამ საგნის მნიშვნელობა კიდევ უფრო უნდა გაზარდოს; მინისტრმა აღნიშნა, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებას კვლავ პრიორიტეტული ადგილი უკავია სასწავლო პროგრამებში; თქვა, რომ ბოლო დღეებში ამ საკითხებთან დაკავშირებით ატეხილი აჟიოტაჟი გაუგებრობისა და არასწორი ინფორმაციის გავრცელების შედეგია.

მიუხედავად ასეთი განმარტებისა, მინისტრი ქვეყნის პირველი პირისგან შენიშვნას ვერ გადაურჩა. პრეზიდენტმა კარტოზიას განუმარტა, რომ ასეთი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხებისა და გადაწყვეტილებების შესახებ იგი ინფორმაციას ტელევიზიიდან არ უნდა იღებდეს და ისიც აღნიშნა, რომ სახელმწიფო პოლიტიკას ცალკეული სამინისტროები კი არა, მთლიანად მთავრობა ქმნის.



ალექსანდრე კარტოზია ბესო გულაშვილის ფოტო

# თანამდებობა ერთია, მისი დაკავების მსურველი - რამდენიმე



ელენე თევდორაძე ბესო გულაშვილის ფოტო

გიორგი ასანიშვილი

საპარლამენტო კომიტეტების ამასწინანდელი გადანაწილების შემდეგ ვაკანტური დარჩა ერთადერთი თანამდებობა – ადამიანის უფლებათა დაცვის, მოქალაქეთა პეტიციებისა და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის კომიტეტის თავმჯდომარის პოსტი. ამ თანამდებობიდან ელენე თევდორაძის გადაყენების შემდეგ უკვე თვეზე მეტი გავიდა, მაგრამ მისი შემცვლელის პოვნას არ დაადგა საშველი.

ბოლო დრომდე საქმე იქით მიდიოდა, რომ კაბინეტში მისი ძველი პატრონი უნდა დაბრუნებულიყო. თავად ელენე თევდორაძე აცხადებს, რომ მისმა ახალმა ფრაქციამ - "დემოკრატებმა" პარლამენტის ბიუროს მისი კანდიდატურა შესთავაზა და კომიტეტის ახალი თავმჯდომარის არჩევის საკითხი უკვე შეტანილია პარასკევის პლენარული სხდომის დღის წესრიგში. თუმცა, როგორც ირკვევა, ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ თევდორაძეს აირჩევენ: მისივე თქმით, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე თავისი კანდიდატურის წამოყენებას "ახალი მემარჯვენეებიც" აპირებენ, რომელთა ფავორიტის ვინაობა თევდორაძისთვის უცნობია.

ქალბატონი ელენეს სავარაუდო კონკურენტის დასახელებისგან თავს იკავებს "ახლების" ლიდერი დავით გამყრელიძეც და ამ საკითხზე საკმაოდ ზოგადად საუბრობს. **"კომიტეტის თავმჯდომარე თევდორაძე იქნება თუ სხვა ვინმე, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, ამ თანამდებობაზე ღირსეული პიროვნება ავირჩიოთ. სხვა ფრაქციებთან კონსულტაციები ჯერ არ გვქონია და, ამდენად, ვერ ვიტყვი, გვეყოლება თუ არა საკუთარი კანდიდატურა. აკვიატებული არა გვაქვს, რომ ამ თანამდებობაზე, მაინცადამაინც, ჩვენი ფრაქციის წარმომადგენელი უნდა იყოს,"** – აცხადებს გამყრელიძე.

კულუარული ინფორმაციით, ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის პოსტის დაკავება სანდრო ბრეგაძესაც სურს, მაგრამ გაურკვეველია, ფრაქცია "აღორძინება" წარადგენს თუ არა მის კანდიდატურას. ამდენად, კომიტეტის მომავალი თავმჯდომარის ვინაობის საკითხი კვლავ ბურუსით არის მოსილი.

# ტრადიციონალისტები - მედიკო მეზვრიშვილის წინააღმდეგ

## თელავის გამგებლის დაცვა რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატმა ითავა

გიორგი ასანიშვილი

ფრაქცია "ტრადიციონალისტის" წევრი ალეკო შალამბერიძე აცხადებს, რომ მის თანაგუნდელებს გადაწყვეტილი აქვთ, პარლამენტის დროებით საგამოძიებო კომისიას შესასწავლად გადასცენ თელავის რაიონის გამგებლის მედიკო მეზვრიშვილის მაკომპრომატირებელი მასალები. დოკუმენტები, მისი თქმით, კონტროლის პალატაში არსებობს. ასეთი ნაბიჯის გადადგმის საჭიროებას ტრადიციონალისტები იმითაც ხსნიან, რომ 2 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ თელავის რაიონის გამგებლობის ყველაზე მეტი შანსი ისევ მედიკო მეზვრიშვილს აქვს.

ალეკო შალამბერიძის განცხადებას თელავის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი გივი ბეციაშვილი "უპასუხისმგებლოს" უწოდებს, თავის მხრივ, მეზვრიშვილის დამსახურებებზე საუბრობს და შენიშნავს, რომ "ქალბატონ მედიკოს კორუმპირებულობაზე ლაპარაკი უადგილოა, რადგან თითქმის ნახევარსაუკუნოვანი მოღვაწეობის მიუხედავად, მას საკუთარი საცხოვრებელი სახლიც კი არ გააჩნია".

ბეციაშვილის აზრით, ტრადიციონალისტების განაწყენების მიზეზი ის არის, რომ მათ 2 ივნისის არჩევნებში თელავის რაიონში სერიოზული მარცხი განიცადეს და მნიშვნელოვნად დათმეს პოზიციები. "ტრადიციონალისტები დამარცხდნენ თელავის გამგებლის არჩევნებში, ამასთან, თუ ადრე საკრებულოების 45 პროცენტი მათი მომხრეებით იყო დაკომპლექტებული, ახლა იქ მხოლოდ ერთი წარმომადგენელი ჰყავთ. ამის გამო არიან განაწყენებულნი და უნდათ ყველაფერი ისეთ ძლიერ პიროვნებას გადააბრალონ, როგორიც მედიკო მეზვრიშვილია. თუ ტრადიციონალისტებმა ვერ შეძლეს, თელაველებისთვის ღირსეული კანდიდატურები შეეთავაზებინათ, ეს მათი პრობლემაა და არა ქალბატონი მედიკოსი," – დასძენს თელავის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი.

აღნიშნულ საკითხზე კონტროლის პალატის ხელმძღვანელობისგან კომენტარის მიღება ვერ მოხერხდა. ამ უწყების პრეს-სამსახურის თანამშრომლის მიხეილ ჩერქეზიას განმარტებით, იმასთან დაკავშირებით, რომ თბილისში დსთ-ს წევრი ქვეყნების ფინანსური კონტროლის უმაღლესი ორგანოების ხელმძღვანელთა საბჭოს სესია ტარდება, კონტროლის პალატის თავკაცობა ამ ღონისძიებაზე იყო და კომპეტენტური პასუხის გაცემა არავის შეეძლო.

# ივანოვი ამტკიცებს, რომ შევარდნაძე და ალიევი ნარკობიზნესში არ დაუდანაშაულებია...

## მამხილებელი მასალის არქონის გამო

პირველი გვერდიდან

გარეშე" - თავმჯდომარემ **ვლადიმერ ივანოვმა** განაცხადა, რომ **"საქართველოსა და აზერბაიჯანის პრეზიდენტები შევარდნაძე და ალიევი, საბჭოთა კავშირის პერიოდიდან მოყოლებული, ხელს უწყობენ ნარკობიზნესისა და ნარკომაფიის დამკიდრებას".**

ჩვენი ინფორმაციით, ივანოვის ეს განცხადება არ მოსწონებია ასლან აბაშიძეს. როგორც აბაშიძის პრესმდივანმა თამაზ ბაკურიძემ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, **"რუსეთის წარმომადგენელს აჭარაში საქართველოს ლიდერის საწინააღმდეგო განცხადების გაკეთება არაკორექტულობასა და არასერიოზულობაში ჩამოერთვა**".

ივანოვის ამ ბრალდებას საქართველოსა და აზერბაიჯანის პრეზიდენტების ადმინისტრაციის საპროტესტო განცხადებებიც მოჰყვა.

აზერბაიჯანის ეროვნული უშიშროების სამინისტროს პრესსამსახურის უფროსმა **არაზ გურბანოვმა** ბაქოს "ზერკალოსთვის" მიცემულ ინტერვიუში (14.06.02) შემდეგი განაცხადა: **"თუ ბატონი ივანოვი მართლა ამ გამონათქვამის ავტორია, მაშინ მისი სიტყვები ამტკიცებენ, რომ იგი თვითონ იყო ნარკოტიკებზე დამოკიდებული, იმიტომ, რომ მსგავსი არანორმალური აზრები თავში მხოლოდ ფსიქიურად დაავადებულს შეიძლება მოუვიდეს".**

"24 საათის" მოსკოველი კორესპონდენტი შეხვდა სრულიად რუსეთის საზოგადოებრივი გაერთიანების - "რუსეთი ნარკოტიკების გარეშე"- თავმჯდომარეს, ვლადიმირ ივანოვს და ინტერვიუ ჩამოართვა.

ამ საზოგადოების ოფისი მოსკოვში მეტრო "რეჩნოი ვაგზალთან" მდებარე ერთი ჩვეულებრივი მოსკოვური ცხრასართულიანი საცხოვრებელი კორპუსის პირველ სართულზეა განთავსებული. თანამედროვე ოფისისა ამ ორგანიზაციას არაფერი სცხია, სამაგიეროდ, ნარკოტიკებთან და ნარკომანიასთან ბრძოლის თვალსაჩინო პლაკატებია გამოფენილი. ჩვენი იქ მისვლის დროს ვლადიმირ ივანოვი კომპიუტერს უჯდა და ინტერნეტში იმ ინფორმაციას ეცნობოდა, რაზედაც წერილის შესავალში გვქონდა საუბარი. ივანოვის თქმით, მას არ სურს ვინმე გურბანოვის აზრის კომენტირება, რადგანაც იგი ბავშვის ნაბოდვარს ჰგავს.

**- ნარკომანიასთან ბრძოლის პრობლემა დღეს მთელი საქართველოსათვის აქტუალურია. რატომ აირჩიეთ ამ საერთაშორისო ფორუმის ჩატარების ადგილად ბათუმი?**

- იმიტომ, რომ ასლან აბაშიძემ ამ ღონისძიებამდე ეპოქალური მნიშვნელობის განცხადება გააკეთა, რომ იგი ამიერიდან საკუთარ თავზე იღებს ნარკომანიასთან ბრძოლაზე პერსონალურ პასუხისმგებლობას და მეგობრობის, ნათესაობისა და პიროვნებების მიუხედავად, 24 საათში თანამდებობიდან გაათავისუფლებს ყველას, ვინც კი საბოტაჟს გამოუცხადებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნარკომანიისაგან გაწმენდის პროგრამას. ამიტომ ჩვენ მიზანშეწონილად ჩავთვალეთ ფორუმის აჭარის დედაქალაქში ჩატარება.

**- ბათუმში ამბობენ, რომ თქვენ აბაშიძესთან დიდი ხნის მეგობრობა გაკავშირებთ...**

-ნარკომაფიასთან ბრძოლის სფეროში რუსი სპეციალისტების მოზიდვაზე დიდი დაინტერესება გამოავლინა არა შევარდნაძემ, არამედ აბაშიძემ. მისი ეს განცხადება არ ყოფილა სენსაცია სენსაციისათვის და ამას წინ უძღოდა ჩვენი აქტიური თანამშრომლობის სამი წელი. აბაშიძემ რამდენიმე წლის წინ თვითონ მომძებნა, ბათუმში მიმიწვია და ნარკოტიკების გავრცელების საწინააღმდეგო პროფილაქტიკაზე, მოზარდებში ანტინარკოტიკულ პროპაგანდაზე სპეციალური პროგრამის შექმნით დაინტერესდა. ჩვენ ჩვენი წინადადებები გავაცანით. მაშინ მან გვითხრა, რომ პირადად დააპატიმრა ნარკობიზნესში ეჭვმიტანილი აჭარის შსს მინისტრი. აბაშიძემ მაშინ ისიც მითხრა, რომ ჩვენს შეხვედრამდე ოთხი დღით ადრე აჭარის პორტში დააკავეს ტანკერი, რომელსაც შუა აზიის რეგიონიდან რეგულარულად შემოჰქონდა სუფთა ბამბა. სწორედ ამ ტანკერზე აღმოაჩინეს 600 კგ. ჰეროინი. ამ ინციდენტის შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, ტანკერით ბამბას ბათუმის პორტის მაგივრად, ფოთის პორტში ღებულობდნენ. ამის შესახებაც აბაშიძემ მიამბო მაშინ. ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩვენ ვთანამშრომლობთ აჭარის უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებთან, განათლების სამინისტროსთან. აჭარის ხელისუფლებას აღელვებს საკუთარი ახალგაზრდობის სიჯანსაღე და ყველაფერს აკეთებს ამისათვის.

**- ნარკობიზნესთან ბრძოლის რუსული გამოცდილება აჭარაში როგორი მოდელით დაინერგება?**

-დღეს რუსეთში ნარკომანიასთან ბრძოლის ეფექტური პროგრამა მოქმედებს –მაგალითად, ეკატერინბურგსა და რიაზანში მოსახლეობისაგან პეიჯერებზე ღებულობენ ანონიმურ ინფორმაციას ნარკოტიკების მომხმარებლებსა და გამსაღებლებზე. მიღებულ ინფორმაციას ძალოვანი სტრუქტურები აკონტროლებენ. სამწუხაროდ, იური ლუჟკოვი ჩვენს პროექტში არ ჩაერთო. ამ პროგრამის წყალობით რიაზანში ამ დღეებში 40 კგ. ნარკოტიკული ნივთიერება იქნა ამოღებული. გუბერნატორი ედუარდ როსელიც დაინტერესებულია. ბათუმის უნივერსიტეტში ახალგაზრდებთან საუბარმა დამარწმუნა, რომ აჭარაში ნარკობიზნესი ვერ განვითარდება. თუ ეს რეგიონი ამ პრობლემას გაუმკლავდება, რატომ არ უნდა მიბაძოს მას თბილისმა?

**-თქვენ გინდათ თქვათ, რომ თბილისი არ არის დაინტერესებული ამ პრობლემის მოგვარებით?**

-ნარკოტიკების პრობლემას პირველად სომხეთის სამედიცინო ინსტიტუტის პირველ კურსზე სწავლისას გავეცანი, როცა ჩემი თბილისელი, ავლაბრელი მეგობრები ჩემსავით პირველკურსელები გახდნენ. მე დღეს შემიძლია ვამტკიცო, რომ ერევნის სამედიცინო ინსტიტუტის პირველ კურსზე მაშინ თბილისიდან 54 ნარკომანი ჩამოვიდა. ეს იყო 1966 წელს, როცა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი შევარდნაძე იყო. მაშინ თავში აზრადაც არ მომივიდოდა, რომ სახელმწიფოს შეეძლო ამ უბედურებისათვის ხელის შეწყობა. ამაში მოგვიანებით დავრწმუნდი, როცა სპეციალური სამძებრო ჯგუფის შემადგენლობაში მყოფმა, ჩიმკენტში, მორფინის დამამზადებელ ქარხანაში, 20 მეტრის სიმაღლის კრისტალურად თეთრი ფხვნილის მთა ვიხილე. ეს იყო სუფთა მორფი. ის ქარხანა მაშინ საბჭოთა კავშირში მოქმედი ოთხი ასეთი ქარხნის ანალოგი იყო. რვა წელიწადი დამჭირდა იმაში დასარწმუნებლად, რომ სამედიცინო, ან თუნდაც სხვა მიზნებისათვის, ასეთი "თეთრი მთა" მორფის მილიარდ ამპულას წარმოშობდა და მთელი საბჭოთა კავშირის მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეეძლო. ვიმეორებ, მე ვნახე მორფის გადამამუშავებელი მხოლოდ ერთი ქარხანა ჩიმკენტში. დანარჩენი სამის სიმძლავრეზე ლაპარაკიც არ მინდა. სწორედ იმ პერიოდში, 1987 წელს გახდა ცნობილი კოპენჰაგენში საბჭოთა ტანკერის დაკავების ფაქტიც, სადაც ტრიუმიდან გემბანამდე ათეული ტონა მორფი იპოვეს. ეს და სხვა ფაქტები შევაგროვე და გამიჩნდა შეკითხვა, თუ ვინ იყო დაინტერესებული ან პასუხისმგებელი სახელმწიფოში ნარკოტიკების გავრცელებაზე. მაშინ კერძო სექტორი არ არსებობდა, გამოდის, რომ სახელმწიფო იყო დამამზადებელიცა და გამავრცელებელიც. მე სწორედ იმ პერიოდში შევხვდი რუსეთის ხელისუფლების რამდენიმე მაღალჩინოსანს, რომელთანაც მეგობრულ საუბარში, არყის სმისას, ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ ისინი ინახავდნენ საზღვარგარეთ ნარკოტიკების გამსაღებელთა მთელ რეზიდენტურას, ამოღებული თანხით კი რუსეთი ხელს უწყობდა კომუნისტებს კუბაში, ვიეტნამში, ამ ფულით ვაგებდით კაშხლებს და ა.შ. სწორედ ამ ხელისუფლებამ, მოგვიანებით, ამავე ნარკოტიკებით საკუთარი შვილების მოწამვლა დაიწყო.

**-რატომ არ დაასახელებთ ახლა იმ მაღალჩინოსნებს? მას შემდეგ ამდენი დრო გავიდა...**

-უკვე დავასახელე 1995 წელს, სტატიაში "სამამულო ნარკობიზნესის შეფი" - მთავარი შეფი რუსეთის ყველაზე გავლენიანი ათი კაცის სიიდან იყო.

**-როგორ მიგაჩნიათ, რამდენად კორექტულია დღეს ამ თქვენი ვარაუდების გამოყენება ვინმეს დასადანაშაულებლად, თუნდაც პრეზიდენტების - შევარდნაძისა და ალიევის მაგალითი რომ გავიხსენოთ?**

-მე, სამწუხაროდ, არ მაქვს მათი მამხილებელი მატერიალური მასალა, რომც მივიღო ასეთი ფაქტები, 24 საათში ცოცხალი აღარ ვიქნები. ამიტომ არც მიძებნია და არც ვეძებ სამხილებს. ხალხმა, საზოგადოებამ ისედაც ყველაფერი იცის. საჭიროა, ამაზე პრესამაც ხმა ამოიღოს და ხელისუფლებას არ შეუშინდეს. მე მაშინაც მხოლოდ შეკითხვებს ვსვამდი და ახლაც. მინდა გითხრათ, რომ იმ დროს, როცა ზემოხსენებული ქარხნები ვიხილე, შევარდნაძე სსრკ-ს საგარეო საქმეთა მინისტრი იყო, ხოლო ალიევი "კგბ"-ს უფროსი. გავიხსენოთ ცნობილი ანტინარკოტიკული ოპერაცია "ყაყაჩო", როცა თურქმენეთში ამოღებული ოპიუმის ვიდეოფირზე აღბეჭდვისას საკუთარ თვალით ვნახე, რომ ყაყაჩოს ორმეტრიანი ღეროების კვერცხისხელა თავებიდან ოპიუმი უკვე ამოცლილი იყო. მაშინ სამძებრო ჯგუფის შემადგენლობაში გახლდით ოფიცრის წოდებით. გაოგნებულმა ჩემს თავს ასეთი შეკითხვაც დავუსვი - შეიძლებოდა თუ არა, ეს სცოდნოდა მინისტრს, ცეკას მდივანს, "კგბ"-ს დირექტორს? ყაყაჩოს მოსავალს იღებდნენ და მერე დგამდნენ ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი მცენარეების განადგურების "სპექტაკლს".

**-თბილისში თუ მსგავს ფორუმს ჩაატარებენ, მონაწილეობას მიიღებთ?**

-თუ მიგვიწვევენ, აუცილებლად. ღმერთმა ქნას, რომ საქართველომ თავიდან აიცილოს ის უბედურება, რაც ახალგაზრდობის გადაგვარებით ერის გენოფონდს ემუქრება. ამ მხრივ საშიშროება, მაგალითად, სომხეთს არ ემუქრება, რადგანაც იქ ქვეყანას მართავს ახალგაზრდა პრეზიდენტი კოჩარიანი, რომელიც მალე ნარკომანიასთან ბრძოლაში აჭარას მიბაძავს. კოჩარიანი პასუხს არ აგებს იმაზე, რაც ხდებოდა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, რისი თქმაც არ შემიძლია შევარდნაძესა და ალიევზე. ის მოვლენები კი, რაც დღეს, ჩეჩნეთის გავლენით, საქართველოში ხდება, პესიმისტური დასკვნების საფუძველს იძლევა. ჩეჩნეთში ომი ისლამური ფუნდამენტალიზმისა და ნავთობის გამო არ დაწყებულა. მარტო გროზნოში, ბერეზოვსკის ხელშეწყობით, ნარკოტიკების გადამამუშავებელი სამი ქარხანა აშენდა, რომლის საერთო სამრეწველო სიმძლავრე 30 ტონაა. გელაევთან ბერეზოვსკის ცნობილ სატელეფონო საუბარში ფიგურირებს ციფრები, ორი-სამი. ვინ იცის, მილიონებზე კი არა, იქნებ, ქარხნების რაოდენობაზე იყო საუბარი. ორი-სამი ასეთი ქარხანა კი დღეს ორ-სამ მილიონ დოლარზე ბევრად მეტია. ეს ქარხნები დღეს განადგურებულია. ერთი გროზნოში იყო, მეორე, თუ არ ვცდები, კრასნოგორსკში. ჩეჩნეთი დღეს ავღანეთიდან ნარკოტიკების გამავრცელებელი დერეფანია – ალბათ, საქართველოს ცნობილი ხეობების გავლით. ამის მტკიცება მე არ შემიძლია. მაგრამ შემიძლია ვამტკიცო, რომ ბათუმში ტანკერის დაპატიმრების მერე, ბამბით დატვირთული ტანკერი ფოთის პორტში დგება ხოლმე. მე არავინ დამიდანაშაულებია და არც ვურჩევ ვინმეს, რამეში ბრალი დამდონ. ეს პროკურატურის საქმეა.

# აორთქლებული საბუთის საქმე

## ეკონომიკის სამინისტრო „საქგაზს„ 5,6 მილიონი ლარით აჯარიმებს





*გელა დავითულიანი და ზვიად აბულაძე*

ლევან ხერხეულიძის ფოტოები

მაია ურუშაძე

გუშინ უზენაესმა სასამართლომ მოისმინა "საქგაზის" სარჩელი ეკონომიკის სამინისტროს წინააღმდეგ, რომელმაც ბიუჯეტის სასარგებლოდ მას 5,6 მილიონი ლარის ოდენობის საურავის გადახდა მოსთხოვა. "საქგაზი" ასაჩივრებს საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელმაც ეკონომიკის სამინისტროს მოთხოვნა მართებულად ცნო. ეკონომიკის სამინისტრო "საქგაზს" 1999 წელს გაზის ფასის არასწორ მომატებაში ადანაშაულებს, რადგან მაშინ, გადაწყვეტილება 1000 კუბური მეტრი გაზის საფასურის 123 ლარიდან 198 ლარამდე გაზრდის შესახებ, "საქგაზმა" არ შეათანხმა იუსტიციის სამინისტროსთან.

*კონტროლის პალატა "საქგაზში" შინაგან საქმეთა ორგანოებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შევიდა. მათი დასკვნის მიხედვით, "საქგაზმა" ისარგებლა ფასწარმოქმნის არარსებული მეთოდიკით და 1999 წლის 1 იანვრიდან გაზის ტარიფი უკანონოდ გაზარდა. "დღეს არ არსებობს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს 98-ე ბრძანება, რომლის საფუძველზეც მაშინ ეს პროცედურა გახორციელდა. ამ ნომრით სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროში სულ სხვა საბუთია რეგისტრირებული. ოფიციალურად, "საქგაზმა" ტარიფის გაზრდის უფლება მხოლოდ 1999 წლის 9 მარტს მიიღო, როდესაც დამტკიცდა შესაბამისი დებულება. ამიტომაც ის თანხა, რომელიც 1 იანვრიდან 9 მარტის ჩათვლით "საქგაზმა" მიიღო, უკანონოა," – მიიჩნევს კონტროლის პალატის იურიდიული სამსახურის უფროსი გელა დავითულიანი. ეს თანხა, კონტროლის პალატისა და ფასების ინსპექციის მონაცემებით, "საქგაზისათვის" დაკისრებული საურავის ნახევარი, ანუ 2,8 მილიონი ლარია, მეორე ნახევარი კი მათ ჯარიმის სახით უნდა გადაიხადონ.*

*"საქგაზის" ინფორმაციით, მისი მხრიდან ფასების მატება კანონიერად მოხდა, რადგან 1998 წელს, როდესაც გაზის ტარიფის მომატებას ჰქონდა ადგილი, გადაწყვეტილებას თბოენერგორესურსებზე ფასების მატების შესახებ სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო განიხილავდა, თავად ათანხმებდა იუსტიციის სამინისტროსთან და მხოლოდ ამის შემდეგ ამტკიცებდა გადაწყვეტილებას. "საქგაზს" არ ევალებოდა, თავად გაეკონტროლებინა გადაწყვეტილების დამტკიცების პროცესი და ამიტომაც პასუხსაც არ აგებს, თუ ის სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრომ იუსტიციის სამინისტროსთან შეუთანხმებლად დაამტკიცა. "საქგაზს" წინ ედო ორი მინისტრის მიერ (იგულისხმება სათბობ-ენერგეტიკისა და ეკონომიკის მინისტრები) ხელმოწერილი ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც მას ტარიფის გაზრდის სრულ უფლებას აძლევდა, - ამბობს "საქგაზის" იურიდიული სამსახურის უფროსი ზვიად აბულაძე, - ახალი ტარიფის დამტკიცება სწორედ ამ დოკუმენტის შესაბამისად მოხდა, ახლა კი ეს საბუთი სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროდან უკვალოდ გაქრა".*

მანამ, სანამ სასამართლო აორთქლებული საბუთის ისტორიას გაარკვევდა, "საქგაზმა" გამოძიების დასრულებამდე საქმის წარმოების შეჩერება ითხოვა, რაზეც, საოლქო სასამართლოს განჩინებით, თანხმობა მიიღო. თუმცა, საოლქო სასამართლომ ძველი, 11 ოქტომბრის ის განჩინებაც გააუქმა, რომლის საფუძველზეც ეკონომიკის სამინისტროს "საქგაზისთვის" ფულის დარიცხვა ჰქონდა შეჩერებული.

ახლა "საქგაზი" 11 ოქტომბრის განჩინების უსაფუძვლო გაუქმებას ასაჩივრებს. დაკმაყოფილდება თუ არა ეს თხოვნა, ამის შესახებ გადაწყვეტილებას უზენაესი სასამართლო 26 მაისს მიიღებს.

# პრეზიდენტი პუტინი რუსულ პრესას შეღავათებს უუქმებს

რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან დაკავშირებით, ახალი ინიციატივით გამოდის. მისი განცხადებით, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ქვეყნის ეკონომიკის ლოკომოტივად უნდა გადაიქცნენ, ამისთვის კი, პირველ რიგში, მათთვის საგადასახადო და საბაჟო შეღავათების მოხსნაა საჭირო.

**"მრავალი წლის მანძილზე, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ბიზნესი პოლიტიკურ ინტერესებთან იყო გადაჯაჭვული. თუმცა, ამაში არაფერია გასაკვირი... რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ინდუსტრია დღემდე არ ყოფილა დამოუკიდებელი ბიზნესი. მას იყენებდნენ, როგორც საბრძოლო იარაღს პოლიტიკური უპირატესობის უზრუნველსაყოფად სხვა, გაცილებით მომგებიან, ეკონომიკურ სექტორებში",** - პატიოსნად აღიარა პრეზიდენტმა პუტინმა.

დღეიდან კი, მისი თქმით, ახალი ეტაპი იწყება საინფორმაციო ბიზნესის განვითარებაში. თანამედროვე მასობრივ ინფორმაციათა საშუალებები უნდა გადაიქცნენ ეროვნული საბაზრო ეკონომიკის ნაწილად, რათა, თავის მხრივ, ხელი შეუწყონ სხვა წამყვანი ტექნოლოგიების განვითარებას.

როგორც გაირკვა, ამის მისაღწევად საჭიროა, დამყარდეს წესრიგი მასობრივ ინფორმაციათა საშუალებების სისტემაში. პირველ რიგში კი, ეს ეხება სარეკლამო ბაზარს, რომელიც, პუტინის განცხადებით, ისევ მონოპოლიზებულია. პრეზიდენტის აზრით, უნდა მოხდეს სარეკლამო ბაზრის გადანაწილება პრესის რეგიონალურ და ადგილობრივ საშუალებებზე. თუმცა პუტინს არაფერი უთქვამს იმის შესახებ, თუ რა მოუვათ ცენტრალური მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, რომლებსაც ისედაც არ ჰყოფნით სარეკლამო შემოსავალი და სწორედ ამის გამო ხდებიან პოლიტიკური დაპირისპირებების ინსტრუმენტები.

პრეზიდენტმა პუტინმა უკმაყოფილება გამოთქვა, აგრეთვე, იმ საგადასახადო და საბაჟო შეღავათებზე, რომელიც ჯერ კიდევ არსებობს პრესისათვის. ასე რომ, უახლოეს მომავალში რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ხელისუფლებისგან "სასიამოვნო სიურპრიზებს" უნდა ელოდნენ.

*"გაზეტა-რუ"*



*ვლადიმირ პუტინი*

*ინფორმაცია*

# აზერბაიჯანი და საქართველო ელექტროენერგიას გაცვლიან

ბაქოში გაფორმდა შეთანხმება "საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ელექტროენერგიის გაცვლის შესახებ", რომელსაც აზერბაიჯანის მხრიდან ხელი მოაწერა სააქციო საზოგადოება "აზერენერჯი"-ს პრეზიდენტმა ეტიბარ პირვერდიევმა, ხოლო საქართველოს მხრიდან – "ელექტროდისპეჩერიზაცია-2000"-ის გენერალურმა დირექტორმა ბორის კოჟორიძემ. დოკუმენტი გაფორმდა საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის დავით მირცხულავას ბაქოში ერთდღიანი ვიზიტისას.

ამ შეთანხმების მიხედვით, ორი ქვეყნის ენერგოსისტემები ავარიულ სიტუაციებში ერთმანეთს ტექნიკურ დახმარებას გაუწევენ. შეთანხმება დაარეგულირებს მხარეებს შორის ფუნქციებს, უფლებებსა და პასუხისმგებლობებს ელექტროენერგიის პარალელურ რეჟიმში გაცვლის დროს. ვიზიტისას ხელი მოეწერა პროტოკოლს, ანუ შეთანხმებულ გრაფიკს, რომლის მიხედვითაც ქართველი ენერგეტიკოსები აზერბაიჯანიდან მიღებულ ელექტროენერგიას დააბრუნებენ.

"აზერენერჯის" პრეს-სამსხურის განცხადებით, 14 ივნისიდან საქართველოს მხარემ დაიწყო დაგროვილი ვალების დაბრუნება და ყოველდღიურად აზერბაიჯანს გადასცემს 1,3 მილიონ კილოვატსაათ ელექტროენერგიას.

# საბაჟო დეპარტამენტი ენერგოსაბაჟოს ქმნის

ენერგოსაბაჟოს შექმნის ინიციატივით გამოვიდა ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარე ალექსანდრე ასლანიკაშვილი ოთხშაბათს გამართულ მთავრობის სხდომაზე.

მან ენერგოსაბაჟოს შექმნის საკითხი საბაჟო დეპარტამენტში გასახორციელებელ სტრუქტურულ რეორგანიზაციას დაუკავშირა, რომლის თანახმად, აღნიშნული სამსახურის გარდა, შეიქმნება რეგიონული საბაჟო სტრუქტურები. ამასთან, პირველ ეტაპზე დაგეგმილია საბაჟო დეპარტამენტში თანამშრომელთა 15-პროცენტიანი შემცირება.

სხდომაზე სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა დავით მირცხულავამ განაცხადა, რომ ენერგოსაბაჟოს შექმნისათვის საქართველოს საზღვრებზე, გაზის მაგისტრალურ მილსადენებზე მრიცხველები დადგება, ასევე, მრიცხველები დამონტაჟდება მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზებზე.

მისი თქმით, ენერგოსაბაჟოს ჩამოყალიბება მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ენერგომატარებლების იმპორტისა და მისი ტრანზიტიდან თანხების ამოღების გაუმჯობესების თვალსაზრისით.

*პრაიმ-ნიუსი*

# მოლაშვილი მირცხულავას ადანაშაულებს

კონტროლის პალატის ინფორმაციით, სს „ელექტროგადაცემა" სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს ხარჯების დასაფარად სოლიდურ თანხას იხდის, რაც „აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის წესის შესახებ" კანონის უხეში დარღვევაა.

სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს ემსახურება „ელექტროგადაცემის" ბალანსზე არსებული ავტომანქანები, რომელთა შენახვაზე 2000-2001 წლებში 10 ათასი ლარია გახარჯული, უშუალოდ მინისტრის დაცვის ავტომანქანაზე კი - 15 ათას ლარზე მეტი.

„ელექტროგადაცემას" ანაზღაურებული აქვს, აგრეთვე, სამინისტროს მიერ მოხმარებული ელექტროენერგიისა და კავშირგაბმულობის მომსახურების დავალიანებები - სულ 100 ათას ლარზე მეტი.

„ელექტროგადაცემის" მიერ სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს სასარგებლოდ ანაზღაურებულია 233 ათასი ლარი, მაშინ, როცა თავად ეს ორგანიზაცია ფინანსურ კრიზისს განიცდის. პალატის ინფორმაციით, „ელექტროგადაცემის" მიერ სამინისტროსადმი გაწეული ფინანსური დახმარებები სამინისტროში დაფიქსირებული არ არის, რითაც მიჩქმალულია საბიუჯეტო დისციპლინის დარღვევის ფაქტები.

*მედია-ნიუსი*

# ბაზრობები ყოველთვიურად ორი დღით დაიკეტება

თბილისის ყველა ბაზრობა ყოველთვიურად ორი დღით დაიკეტება და მათ დაასუფთავებენ და სანიტარიულად დაამუშავებენ, - აცნობა „მედია-ნიუსს" თბილისის სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციის უფროსმა ჯულული ახვლედიანმა.

ამჟამად დაკეტილია ისან-სამგორის რაიონის ნავთლუღის ბაზარი და ამავე რაიონში მდებარე ბაზრობა შპს „შავი გედი".

ცოტა ხნის წინ დასუფთავდა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის ცენტრალური სუპერმარკეტი და ვაგზლის მოედნის ტერიტორიაზე მდებარე ბაზრობები.

დედაქალაქის მერის ბრძანებით, აღიკვეთა ავტომანქანებიდან მალფუჭადი საკვები პროდუქტებით ვაჭრობა, თუმცა, ეს აღკვეთა არ ეხება სხვა საქონლით ვაჭრობას, რადგან "მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის ვაჭრობა დღეისთვის შემოსავლების ერთადერთი წყაროა", - აღნიშნა ახვლედიანმა.

*მედია-ნიუსი*

ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2002 წლის 14-20 ივნისის მდგომარეობით




მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები

| | UKJ | US$ | Ђuro | Ґen |
|---|---|---|---|---|
| UKJ | | 0.6698 | 0.6409 | 0.0054 |
| US$ | 1.4929 | | 0.9567 | 0.0081 |
| Ђuro | 1.5603 | 1.0453 | | 0.0084 |
| Ґen | 184.87 | 123.88 | 118.5 | |

# „გაზპრომი„ საქართველოში მეწილე ხდება

გიორგი კალანდაძე

*რუსული კომპანია "გაზპრომი" საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციასთან ერთობლივ საწარმოს აფუძნებს. ახალ ორგანიზაციას "საქრუსგაზმრეწვი" ეწოდება და მასში, წინასწარი მონაცემებით, საკონტროლო პაკეტი, ანუ 51 პროცენტი, ქართულ მხარეს დარჩება. "გაზპრომი", რომელიც ახალ კომპანიაში წილის 49 პროცენტით იქნება წარმოდგენილი, წინასწარი მონაცემებით, საწესდებო კაპიტალში ან 154 მლნ. დოლარს შეიტანს, ან საქართველოს ამ ღირებულების გაზს მიაწვდის. ბუნებრივი აირის გაყიდვიდან მიღებული თანხა კი, საქართველოს მაგისტრალური გაზსადენების აღდგენას მოხმარდება.*

"გაზპრომთან" მოლაპარაკებისას წილების განაწილების ორი ვარიანტი განიხილებოდა: 1. ჩამოყალიბებულიყო ერთობლივი საწარმო, რომელშიც "გაზპრომი" შეისყიდდა გაზის კორპორაციის მიერ საწესდებო კაპიტალში შესატანი ქონების (მაგისტრალური გაზსადენების) 50 პროცენტს და ამაში გადაიხდიდა 80 მილიონ დოლარს; 2. ერთობლივ საწარმოში "გაზპრომი" შესულიყო დამფუძნებლად და მიეღო წილის 49 პროცენტი.

პირველი ვარიანტით "გაზპრომმა" სომხეთში დააფუძნა ერთობლივი საწარმო, ქართულ მხარესთან ურთიერთობისას კი რუსული კონცერნი სხვა გზით წავიდა. თუმცა მოლაპარაკების წარმატებით დასრულებას წინ ორი წინააღმდეგობა ხვდება. ჯერ ერთი, შესაცვლელია ის საკანონმდებლო ნორმა, რომლითაც საქართველოში აკრძალულია მაგისტრალური გაზსადენების პრივატიზება, რასაც "გაზპრომის" მხარე უკვე მოითხოვს და მეორეც, "გაზპრომთან" კონტრაქტის გაფორმებით, შეუფერხებლად მოხდება, საქართველოს გავლით, რუსეთის გაზის იმპორტი თურქეთში, რამაც, შესაძლოა, გავლენა იქონიოს შახ-დენიზის პროექტის გახორციელების პროცესზე. აზერბაიჯანის შახ-დენიზის საბადოდან გაზი, ბაქო-თბილისი-ერზერუმის მაგისტრალის გავლით, თურქეთს უნდა მიეწოდოს. "საქრუსგაზმრეწვის" ჩამოყალიბებით კი თბილისს, შესაძლოა, უთანხმოება წარმოექმნას შახ-დენიზის პროექტში თავის პარტნიორ ქვეყნებთან და კომპანიებთან.

გაზის კორპორაციის ინფორმაციით, "გაზპრომმა," არსებული გაზსადენების გარდა, შესაძლოა, ახალი მაგისტრალური გაზსადენი გაიყვანოს. კორპორაციის ციფრებით, ამით რუსული კომპანია თურქეთში ყოველწლიურად ცხრა მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი აირის ტრანზიტს გაახორციელებს.

გაზის კორპორაციის მხრიდან კონტრაქტის ტექსტზე მუშაობს საერთაშორისო იურიდიული კომპანია "სას ინტერნეშენელ ლიგალ კონსალტინგი". "გაზპრომის" კონსულტანტია კომპანია "ბეიკერი და მაკენზი". კორპორაციის პრეზიდენტის ალეკო გოცირიძის თქმით, არასწორადაა შეფასებული საქართველოს მაგისტრალური გაზსადენის საბალანსო ღირებულება, რომელიც დღეს 50 მილიონი ლარითაა განსაზღვრული. კორპორაციას არგუმენტად მოჰყავს ფრანგული კომპანია "გაზ დე ფრანსის" დასკვნა, რომლის მიხედვითაც გაზსადენების ღირებულება 250 მილიონი დოლარია. რაც შეეხება გაზსადენების აღდგენას, ალეკო გოცირიძე კვლავ "გაზ დე ფრანსის" დასკვნის საფუძველზე აცხადებს, რომ ამას 240 მილიონი დოლარი სჭირდება.

გაზის კორპორაციას ოთხი არგუმენტი აქვს, რატომ უნდა დათანხმდეს ქართული მხარე "საქრუსგაზმრეწვის" ჩამოყალიბებას: 1. საქართველოში გაზი შეუფერხებლად შემოვა; 2. "გაზპრომის" გარდა, სხვა ინვესტორი არ გამოჩნდა, რომელიც, საქართველოს მაგისტრალური გაზსადენების სარეაბილიტაციოდ, მზადაა, 240 მილიონი დოლარი გამოყოს; 3. პერსპექტიულს ხდის რუსეთიდან, საქართველოს გავლით, ბუნებრივი გაზის მესამე ქვეყანაში ტანსპორტირების ახალი პროექტების წამოწყებას და 4. "საქრუსგაზმრეწვი" ბიუჯეტში დიდი ოდენობით გადასახადებს შეიტანს.

საქართველოს პრეზიდენტი ერთობლივი კომპანიის ჩამოყალიბებას იწონებს. **"ამით ეროვნული ინტერესები არ ილახება**, - აღნიშნა მან, - **თანაც, ჩვენ სხვა გამოსავალი არა გვაქვს. მაგისტრალური გაზსადენები კატასტროფულ მდგომარეობაშია, მათი შეკეთებისთვის კი თანხა არ გაგვაჩნია."** პრეზიდენტი მხოლოდ იმას ითხოვს, რომ ახალ კომპანიაში საკონტროლო პაკეტი ქართული მხარის ხელში იყოს.

# პოლკოვნიკი ბუდანოვი გაათავისუფლეს



18 ივნისს სახელმწიფო ბრალმდებელმა, სამხედრო პროკურორმა ნაზაროვმა პოლკოვნიკ ბუდანოვის გათავისუფლება მოითხოვა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უახლოეს დღეებში მას ციხიდან გაუშვებენ, რადგან სასამართლოს არა აქვს უფლება, პროკურორზე მეტი სასჯელი მოითხოვოს.

ბუდანოვი წლინახევრის წინ დააკავეს ჩეჩენი გოგონას, ელზა კუნგაევას გაუპატიურებისა და მკვლელობის ბრალდებით. 160-ე სატანკო პოლკის მეთაური ბუდანოვი და მისი ჯარისკაცები ერთ-ერთ ჩეჩნურ სოფელში "გაწმენდის" ოპერაციას ატარებდნენ. ოპერაციის დროს რუსმა ჯარისკაცებმა 16 წლის გოგონა გაიტაცეს, გააუპატიურეს და მოკლეს.

ის, რომ ბუდანოვმა და მისმა ჯარისკაცებმა ეს დანაშაული ნამდვილად ჩაიდინეს, სასამართლოსაც არ დაუყენებია ეჭვქვეშ, რაკი მტკიცებულებები სრულიად აშკარა გახლდათ. მაგრამ, რადგან მსხვერპლი ჩეჩენი იყო, დამნაშავე კი - ჭეშმარიტი რუსი მეომარი, ორგზის ორდენოსანი პოლკოვნიკი, სასამართლომ ჩათვალა, რომ ასეთი წვრილმანისათვის მისი დასჯა არ ღირდა.

სასამართლო-ფსიქიატრიულმა ექსპერტიზამ დაამტკიცა, რომ ბუდანოვი მკვლელობის მომენტში შეურაცხად მდგომარეობაში იმყოფებოდა. თუმცა, არაფერი უთქვამს იმის შესახებ, თუ რანაირად შეიძლებოდა, საბრძოლო ოპერაციაზე გაგზავნილი პოლკის მეთაური შეურაცხად მდგომარეობაში ყოფილიყო.

ჩეჩნები დიდი ხანია ჩივიან, რომ ე.წ. გაწმენდის ოპერაციებს, როგორც წესი, უგონოდ მთვრალი რუსი სამხედროები ახორციელებენ, რომლებიც ყოველგვარ სისაძაგლეს სჩადიან. თუმცა, მათ მიერ ჩადენილი დანაშაულები რეაგირების გარეშე რჩება, რადგან როგორც პრესას, ისე ადამიანის უფლებათა დამცველ ორგანიზაციებს ჩეჩნეთში დამოუკიდებლად მოქმედება აკრძალული აქვთ.

ერთ-ერთი დასავლელი მიმომხილველის აზრით, უკიდურესი სისასტიკე ამ ომში რუსების ერთ-ერთი უმთავრესი იარაღია. მისი თქმით, რუსულ არმიაში გამეფებულ "დედოვშჩინას" სწორედ იმიტომ არ ებრძვიან, რომ იგი ჯარისკაცებში სისასტიკის განვითარებას უწყობს ხელს.

რაც შეეხება ორ დანარჩენ ბრალდებას, სამსახურებრივი მოვალეობების გადამეტებასა და ადამიანის გატაცებას, ბრალმდებელმა მათთვის 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მოითხოვა, მაგრამ იქვე განაცხადა, რომ ბუდანოვს, როგორც ორდენოსანს, ამინისტია ეხება და ამიტომ იგი სასამართლოს დარბაზიდან უნდა გათავისუფლდეს.

სასამართლო პროცესის დაწყებისას ფიგურირებდა კიდევ ერთი ბრალდება, ბუდანოვის ხელქვეითების მიერ სამი ადამიანის გატაცებისა და მათი მკვლელობისა, თუმცა სასამართლომ ეს ბრალდებები თავიდანვე არ მიიღო.

დაზარალებულის ადვოკატების განცხადებით, ისინი ამგვარ შედეგს მოელოდნენ კიდეც, რადგან სახელმწიფო ბრალმდებელი თვითონ დაუდგა ადვოკატად ბრალდებულს, ხოლო სასამართლო სისტემატურად აცხადებდა უარს იმ დოკუმენტების განხილვაზე, რომელიც ბუდანოვის დანაშაულს ამტკიცებდა.

აღსანიშნავია, რომ "გმირი პოლკოვნიკი" რუსულმა საზოგადოებრივმა აზრმა თავიდანვე გაამართლა. მას გმირად და რუსი ჯარისკაცის იდეალად მოიხსენიებდნენ. ერთი პერიოდი, მისი კანდიდატურის გუბერნატორის პოსტზე წამოყენებასაც აპირებდნენ, იმედოვნებდნენ რა, რომ ეს დაეხმარებოდა ბუდანოვს პროცესიდან თავის დაღწევაში. თუმცა, როგორც ჩანს, არც საერთაშორისო საზოგადოება შეიწუხებს თავს ჩეჩნეთის მოვლენებზე რეაგირებით. დიდი ხანია, რაც რუსებს, ჩეჩნეთის გამო, თითქმის აღარავინ აკრიტიკებს. დღეს "ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა" გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ადამიანის უფლებების დაცვა.

# რუსეთის ურჩი მოვალეები



იტერას ოფისი

დსთ-ს ქვეყნების უმრავლესობას, თუ ყველას არა, რუსეთის უზარმაზარი ვალები აქვს. აღნიშნული ვალები ძირითადად გაზისა და სხვა ენერგორესურსების საფასურის წლების განმავლობაში გადაუხდელობის შედეგია. რუსეთის ვალი მართებთ უკრაინას, ყირგიზეთს, სომხეთს, საქართველოს...

უკანასკნელ ხანს რუსეთი აქტიურად მოითხოვს ვალების დაბრუნებას, ღარიბ პოსტსაბჭოურ ქვეყნებს კი ვალის გადახდის საშუალება არა აქვთ, ამიტომ მოსკოვი, ფულის სანაცვლოდ, საწარმოების, ენერგოდისტრიბუციის ქსელების, ელექტროსადგურებისა და სამეცნიეროკვლევითი ინსტიტუტების გადაცემას ითხოვს.

ჩვენ უკვე ვწერდით სომხეთ-რუსეთის მოსალოდნელი შეთანხმების შესახებ, რომლის თანახმადაც, ვალის ნაწილის სანაცვლოდ, სომხეთი რუსეთს რაზდანის ელქტროსადგურს, ელექტრონული მოწყობილობების მწარმოებელ ქარხნებსა და რამდენიმე ინსტიტუტს გადასცემს.

სომხეთის მერე ყირგიზეთის ჯერიც დადგება. რუსეთი ირწმუნება, რომ ამ ქვეყნას მისი 1,5 მილიარდი დოლარი მართებს, ყაზახური მხარის მტკიცებით კი, ვალი ამ თანხის, დაახლოებით, მეოთხედს შეადგენს. რამდენიმე დღის წინ ყირგიზეთში იმყოფებოდა რუსეთის ატომური ენერგეტიკის მინისტრი, რომელიც ამ ვალის სანაცვლოდ გადასაცემი ობიექტების სიას იხილავდა. რუსეთი ყირგიზეთის მდიდარი ურანის საბადოებისა და თავდაცვის მრეწველობის საწარმოების ხელში ჩაგდებითაა დაინტერესებული.

ყირგიზეთში იმყოფებოდა რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანი რუშაილოც, ოღონდ იგი უფრო ორ ქვეყანას შორის სამხედრო თანამშრომლობის განვითარებაზე მსჯელობდა.

როგორც ცნობილია, ავღანეთში სამხედრო ოპერაციის დაწყების შემდეგ, ყირგიზეთმა ამერიკელებს მანასის აეროპორტი გადასცა. ეს კეთილი ნების ჟესტი ფინანსურადაც საკმაოდ მომგებიანი აღმოჩნდა. ყოველი ამერიკული სამხედრო თვითმფრინავის აფრენასა და დაჯდომაში აშშ ყირგიზეთს 7000 დოლარს უხდის. როგორც ჩანს, რუსები შიშობენ, რომ ღატაკი ყირგიზეთისათვის გულუხვი ამერიკული გასამრჯელო, შესაძლოა, სერიოზული ცდუნება აღმოჩნდეს.

# სომხეთის მასმედია

სომეხი ჟურნალისტები იძულებულნი არიან წერონ ისე, როგორც მათ ფარულ სპონსორებს სურთ, – ნათქვამია ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაციის "ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტის" მოხსენებაში.

სომხური გაზეთების რედაქტორები აღიარებენ, რომ არასაკმარისი შემოსავლების გამო, იძულებულნი არიან, დაფინანსების სხვა წყაროებს მიმართონ.

არასაკმარისი შემოსავლები, პირველ რიგში, დაბალი ტირაჟით აიხსნება. ქვეყნის ყველაზე პოპულარული გაზეთები 4-5-ათასიანი ტირაჟით გამოდიან. ეს კი ნიშნავს დაბალ შემოსავლებს, როგორც გაყიდვიდან, ისე რეკლამიდან, რადგან ბიზნესმენებს ურჩევნიათ, რეკლამა ტელევიზიაში განათავსონ.

რადიო "თავისუფლების" სომხეთის ბიუროს ცნობით, ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული გაზეთის, "არავოტ"-ის რედაქტორი, არამ აბრამიანი ამბობს, რომ გაზეთის დასაფინანსებლად თვეში 3500 დოლარი აკლდება. ეს საკმაოდ დიდი თანხაა გაზეთისათვის, რომლის შემოსავალიც თვეში 10 ათასია. ამ ფულის შოვნას რედაქტორი პოლიტიკურ, ოფიციალურ და ბიზნეს წრეებიდან აპირებს. "შეუძლებელია, იპოვო ერთი წყარო, რომელიც მთლიანად დაგაფინანსებს, - ამბობს აბრამიანი, – ამიტომ ყოველთვიურად მათხოვრობა მიხდება".

გაზეთ "ჰაიოწ აშხარის" გამომცემელი ამბობს, რომ ვერც ერთი გაზეთი ვერ იარსებებს სპონსორის გარეშე. რეკლამებიდან და გაყიდვიდან შეიძლება ხარჯების, მაქსიმუმ, ნახევარი დაფარო.

მართალია, როგორც სამთავრობო, ისე ოპოზიციური გაზეთები ცუდ დღეში არიან, მაგრამ ამ უკანასკნელთა მდგომარეობა მაინც უფრო უარესია. ოპოზიციურ გაზეთებს მთავრობასთან დაახლოებული ბიზნესმენები (ასეთები კი უმრავლესობაა, რადგან, როგორც ამბობენ, ხელისუფლებას ნახევარ საათში შეუძლია ნებისმიერი ბიზნესის განადგურება) რეკლამას არ უკვეთავენ, რათა ხელისუფლების უკმაყოფილება არ გამოიწვიონ. თუმცა, რასაკვირველია, ფარული სპონსორები ოპოზიციურ მას-მედიასაც ჰყავს, ძირითადად, ტერ-პეტროსიანის დროინდელი სამთავრობო ეშელონებიდან.

თავის მხრივ, მკითხველი სულ უფრო გულგრილად ეკიდება პრესას, რომელშიც საეჭვო ღირსების, შეკვეთილი სტატიები მომრავლდა, ეს კი გაზეთებს ფარულ სპონსორებზე უფრო მეტად დამოკიდებულს ხდის.

# ისრაელი პალესტინის ტერიტორიის ხანგრძლივ ოკუპაციას აპირებს

18 ივნისს ისრაელში თავი მორიგმა თვითმკვლელმა აიფეთქა, რასაც 19 ებრაელის სიცოცხლე შეეწირა. ეს ყველაზე უფრო მასშტაბური ტერაქტი იყო ბოლო 6 წლის მანძილზე. ტერაქტის საპასუხოდ ისრაელის პრემიერ-მინისტრმა არიელ შარონმა, კაბინეტის წევრებთან კონსულტაციების შემდეგ, გააკეთა განცხადება "ტერორის მომაკვდინებელ აქტებზე ისრაელის საპასუხო ქმედებებში ცვლილების" შესახებ. მთავრობამ გადაწყვიტა პალესტინის ხელისუფლებისა და ტერორისტული ორგანიზაციების წინააღმდეგ რამდენიმე სამხედრო ოპერაცია ჩაატაროს. ებრაულმა მხარემ განაცხადა: **"ისრაელი ტერორისტულ აქტებს პალესტინის ადმინისტრაციის ტერიტორიის დაკავებით უპასუხებს. ჩვენ ამ ტერიტორიებს დავიკავებთ მანამ, სანამ ტერორი გაგრძელდება. ტერორის ახალ აქტებს დამატებითი ტერიტორიების დაკავება მოჰყვება".**

ისრაელის ჯარებმა მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე, პალესტინურ ტერიტორიებზე ტერაქტის შემდეგ რამდენიმე საათში დაიწყეს შესვლა. ჯარები შევიდნენ ჯენინში, ნაბლუსში, ჰებრონში, ბეთლემში, ქალქილიაში და პალესტინელთა სხვა ქალაქებსა და დასახლებებში. ოპერაციების შედეგად დააკავეს რამდენიმე ეჭვმიტანილი ტერორისტი, რამდენიმე პალესტინელი დაიჭრა, მათ შორის - ბავშვებიც (CNN).

## თვითმკვლელური აფეთქებების ნუსხა



2000 წლის სექტემბერში დაწყებული პალესტინელთა ინტიფადის პერიოდში 70-მა თვითმკვლელურმა აფეთქებამ 242 ებრაელის სიცოცხლე იმსხვერპლა

| თარიღი | | მოკლულთა რიცხვი |
|---|---|---|
| **2001** | | |
| მარტი | 1 | 1 |
| მარტი | 4 | 3 |
| მარტი | 28 | 2 |
| აპრილი | 22 | 1 |
| მაისი | 18 | 5 |
| ივნისი | 1 | 21 |
| ივნისი | 22 | 2 |
| ივლისი | 16 | 2 |
| აგვისტო | 9 | 15 |
| სექტემბერი | 9 | 3 |
| ოქტომბერი | 7 | 1 |
| ნოემბერი | 29 | 3 |
| დეკემბერი | 1 | 11 |
| დეკემბერი | 2 | 15 |
| **2002** | | |
| იანვარი | 27 | 1 |
| თებერ. | 16 | 2 |
| თებერ. | 18 | 1 |
| მარტი | 2 | 10 |
| მარტი | 5 | 1 |
| მარტი | 9 | 11 |
| მარტი | 20 | 7 |
| მარტი | 21 | 3 |
| მარტი | 27 | 29 |
| მარტი | 29 | 2 |
| მარტი | 30 | 1 |
| მარტი | 31 | 15 |
| აპრილი | 1 | 1 |
| აპრილი | 10 | 8 |
| აპრილი | 12 | 6 |
| მაისი | 7 | 15 |
| მაისი | 19 | 3 |
| მაისი | 22 | 2 |
| მაისი | 27 | 2 |
| ივნისი | 5 | 17 |
| ივნისი | 11 | 1 |
| ივნისი | 18 | 19 |

70-დან34 ტერაქტის შედეგად არავინ არ დაღუპულა

© GRAPHIC NEWS

# შეიქმნება თუ არა რუსეთ-ბელარუსის საკავშირო სახელმწიფო?

ლინა პანტელეევა

უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში, მიმდინარეობს ინტენსიური მოლაპარაკებები რუსეთსა და ბელარუსს შორის, რუსეთ-ბელარუსის საკავშირო სახელმწიფოს სამართლებრივი ჩარჩოს ძირითადი პრინციპების შემუშავებაზე, რომელმაც ორ სახლმწიფოს შორის ურთიერთობის ახალი ფორმა უნდა განსაზღვროს. რუსეთსა და ბელარუსს მოკავშირეობის ახალ დონეზე გადასვლა სურთ, მაგრამ მხარეებს კავშირის განსხავებული ხედვა აქვთ. რუსეთის პრეზიდენტი პუტინი ახალი კავშირისგან ეკონომიკურ სარგებელს ელის, ხოლო ლუკაშენკო პოლიტიკური დივიდენდების მოლოდინშია.

ერთი კვირის წინ სანკტ-პეტერბურგში შედგა რუსეთისა და ბელარუსის პრეზიდენტების შეხვედრა, რომელმაც, ზოგიერთი ექსპერტის შეფასებით, ეჭვქვეშ დააყენა ახალი კავშირის ჩამოყალიბების შესაძლებლობა. შეხვედრაზე ლუკაშენკომ საკავშირო სახელმწიფოს შექმნის თავისი გეგმა წარმოადგინა. ლუკაშენკოს გეგმა ბევრმა, მათ შორის, რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმაც, "მინი-საბჭოთა კავშირის" აღდგენის მცდელობად შეაფასა. ლუკაშენკოს გეგმის თანახმად, კავშირის კანონმდებლობა სახლმწიფოების კანონმდებლობაზე უზენაესი იქნება. ეს, ფაქტობრივად, სსრკ-ს უზენაესი საბჭოს ტიპის ზესახელმწიფოებრივი ორგანოს ჩამოყალიბებას გულისხმობს. პუტინმა ლუკაშენკოს გეგმა გააკრიტიკა და განაცხადა, რომ ლუკაშენკომ პოლიტიკური ამბიციები უნდა დაიოკოს და საბჭოთა კავშირის რუსეთის ეკონომიკური ინტერესების ხარჯზე აღდგენაზე ოცნებას თავი დაანებოს. "ძეხვი ცალკე უნდა იყოს და ბუზები ცალკე," – განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა.

რუსეთ-ბელარუსის კავშირი 1996 წლის აპრილში პრეზიდენტ ელცინსა და პრეზიდენტ ლუკაშენკოს შორის ხელშეკრულების ხელმოწერის შედეგად ჩამოყალიბდა. შეთანხმებაზე ხელმოწერისას ელცინი წმინდა პოლიტიკური მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა – წინასაარჩევნო ბრძოლაში ქულების დაწერას ცდილობდა. როგორც მოგეხსენებათ, ელცინის მთავარი კონკურენტი კომუნისტების ლიდერი გენადი ზიუგანოვი გახლდათ, რომლის წინასაარჩევნო პლატფორმაში მთავარი საკითხი საბჭოთა კავშირის აღდგენა იყო, რითაც იგი საბჭოთა კავშირის ნოსტალგიით შეპყრობილი მრავალი მაქალაქის გულს იგებდა. ბელარუსთან კავშირის შესახებ შეთანხმების ხელმოწერით, ელცინი ზიუგანოვის ამომრჩეველთა ნაწილის გადმობირებას შეეცადა, რადგან ეს კავშირი ბევრის მიერ სწორედ საბჭოეთის აღდგენის მცდელობად შეფასდა.

რაც შეეხება კავშირის გარდაქმნის მიმდინარე მცდელობას, როგორც ჩანს, რუსული მხარე უფრო ეკონომიკური მოსაზრებებით ხელმძღვანელობს. პოლიტიკური თვალსაზრისით, რუსეთის პრეზიდენტისთვის, რომელიც ბოლო დროს, გასაკუთრებით კი, 11 სექტემბრის შემდეგ, თავის დასავლურ ორიენტაციას უსვამს ხაზს, ბელარუსთან კავშირი მომგებიანი ნამდვილად არ უნდა იყოს. დასავლურ პრესაში ხშირად არის საუბარი ბელარუსში ლუკაშენკოს დიქტატორული რეჟიმის შესახებ და, აგრეთვე, ბელარუსის ერაყთან, ირანთან და დასავლეთისთვის არასასურველ ქვეყნებთან თანამშრომლობის (მათ შორის, სამხედრო საკითხებში) ირგვლივ. ამგვარად, პუტინს სურს კავშირის ეკონომიკური თანამშრომლობის ისეთ მექანიზმად გადაქცევა, რომელიც რუსეთის ბიზნესისთვის სარგებელს მოიტანს. ბრიტანული ჟურნალ "ეკონომისტის" აზრით, რუსეთის მთავარი მიზანია ბელარუსის ეკონომიკის ლიბერალიზაცია, რათა რუსეთის ფირმებმა დაბრკოლებების გარეშე შეიძინონ ბელარუსული საწარმოები.

ის, რომ პუტინი კავშირის შექმნას მხოლოდ ეკონომიკური თვალსაზრისით რუსეთისთვის სარგებლიანობის შემთხვევაში ხედავს, ლუკაშენკო-პუტინის ბოლო შეხვედრის დროს ნათლად ჩანდა. პუტინმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ბელარუსის ეკონომიკა რუსეთის ეკონომიკის მხოლოდ 3 პროცენტს შეადგენს და ამგვარად, თანასწორი კავშირიდან სარგებელს ბელარუსი მიიღებს და არა - რუსეთი. აქედან გამომდინარე, პუტინი ბელარუსს, ფაქტობრივად, იმაზე მიანიშნებდა, რომ თამაშის წესები სწორედ რუსეთმა უნდა განსაზღვროს. მოსკოვისთვის მიუღებელია მინსკისათვის ვეტოს უფლების მინიჭება, როგორც ამას ლუკაშენკო მოითხოვს. ბელარუსის პრეზიდენტმა პუტინის განცხადება აღიქვა, როგორც ბელარუსის რუსეთთან არათანასწორი პირობებით გაერთიანების წინადადება. მან განაცხადა, რომ რუსეთი მას "ფედერაციის 90-ე სუბიექტად გახდომას სთავაზობს", რასაც ბელარუსი არ ეთანხმება. ამ ქვეყანას მხოლოდ კონფედერაციის პრინციპებზე დაფუძნებული კავშირი აძლევს ხელს.

ლუკაშენკო პუტინის ამ განცხადებით თავის უკმაყოფილებას არ ფარავს და როგორც ჭეშმარიტი პროლეტარი ლიდერი, აცხადებს, რომ რუსეთ-ბელარუსის კავშირი ხალხისთვის იქმნება და არა პრეზიდენტებისთვის.

როგორც ჩანს, მხარეები ვერ შეთანხმებულან მთავარზე – რისთვის იქმნება კავშირი? გამოყენებითი საერთაშორისო კვლევის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის ვლადიმირ ფროლოვის შეფასებით, ბოლო პერიოდში მხარეებს შორის წარმოჩენილი უთანხმოებები იმის მანიშნებელია, რომ "რუსეთ-ბელარუსის ერთიანი სახელმწიფოს იდეა მოკვდა". თუმცა, არსებობს მოსაზრებაც, რომ არსებული პრობლემები მოგვარებას ექვემდებარება. გენადი სელეზნიოვის შეფასებით, მხარეები ზაფხულის ბოლოსთვის საკონსტიტუციო აქტის ისეთ კონცეფციაზე შეთანხმდებიან, რომელიც ორივე მხარეს დააკმაყოფილებს და უკვე დეკემბერში პარლამენტების მიერ დამტკიცდება. სელეზნიოვის აზრით, საბოლოოდ რუსეთ-ბელარუსის კავშირი ევროკავშირის სტრუქტურისა და ევროპარლამენტის მსგავსად იმუშავებს. რუსეთ-ბელარუსის კავშირის სახელმწიფო მდივნის, პაველ ბოროდინის აზრით, ორ სახელმწიფოს შორის თანამშრომლობის ახალ დონეზე გადასვლა გარდაუვალია და რომ კავშირს არაფერი ემუქრება, რადგან დღესდღეობით მხარეები 40-ზე მეტ ერთობლივ პროექტს ახორციელებენ, რომელთა შეწყვეტა შეუძლებელია. უკვე მოეწერა ხელი გეგმას 2001-2005 წლებში ერთიანი ვალუტის შემოღებისთვის აუცილებელი ღონისძიებების გატარების შესახებ. დსთ-ს ქვეყნებიდან რუსეთს ყველაზე აქტიური ეკონომიკური ურთიერთობები სწორედ ბელარუსთან აქვს.

მომავალი შეხვედრა, რომელზეც საკონსტიტუციო აქტის ახალი გეგმა უნდა იყოს წარმოდგენილი, 25 ივნისს არის დაგეგმილი. ეს შეხვედრა გვიჩვენებს, შესაძლებელია თუ არა რუსეთის ეკონომიკური ინტერესებისა და ბელარუსის ხელისუფლების პოლიტიკური ამბიციების თანხვედრა.

## ამბები

# 350 მილიარდი წამლებისათვის

აშშ რესპუბლიკური პარტია ახალი ჯანდაცვითი პროგრამის დაწყებას მოითხოვს, რომელიც 65 წელს გადაცილებული პაციენტებისათვის, მედიკამენტების შესასყიდად, ფინანსური დახმარების აღმოჩენას გულისხმობს. უკვე რამდენიმე ათეული წელია, რაც ხანში შესული პაციენტები უფასო სამედიცინო დაზღვევას იღებენ, მაგრამ ამერიკელები ფიქრობენ, რომ ეს საკმარისი არ არის.

იმის შესახებ, თუ რა ფორმით და რა რაოდენობით უნდა მოხდეს მოხუცების მედიკამენტების დაფინანსება, დებატები დიდი ხანია, მიმდინარეობს და ქვეყნის შიდა პოლიტიკურ ცხოვრებაში ერთ-ერთ ყველაზე მწვავე საკითხადაც ითვლება.

რესპუბლიკელების მიერ შემოთავაზებული პროექტი ათი წლის მანძილზე 350 მილიარდი დოლარის გამოყოფას ითვალისწინებს. დემოკრატები მას არ ეთანხმებიან, რადგან ფიქრობენ, რომ რესპუბლიკელები მეტისმეტად მჭიდროდ არიან დაკავშირებული ფარმაცევტულ ფირმებთან, რაც ფულის არასწორად განკარგვის საფრთხეს ზრდის, და მეორეც, მათი აზრით, დაფინანსება საკმარისი არ არის და მის 800 მილიარდამდე გაზრდას ითხოვენ.

# როგორ ვიქირაოთ ტელეფონი

ამერიკელმა მოხუცებმა, რომლებზეც ასე ზრუნავს მათი მთავრობა, აღმოაჩინეს, რომ ბოლო 20-30 წელია მათ "უმოწყალოდ ძარცვავენ" სატელეფონო კომპანიები, პირველ რიგში კი - AT&T.

70-80-იან წლებში მოსახლეობის უმეტესობა ტელეფონს, ყიდვის ნაცვლად, ქირაობდა. ნაქირავები დისკიანი ტელეფონები უმრავლესობამ გადაყარა, ან სუვენირად შეინახა.

მაგრამ, როგორც ერთ-ერთმა მოქალაქემ აღმოაჩინა, მას ჯერ კიდევ მისდიოდა ტელეფონის ქირაობის გადასახადი, თვეში 6 დოლარი. მან დაითვალა და დაადგინა, რომ ბოლო ოცი წლის მანძილზე ტელეფონის ქირაობაში 2700 დოლარი ჰქონდა გადახდილი. აღმოჩნდა, რომ მის მდგომარეობაში კიდევ მილიონობით ამერიკელია, რომლებმაც ტელეფონები 70-80-იან წლებში იქირავეს.

სატელეფონო კომპანიები მხრებს იჩეჩავენ და ამბობენ, რომ მომხმარებლისათვის გაგზავნილ ყოველ ანგარიშში ისინი უთითებდნენ, რის გადასახადს და რამდენს იხდიდნენ აბონენტები, რომლებსაც ყოველთვის შეეძლოთ, ქირაობაზე უარი ეთქვათ.

თავის მხრივ, აბონენტები ჩივიან, რომ მათ არავინ აუხსნა, რომ თურმე ტელეფონის ყიდვაც შეიძლება და AT&T-ს მათთვის მიყენებული 16-მილიარდიანი ზარალის ანაზღაურებას სთხოვენ.

# სპორტის სასახლეში არ ლოცულობენ...

თამარ მაისურაძე

**"მთელი მსოფლიოს დასანახად ჩვენ შევიკრიბებით სტადიონებზე, რადგან სხვა არაფერი დაგვრჩენია, ჩვენი მართლმადიდებლობის დასაცავად."** – ამ სიტყვებით მიესალმა პარლამენტარი გურამ შარაძე, გუშინ, სპორტის სასახლეში შეკრებილ საზოგადოებას, რომელთა შეკრების მიზეზიც საქართველოში რელიგიის კანონის მიღება და მართლმადიდებლური ეკლესიის გამთლიანება გახლდათ. ნაციონალური მოძრაობა - "ჩვენი საქართველოს" ლიდერის გურამ შარაძის თქმით, ყრილობა სახელწოდებით - "ჩვენ ვიცავთ მართლმადიდებლობას" საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ჩატარდა. თუმცა, თავად საპატიარქოს წარმომადგენლები ყრილობას არ ესწრებოდნენ. ეს ფაქტი შარაძემ ლოგიკურად ახსნა: **"მართალია, ბევრ სექტას სურს ასეთი სამლოცველო, მაგრამ სპორტის სასახლეში არ ლოცულობენ. საეკლესიო პირები ჩვენთვის ეკლესიაში ილოცებენ, თუმცა საერო ყრილობაზე ყველას შეუძლია მოსვლა."**

**"... და თუ ჩვენთან შემოვიდა ძე შეცდომილი, დაე, ამ ყრილობამ დაარწმუნოს, რომ ქართველი ყოველთვის ნიშნავდა მართლმადიდებელს და ეს ყოველთვის ასე იქნება,"** – გურამ შარაძის ამ სიტყვებს ნახევრად სავსე სპორტის სასახლე ტაშის გრიალით შეხვდა. ვინ იგულისხმა შარაძემ, ძნელი სათქმელია, თუმცა, ფაქტია, ეს განცხადება რელიგიის შესახებ კანონის შემოღებასა და ჩვენი მთავრობის ხსენებას მოჰყვა. სიმართლე გითხრათ, "ძე შეცდომილის" კანდიდატები დარბაზში ნაკლებად იყვნენ.

**"საქართველოში არ ირღვევა არც ერთი რელიგიური უმცირესობის უფლება. საქართველოში მართლმადიდებლების უფლებები ირღვევა,"**- განაგრძო გურამ შარაძემ, რომელიც მიიჩნევს, რომ სწორედ ამ საკითხზე ვაშინგტონიდან 15 სენატორის მიერ ხელმოწერილი წერილი საქართველოშივეა დაწერილი და ყოველივე ამაში მთავრობას, ჩვენს პრეზიდენტს სდებს ბრალს. **"ამერიკელები ჩვენს პრეზიდენტს ეუბნებიან არ ვარგიხარო, ესეც კვერს უკრავს, არ ვვარგივარო..." -** ანალოგიურად ფიქრობს პარლამენტარი ვახტანგ ბოჭორიშვილიც,

პრეზიდენტის თვითკრიტიკაზე მეტს ვერაფერს გეტყვით, თუმცა, ერთი რამ ფაქტია, სასულიერო პირებს, სახელმწიფო მოხელეებისგან განსხვავებით, საზოგადოების იეღოველებისგან დაცვა ასე მიაჩნიათ: **"ძალიან მარტივად შეიძლება ჩვენი რელიგიის სექტანტებისგან დაცვა, უბრალოდ, ხელისუფლება იყრუებს, არ უნდა ამ საკითხის მარტივად გადაჭრა. ეს ალბათ შეკვეთაა, ან ანტი-პოლიტიკური სიბეცეა. საქართველოს პატრიარქმა სთქვა, რომ უნდა შეიქმნას საკოორდინაციო საბჭო და ის ფინანსები, რომელიც უცხოეთიდან შემოდის, თავად გაანაწილონ. ამით ყველაფერი მოწესრიგდება. ეს ძალიან მარტივია, მაგრამ არ უნდათ, რადგან ვიღაცამ ფული ჯიბეში უნდა ჩაიდოს,"** – გვითხრა მამა ზაქარიამ.

კანონის შემოღება რელიგიის შესახებ სექტების პრობლემას დაარეგულირებს, - ასე ფიქრობენ ქართველი მართლმადიდებლები. ამის წინააღმდეგი არც პარლამენტარი გიგი წერეთელია, თუმცა თვლის, რომ კანონი არათუ ზოგად თეოლოგიურ და რელიგიურ საკითხებს უნდა მოიცავდეს, არამედ უნდა ეხებოდეს რელიგიური ორგანიზაციების შესახებ რეგისტრაციისა და სტატუსის საკითხებს. "**მართალია, სინდისის და რწმენის თავისუფლება კონსტიტუციით აღიარებულია, მაგრამ თუკი დამკვიდრება სურთ ანტისახელმწიფოებრივ რელიგიურ მიმდინარეობებს, რომლებიც თავიანთი მოქმედებით საფრთხეს უქმნიან საზოგადოებას, ჩვენც უნდა გვქონდეს კანონი, რომელიც მოაწესრიგებს ამ საკითხს. ეს ეხება მოსყიდვას, აგრესიულ ქადაგებას და სხვა. ამ შემთხვევაში, შესაძლებელია, შეიქმნას კანონი კონკრეტული საკითხების მოსაგვარებლად და არა კანონი რელიგიის შესახებ."** – გვითხრა მან.






იური ლობოდინის ფოტოები

# რა ეკუთვნით მრავალშვილიანებს უფასოდ

ეთერ მამულაშვილი

მიმდინარე წელს, თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებით, უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის ფულადი ერთჯერადი დახმარების ახალი ტარიფები დაწესდა.

სულ უმწეოთა 25 კატეგორიაა განსაზღვრული. მათ შორის არიან მრავალშვილიანი ოჯახები, ანუ ისინი, ვისაც 18 წლამდე ასაკის ოთხი და მეტი შვილი ჰყავთ. საკრებულოს ზემო აღნიშნული გადაწყვეტილებით, მრავალშვილიან ოჯახში ჩაწერილი თითოეული წევრი, დახმარების სახით, წელიწადში ერთხელ მიიღებს 20 ლარს. ამის გარდა, სპეციალურად, ამ კატეგორიისთვის არსებობს ჯანდაცვის საქალაქო სამსახურის მიერ შემუშავებული, ე.წ. ახალშობილთა პროგრამა. ამ პროგრამის მიხედვით, ახლად შეძენილ მეოთხე ბავშვზე ოჯახს 200 ლარის ოდენობის თანხა ეკუთვნის, მეხუთე (და ზემოთ) ახალშობილზე კი - 500 ლარი.

მრავალშვილიანი ოჯახები კომუნალური მომსახურების სრულ პაკეტზეც შეღავათებით სარგებლობენ, რაც შემდეგს ითვალისწინებს: 100%-იანი შეღავათი საოჯახო ნარჩენების გატანასა და სასმელი წყლის გადასახადზე, ყოველთვიურად 40 კუბური მეტრი გაზის უფასოდ მოხმარება.

მრავალშვილიანი ოჯახებისთვის უფასო სამედიცინო პროგრამაც მოქმედებს, რაც მათი ბავშვების (3-დან 15 წლამდე) გადაუდებელ სტაციონარულ მკურნალობას გულისხმობს. მათთვის და მათი ოჯახის წევრებისთვის თბილისში ფუნქციონირებს რამდენიმე უფასო სასადილო.

მრავალშვილიანი ოჯახის მოსწავლეებს სასკოლო სახელმძღვანელოები უფასოდ ურიგდებათ.

# ვიდრე ქსელი შეიცვლებოდეს

მიუხედავად იმისა, რომ დღეს თბილისს ნორმალური სასმელი წყალი მიეწოდება, ეპიდემიის აფეთქების საშიშროება მაინც არის. ამის მიზეზი წყალკანალის მოძველებული ქსელია. ქალაქის სანიტარიული სამსახურის ხელმძღვანელის ჯუღული ახვლედიანის თქმით, მოძველებული ქსელი გარკვეულ რისკს ქმნის. მართალია, ქსელი შეიძლება შეკეთდეს, მაგრამ იმდენად ძველია, რომ ყოველ კვირაში 100-150 დაზიანება აღირიცხება. 50-60 წლის წინანდელი წყალგაყვანილობები, წესით, 20-25 წლის წინათ უნდა შეეცვალათ. თბილწყალკანალის ხელმძღვანელობას სასმელი წყლის გაძვირებასა და მოსახლეობისგან წყლის დავალიანებების დაფარვასთან ერთად ამ პრობლემის მოგვარებაზეც რომ ეფიქრა, ურიგო არ იქნებოდა.

# სხდომა ასაცრელი პატარების სასარგებლოდ

ეკატერინე ბახუტაშვილი

დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენში, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონული ბიუროს ოფისში დაიწყო პოლიომიელიტის ლიკვიდაციის სასერტიფიკაციო კომისიის სხდომა, რომელიც ევროპის რეგიონისთვის პოლიომიელიტისგან თავისუფალი ზონის სერტიფიკატის მინიჭებას ისახავს მიზნად. მსოფლიოში ცნობილი ნევროლოგებისა და ვირუსოლოგებისგან შემდგარმა 21-კაციანმა კომისიამ უნდა გადაწყვიტოს, არის თუ არა აღმოფხვრილი პოლიომიელიტის ვირუსი ამ რეგიონში. კომისიის სხდომას ევროპის 27 ქვეყნის წარმომადგენლები ესწრებიან. სხდომაზე საქართველოსა და ბულგარეთში შარშან დაფიქსირებული პოლიომიელიტის ვირუსის თითო შემთხვევასა და მის აღმოსაფხვრელად გატარებულ ღონისძიებებსაც განიხილავენ. ჩვენთან დაავადების ბოლო შემთხვევა 1992 წელს დაფიქსირდა. ევროპელი სპეციალისტები საქართველოში სამჯერ იყვნენ ჩამოსულნი და ვირუსის აღმოსაფხვრელად გატარებული ღონისძიებები დადებითად შეაფასეს. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის ლევან ბაიდოშვილის თქმით, რეგიონისთვის სერტიფიკატის მინიჭების შემთხვევაში პოლიომიელიტის ვაქცინაცია ბავშვებში შემცირებული რაოდენობით - მხოლოდ 3 წლის განმავლობაში ჩატარდება. 3 წლის შემდეგ კი იმუნიზაცია საჭირო აღარ იქნება. ამჟამად პოლიომიელიტზე აცრა ბავშვებს 5 წლამდე უტარდებათ.

## ორი სიტყვით

**მედია-ნიუსი**

■ ■ ■

ქალაქის დაფინანსებით, ფონიჭალის დასახლებაში ცენტრალური მაგისტრალის კაპიტალური შეკეთება მიმდინარეობს. უკვე 1.700 მეტრის მანძილზეა შეკეთებული დასახლების სანიაღვრე კოლექტორი, გამოცვლილია სხვა კომუნიკაციებიც. დედაქალაქის მერის განცხადებით, ფონიჭალას უახლოეს ხანში ბუნებრივი აირით უზრუნველყოფენ და სატელეფონო ქსელის პრობლემას მოუგვარებენ.

■ ■ ■

გლდანის დასახლებაში მიმდინარეობს სოფელ გლდანთან დამაკავშირებელი გზის მშენებლობა, რომელიც, სავარაუდოდ, რამდენიმე თვეში დამთავრდება. დედაქალაქის მერია გლდანის სანიაღვრე კოლექტორის შეკეთებასაც აპირებს. ეს მის მიმდებარე ტერიტორიის დატბორვას დაუსვამს წერტილს და გლდანელებს მისცემს საშუალებას, ტბის სანაპირო დასასვენებლადაც გამოიყენონ.

■ ■ ■

„საქსტანდარტი" სერტიფიცირების საკითხს ამოწმებს ბაზრობა შპს „თერგში." ბოლო მონაცემებით, ბაზრობის ტერიტორიაზე სერტიფიკატის გარეშე 21 ინდივიდუალური მეწარმე ვაჭრობს. "თერგში" 5-6 ბაზრობაა გაერთიანებული და მათი შემოწმება კიდევ რამდენიმე დღე გაგრძელდება. „საქსტანდარტი" აპირებს, გამოვლენილი დარღვევების საფუძველზე, მიმართოს რაიონულ სასამართლოს და მოითხოვოს შპს „თერგის" ფართომასშტაბიანი შემოწმება. მისი მიზანი იქნება მეტროლოგიის წესების დაცვისა და პროდუქციის ხარისხის შესწავლა.

# ბიბლიოთეკებში ვირთაგვები დარბიან

ქეთი ქადაგიშვილი

დედაქალაქის ბიბლიოთეკების ავარიული შენობების გასამაგრებლად ქალაქის ხელმძღვანელობა ალბათ, კიდევ კარგა ხანს ვერ მოიცლის. როგორც მერიის კულტურის საქალაქო სამსახურში გვითხრეს, ქალაქის ხელმძღვანელობას ჯერ ბიბლიოთეკების აღდგენის გეგმა არ შეუდგენია. არადა, მიწისძვრის შემდეგ ისედაც ავარიული ბიბლიოთეკების შენობების მდგომარეობა დღითი დღე რთულდება. (დედაქალაქში სულ 55 ბიბლიოთეკაა). განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში ისნის რაიონში ირბახის ქუჩაზე მდებარე №2 ბიბლიოთეკაა. მერიის ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელმძღვანელების თქმით, ამ ბიბლიოთეკის შენობა ერთადერთია, რომლის აღდგენა ველარ მოხერხდება.

რამდენიმე ხნის წინათ, ბიბლიოთეკა შენობის შედარებით საიმედო ნაწილში გადაიტანეს, თუმცა ბიბლიოთეკარები უსაფრთხოდ არც იქ არიან. ბიბლიოთეკის გამგის ციალა გოგიჩაიშვილის თქმით, სულ მცირე ბიძგიც კი შენობას თავის "საიმედო ნაწილიანად" მიწასთან გაასწორებს. ჭიშკრიდან დაწყებული, შენობის სახურავის ჩათვლით, ყველაფერი მოშლილია, წვიმის დროს წყალი ჩადის. ამის გამო ბიბლიოთეკაში 50.000 წიგნიდან 10.000 "წყალმა წაიღო". ნაწილი კი ობდება და სოკო აქვს გაჩენილი. ნგრევის პირას მყოფ შენობაში ვირთაგვებმაც დაიბუდეს და წიგნების ღრნით ირთობენ თავს.

კულტურის საქალაქო სამსახურის მთავარი სპეციალისტის, ღვთისო მესხიძის თქმით, ბიბლიოთეკისთვის ახალი შენობის ასაშენებლად მერია კერძო ინვესტორს ეძებს. **"მერიას საამისოდ საკუთარი ხარჯები არ გააჩნია, ამიტომ შენობის ადგილი კერძო ინვესტორს უნდა დაუთმოს. ინვესტორმა მის მიერ აშენებულ შენობაში ბიბლიოთეკისთვის ფართი უნდა გამოყოს. მანამდე კი ბიბლიოთეკის თანამშრომლებსა და მკითხველებს სანახევროდ დანგრეული შენობაში მოუწევთ ყოფნა. თუ ბიბლიოთეკარებს შენობის დატოვება სურთ, ბიბლიოთეკის დახურვის შესახებ განცხადება დაწერონ", -** ამბობს მესხიძე.

ბიბლიოთეკარები შენობის დატოვებას არ აპირებენ. **"მიუხედავად იმისა, რომ შენობაში შემოსვლისაც კი გვეშინია, ბიბლიოთეკის დახურვას ყველაფერი გვირჩევნია. სამსახურის გარეშე დარჩენა არც ისე იოლია, თანაც ბიბლიოთეკა მკითხველსაც ძალიან სჭირდება",** - აცხადებს ბიბლიოთეკის გამგე.

# ხაჭო - კალცი-გლუკონატის მაგივრად

## რას მალავს იუსტიციის სამინისტრო

მაკა ჭაიანი

**"ის კატეგორია, რომელიც დღეს აქ არ მოვიდა, წამლებს ბაზრობებზე არ ყიდულობს, მაგრამ დანარჩენებმა რა ქნან?"** - იკითხა ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ, **ზეზვა ღუღუნიშვილმა**, როცა პარლამენტის კინოდარბაზში შეკრებილ კანონმდებლებს იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლები ნახევარსაათიანი ლოდინის შემდეგაც არ შეემატნენ. აქედან მოყოლებული, სხდომის დასრულებამდე, პარლამენტარები პერმანენტულად სვამდნენ დაწყებული მსჯელობის შეწყვეტის საკითხს. **"ჩვენ აქ იმისთვის შევიკრიბეთ, რომ გავიგოთ, როგორი დასასრული აქვს ჯანდაცვის სამინისტროს მიერ დაწყებულ საქმეს, ის კი, ვინც ეს უნდა გვითხრას, აქ არ არის,"** - ასეთი იყო მათი არგუმენტი.

თითქმის ჩაშლილი შეხვედრის თემა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო დახმარების, ფარმაცევტული საქმიანობისა და ნარკოტიკების ლეგალური ბრუნვის კონტროლის ინსპექციის მიერ სამკურნალო საშუალებებით უკანონოდ მოვაჭრეთა გამოსავლენად ჩატარებული შემოწმების შედეგები გახლდათ. წლეულს ინსპექციამ კანონის ამ სახით დამრღვევ 400-ზე მეტ ობიექტს შეუდგინა ოქმი და შემდგომი რეაგირებისთვის სასამართლოს გადასცა. **"სამწუხაროდ, აქედან მხოლოდ 95-ზეა მიღებული დაჯარიმების დადგენილება. დღემდე იმასაც ვერ მივაღწიეთ, რომ იუსტიციის სამინისტროსთან გაგვერკვია, ამ ობიექტებზე ჯარიმის დარიცხვის სახით რამდენი შევიდა სახელმწიფო ბიუჯეტში,"** - აცხადებს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი **ამირან გამყრელიძე.**

მოქმედი კანონმდებლობით, ჯარიმა 1000 ლარს შეადგენს. სასამართლოს რომ ინსპექციის ყველა აქტი დაეკმაყოფილებინა, ახლა საქართველოს ბიუჯეტი 400 ათასი ლარით მდიდარი უნდა ყოფილიყო. თუმცა, საქმე მარტო ფულში როდია. სამედიცინო დახმარების, ფარმაცევტული საქმიანობისა და ნარკოტიკების ლეგალური ბრუნვის კონტროლის ინსპექციის უფროსის მოადგილე, **ქეთევან ბარამიძე**, ამ გაურკვევლობის მიღმა სერიოზულ საფრთხეს ხედავს: **"ჩვენ ბაზრობების შემოწმება დავიწყეთ და შემაშფოთებელი შედეგები მივიღეთ. საქართველოში იყიდება წამლები, რომელსაც გარეგნული ნიშნებითაც ველარ უწოდებ წამალს. ერთ მაგალითს მოგიყვანთ. შევიძინეთ გადასასხმელი პრეპარატი "კალცი-გლუკონატი", რომელშიც სითხის ნაცვლად ხაჭოსებრი მასა აღმოჩნდა."**

მსგავსი მაგალითებით უხვად დამძიმებულ ქართულ ფარმაცევტულ ბაზარს დღეს რუსეთში აკრძალული პრეპარატებიც ავსებს. ეს ის წამლებია, რომლებიც ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობლებმა სულ ახლახან ამოიღეს ხმარებიდან. ასეთ განუკითხაობას ჯანდაცვის სახელმწიფო სამსახურები უვარგისი სამკურნალო საშუალებებით მოვაჭრეთა დაუსჯელობას აბრალებენ. მათი ძირითადი ნაწილი სახელდახელოდ გამართულ ჯიხურებში საქმიანობს და, კანონმდებლების აზრით, 1000-ლარიანი ჯარიმის გადახდას ვერაფრით შეძლებს.

ამ აზრს სააღმსრულებლო სამსახურებშიც იზიარებენ. **"1000 ლარი წვრილ მოვაჭრეს წელში გატეხს. არ ვიცი, ამის ბრალია, არ ვიცი, შემმოწმებლებმა ძალიან შეაშინეს - მითითებულ მისამართზე მისულებს, დასაჯარიმებლები ადგილზე აღარ გვხვდებიან. ვადგენთ ოქმებს და ვბრუნდებით უკან. ისიც უნდა ითქვას, რომ მისამართები, ხშირ შემთხვევაში, ბუნდოვნადაა მითითებული. მაგალითად, "ავტოსადგურ "ოკრიბას" მიმდებარე ტერიტორიაზე მოქმედი ჯიხური", "ამა და ამ სასურსათო მაღაზიაში გამართული სააფთიაქო დახლი..." პირველ ეტაპზე 37 გადაწყვეტილება მოგვივიდა აღსასრულებლად და, ამ მიზეზების გამო, მხოლოდ 4-ის აღსრულება შევძელით. ახლა 50-მდე დადგენილება გვიდევს და, ვნახოთ, რა შედეგი იქნება,"** - ასე ხსნის ვითარებას თბილისის სააღმსრულებლო ბიუროს უფროსი **გიორგი ჩალათაშვილი.**

ჩვენს ქალაქში და, საერთოდ, ჩვენს ქვეყანაში, როგორც ამბობენ, ყველაფერი მოსულა, მაგრამ, კანონით, ამოღებული ჯარიმების 15 პროცენტი აღმსრულებლების ანგარიშზე მიდის. საბოლოო ჯამში ეს პატარა თანხა არ არის და, ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, საქმის მაქსიმალურად გაკეთება ამ სამსახურს ხელს უნდა აძლევდეს. ეს - ლოგიკის მიხედვით. რეალურად რა ხდება, ერთმა ღმერთმა იცის. მომდევნო თვის განმავლობაში ამის გარკვევას გენერალური პროკურატურა შეეცდება. პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტმა, რომელსაც იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლები, თურმე, იმიტომ არ ეწვივნენ, რომ სხდომაზე ოფიციალური მიპატიჟება არ მიუღიათ, სწორედ ასე გადაწყვიტა.

# ნატახტრის საქმის დეტალები

პირველი გვერდიდან

### სიმონ მჭედლიძის ხარვეზიანი ბიოგრაფია



მჭედლიძის მანქანა, რომელსაც ექსპერტიზა ჩაუტარდა. 1995 წ.

საქმის მთავარი შემსრულებელი (ჯერჯერობით) სიმონ მჭედლიძე ღირსშესანიშნავი ბიოგრაფიით არ გამოირჩევა. იგი წარმოშობით სოფელ ნიქოზიდანაა. 1991-1993 წლებში ეროვნულ გვარდიაში მსახურობდა. მონაწილეობდა სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ომებში და კარგი მეომრის სახელითაც სარგებლობდა. სიმონ მჭედლიძე ომის პერიოდში დაუახლოვდა თენგიზ კიტოვანს. როგორც საქმეში ჩახედული ადამიანები აცხადებენ, პროფესიონალი მძღოლი გახლდათ. თენგიზ კიტოვანთანაც მძღოლად მუშაობდა.

ომის შემდეგ სიმონ მჭედლიძე ჯერ სამხედრო პოლიციაში, შემდეგ კი შსს-ს ოპერატიულ სამსახურში მოღვაწეობდა. ორი წლის წინ მან მუშაობა დაიწყო სახელმწიფო დაცვის სამსახურის სამეურნეო სამმართველოში, კვლავ მძღოლად. მარტის თვეში უფროსმა სერჟანტმა სიმონ მჭედლიძემ კარიერის თვალსაზრისით სერიოზული ნახტომი გააკეთა – უშიშროების სამინისტროს გარე დაცვის განყოფილების მე-11 ქვეგანყოფილების უფროსის მოადგილედ დაიწყო მუშაობა. ორ თვეში მას ჩინიც მოუმატეს – მაიორი გახდა. მანამდე, სიმონ მჭედლიძე თავდაცვის მინისტრის თენგიზ კიტოვანის მიერ სიტყვიერად ბოძებული კაპიტნის წოდებით იწონებდა თავს. თავდაცვის სამინისტროდან გამოთხოვილი დოკუმენტაციის საფუძველზე, მჭედლიძე უშიშროებაში მაიორი გახდა. თავდაცვის სამინისტრომ დაადასტურა, რომ მას კიტოვანმა კაპიტნის ჩინი უბოძა.

აი, ასეთი გახლავთ 34 წლის უშიშროების მაიორის სიმონ მჭედლიძის ბიოგრაფია.

სხვათა შორის, უშიშროების მინისტრმა ვალერი ხაბურძანიამ მუქარა გუშინვე შეასრულა და მჭედლიძის პროტექტორები დასაჯა. უშიშროების სამინისტროს მაღალჩინოსნები, სამინისტროს კადრების სამმართველოს უფროსი თემურ ებიტაშვილი და ადმინისტრაციული სამმართველოს უფროსი მურად ცხოვრებაძე გუშინ სამსახურიდან დაითხოვეს.

სიმონ მჭედლიძის პირად არქივში ერთი ხარვეზიანი ისტორიაცაა.

მას შემდეგ, რაც ნატახტრის სკანდალი საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა, რედაქციაში დაგვიკავშირდნენ ზაზა კლიმიაშვილი და ჯემალ გირკელიძე. მათი ნაამბობიდან შევიტყვეთ, რომ 1995 წლის 30 მარტს მცხეთიდან თბილისში ავტომანქანით მომავალმა სიმონ მჭედლიძემ, რომელიც ნასვამ მდგომარეობაში მართავდა მანქანას, ავტოავარია მოახდინა. ავარიის შედეგად გარდაიცვალა 27 წლის ილია გირკელიძე, რედაქციაში მოსული ჯემალ გირკელიძის ძმა და ზაზა კლიმიაშვილის ცოლისძმა.

მომხდარ ავარიაზე მცხეთა-მთიანეთის პოლიციის სამძებრო სამმართველოში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და დაიწყო გამოძიება. მჭედლიძემ გამოძიებას განუცხადა, რომ ავარიის მიზეზი არც სიმთვრალე და არც გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობა არ გამხდარა. ავარია, მისი თქმით, საჭის გაჭედვამ გამოიწვია.

ილია გირკელიძის ახლობელთა განცხადებით, შემთხვევის ადგილიდან პოლიციის ეზოში მიყვანილ მანქანას გამოძიებამ ავტოტექნიკური ექსპერტიზა ჩაუტარა. თუმცა, ამ დროისთვის მანქანა უკვე გაძარცული იყო. დაიწერა ექსპერტის ფიქტიური დასკვნა და მის საფუძველზე საქმის გამოძიება შეწყდა. მცხეთა-მთიანეთის პოლიციამ, სიმონ მჭედლიძის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არარსებობის მოტივით, საქმე დახურა. პოლიციის გადაწყვეტილებას დაეთანხმა მცხეთა-მთიანეთის პროკურატურაც. ილია გირკელიძის ოჯახის წევრებმა გენერალური პროკურორის მაშინდელ მოადგილეს, რევაზ ყიფიანსაც მიმართეს საჩივრით, პარლამენტსაც, მაგრამ, როგორც გარდაცვლილის ძმა და ცოლისძმა აცხადებენ, სიმონ მჭედლიძემ მაშინ პოლიცია-პროკურატურაში საქმე ჩააწყო და ამიტომაც გადარჩა პასუხისგებაში მიცემას. ერთი სიტყვით, საქმე ჩაიფარცხა.

მათივე თქმით, მანქანა, რომლითაც სიმონ მჭედლიძემ ავტოავარია მოახდინა და 27 წლის ილია გირკელიძე სიცოცხლეს გამოასალმა, ცხინვალიდან იყო გატაცებული.

სიმონ მჭედლიძის ეს ბიოგრაფიული მონაცემი, რა თქმა უნდა, მის პირად საქმეში აღარ მოიძებნება.

### კალაშოვი დაიკითხება

მთავარი სამხედრო პროკურორი გია ჯიქია "ტყის ძმების" მეთაურის, დავით შენგელიას მოლოდინშია. ჩვენთან საუბრისას პროკურორმა განაცხადა: **"ტელეფონით პირადად ვესაუბრე დათო შენგელიას და ვუთხარი, რომ მოსულიყო პროკურატურაში და ჩვენება მოეცა. ახლა ველოდებით მის გამოჩენას. ჩვენების მიცემის შემდეგ ვიმსჯელებთ მისი პასუხისმგებლობის საკითხზე. საერთოდ, დათო შენგელიას განცხადება ჩემთვის მოულოდნელი იყო. მომხდარი დანაშაულის მასთან დამაკავშირებელი დეტალები საქმეში საერთოდ არ მოიპოვება."**

პროკურატურა დაინტერესებულია საქმის წამყვანი პირით. მთავარ სამხედრო პროკურორს უკვე სამუშაო მაგიდაზე უდევს კრიმინალური სამყაროს ავტორიტეტის, შაქრო კალაშოვის ბიოგრაფიული მონაცემები, შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან ამოღებული მასალები. მას შემდეგ, რაც სიმონ მჭედლიძე ბრალდებულად გამოცხადდება, გამოძიება კალაშოვს დაკითხავს.

მთავარმა სამხედრო პროკურორმა კალაშოვთან დაკავშირებულ შეკითხვაზე ასეთი პასუხი გაგვცა: **"თქვენი შეკითხვის ქვეტექსტი ჩემთვის გასაგებია, მაგრამ გამოძიებას აქვს თავისი ტაქტიკა და მას ვერ გაგიშიფრავთ. კალაშოვის დაკითხვა აუცილებლად მოხდება. გამოძიების დღის წესრიგში ეს საკითხი პირველ ნომრადაა. მაქსიმუმს გავაკეთებთ, რათა მივიღოთ მისი ჩვენება... ვნახოთ, მოვიპოვებთ თუ არა კალაშოვის ჩვენებას,"** - აცხადებს გია ჯიქია.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, დათო შენგელია და მისი რამდენიმე მეგობარი - შავი სამყაროს ავტორიტეტები - გუშინ, გვიან ღამით შაქრო კალაშოვთან სტუმრობდნენ. საიდუმლო შეხვედრის დეტალები ჩვენთვის უცნობია.

# გზააბნეული ჯარისკაცები იარაღს აბარებენ

ხათუნა ჯანგირაშვილი

უკვე მესამე დღეა, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, საიდანაც შერეული სამშვიდობო ჯარების რვა ჯარისკაცი გაიქცა, საგანგებო რეჟიმია გამოცხადებული. უშიშროების სამინისტროს ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, გაქცეული რვა ჯარისკაციდან ექვსი გუშინწინ, გვიან ღამით, სოფელ დიცთან დააკავეს. ორი ჯარისკაცის დასაკავებლად ოპერატიული ღონისძიებები კვლავ გრძელდება. თუმცა, მათ ძებნას რუსი სამშვიდობოები და ქართველი სამართალდამცველები, ჯერჯერობით, კვლავ უშედეგოდ განაგრძობენ. კონფლიქტის ზონის სოფლებში სამშვიდობოების კონტროლი გაძლიერებულია.

გავრცელებული ინფორმაციით, დაკავებულმა ჯარისკაცებმა გატაცებული იარაღი დააბრუნეს. როგორც რუსეთის სამშვიდობო ძალების სარდალი, გენერალ-მაიორი პრიზემლინი აცხადებს, რვიდან ექვსი ჯარისკაცის დაკავებისას არანაირ ინციდენტს ადგილი არ ჰქონია. **"მათ წინააღმდეგობა არ გაუწევიათ, პირიქით, გაუხარდათ კიდეც ჩვენი დანახვა. ისინი, უბრალოდ, საკვების საშოვნელად იყვნენ წასულები და ნაწილში დაბრუნებისას გზა აერიათ, პოსტის მიტოვება განზრახული არ ჰქონდათ",** - აცხადებს რუსეთის სამშვიდობო ძალების სარდალი. მას იმედი აქვს, რომ დანარჩენი ორი ჯარისკაციც, რომელთა კვალიც ჯერჯერობით არ ჩანს, სოფელ დიცის ტერიტორიაზე იქნებიან, ისინი უბრალოდ გზააბნეულები არიან და თავისითაც მიაგნებენ მიტოვებულ ნაწილს.

გავრცელებული ინფორმაციით, დაკავებული ჯარისკაცები უგონოდ ნასვამ მდგომარეობაში იყვნენ და დამშეულებს ჰგავდნენ.

რამდენად შეეფერება სიმართლეს რუსეთის სამშვიდობო ჯარების სარდლის განცხადება, რომ ჯარისკაცებმა სამხედრო ნაწილი საკვების შოვნის მიზნით დატოვეს და გზა აერიათ, ეს ალბათ მოგვიანებით გაირკვევა. ისე კი, საინტერესო და, თანაც, საეჭვოა, რისთვის სჭირდებოდათ "მშიერ" ჯარისკაცებს ორი ავტომატი, 500-მდე ვაზნა, ათი ყუმბარა, ყუმბარმტყორცნი და ტყვიამფრქვევი.

# ადვოკატები კანონმდებლებს აჩქარებენ

ხათუნა ჯანგირაშვილი

**პარლამენტის დღის წესრიგის გუშინდელმა შეცვლილმა განრიგმა, გამოცდების არჩაბარებისა და ჩაბარების მსურველი ადვოკატების ერთნაირი აღშფოთება გამოიწვია. პარლამენტის შენობის წინ შეგროვილი ადვოკატები საკანონმდებლო ორგანოსგან "ადვოკატურის შესახებ" კანონპროექტის სასწრაფო განხილვას მოითხოვდნენ.**

ორშაბათის ბიუროს სხდომის გადაწყვეტილებით, "ადვოკატურის შესახებ" კანონპროექტზე პარლამენტს გუშინ უნდა ემსჯელა. თუმცა, გარკვეული მიზეზების გამო, სხდომაზე სხვა საკითხების განხილვა გადაწყდა. სწორედ ეს გახდა ადვოკატთა კორპუსის განაწყენების მიზეზი.

შეკრებილი ადვოკატები პარლამენტის შენობაში დეპუტატებს არ უშვებდნენ და ქვეყნის მეორე პირთან შეხვედრას დაჟინებით ითხოვდნენ. მოგვიანებით მათ ქუჩაც გადაკეტეს. პარლამენტის თავმჯდომარემ მათთან შეხვედრაზე თავდაპირველად უარი განაცხადა – იურისტები ასე არ უნდა იქცეოდნენ, ასეთი ზეწოლის ქვეშ პარლამენტი ვერანაირ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებსო. ადვოკატები კი ნინო ბურჯანაძესთან შეხვედრის გარეშე დაშლას არ აპირებდნენ.

**"ეს არის გამაფრთხილებელი აქცია, ჩვენ ჩვენს ღირსებას ვიცავთ, როდემდე უნდა ვიყოთ ცაში გამოკიდებულები? ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა გაგვაგებინონ, რას გვიპირებენ - უნდა ჩავაბაროთ თუ არა გამოცდები. დღეს აქ ყველა გავერთიანდით – გამოცდის ჩაბარების მსურველიც და მოწინააღმდეგეც. ვითხოვთ, დროზე გადაწყდეს ჩვენი საქმიანობის მომავალი. დავიღალეთ..."** – აღშფოთებას ვერ მალავდნენ კანონმდებლებთან მისული სახელმწიფო თუ კერძო ადვოკატები.

მოგვიანებით, პარლამენტის თავმჯდომარე "პროტესტანტ" ადვოკატებს შეხვდა, რის შემდეგაც აქცია დაიშლა.

"ადვოკატურს შესახებ" კანონპროექტს პარლამენტი ხვალ განიხილავს.

## ამბები

### სენაკელი ავტორიტეტი დაიჭირეს

სენაკელმა პოლიციელებმა სენაკელი, ე. წ. შავი სამყაროს წარმომადგენელი, თენგიზ პაჭკორია გუშინ ღამით, ყაჩაღობისთვის დააკავეს. პაჭკორია, თანამზრახველთან ერთად, თავს დაესხა ივანე ნარუაშვილის ოჯახს. ნარუაშვილმა თავდამსხმელებს წინააღმდეგობა გაუწია, რასაც მისი მძიმედ დაჭრა მოჰყვა. თავდასხმის დროს გამოყენებული იარაღი – ბასრი დანა, უკვე გამოძიების ხელშია. პაჭკორიას თანამზრახველის კვალს პოლიციამ ჯერჯერობით ვერ მიაგნო.

### წართმეული წაართვეს

თელაველი ზურა გოგიშვილი და ლაგოდეხის სასაზღვრო რაზმის რიგითი - ირაკლი მიჩიტაშვილი თელავის პოლიციამ იმ დროს დააკავა, როცა ისინი მახმუდ ალადაშვილს ძარცვავდნენ. ალადაშვილის ნივთები, რომლებიც მას მძარცველებმა ძალის გამოყენებით წაართვეს, ნივთმტკიცების სახით პოლიციელებს აქვთ.

### ციხეში დააბრუნებენ

ციხიდან ცოტა ხნის წინ გამოსული გია ფარტენაძე და ასევე ნასამართლევი ჯონი ჯიბლაძე, ხულოს რაიონის პოლიციამ ხელახლა დაიჭირა. ამჯერად მათ ბათუმიდან ავტომანქანა გაიტაცეს. პოლიციამ მანქანის კვალს უკვე მიაგნო. დაკავებისას ჯონი ჯიბლაძეს ექვსი გრამი მარიხუანაც აღმოუჩინეს. დაკავებულები ყაჩაღობისთვის კვლავ გასამართლდებიან.

### ქარელში კანაფის პლანტაცია გაანადგურეს

ქარელის რაიონის ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ქვეგანყოფილების თანამშრომლებმა 23,25 კილოგრამი კანაფი გაანადგურეს. ჯერჯერობით გაურკვეველია, ვინ გააშენა ქარელის რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე 2 450 ძირი კანაფის პლანტაცია.

# სკანდალური ქართული ფინიში

სოფიკო ჩხაიძე

პიტერ შოუ დღეს საქართველოდან უნდა წასულიყო. მისი ექვსწლიანი მოღვაწეობა კი პოსტსაბჭოთა სივრცეში სკანდალების ნაკლებობას არ განიცდიდა. სკანდალური აღმოჩნდა მისთვის ქართული ფინიშიც.

### შოუს გატაცების შოუ

პიტერ შოუ ჯერ კიდევ გამტაცებლების ხელშია. ბრიტანეთის მოქალაქის გატაცებამ სერიოზულად გამოაცოცხლა ქართველი სამართალდამცველები და არა მარტო ისინი. მთავრობის გუშინდელ სხდომაზე საქართველოს პრეზიდენტმა, ჩვეულებისამებრ, არ დაიზარა და გატაცების ფაქტის გამოძიება პირად კონტროლზე აიყვანა, "აგრობიზნესბანკის" დირექტორის, პიტერ შოუს დაბრუნებაზე პირადი პასუხისმგებლობა კი, უშიშროებისა და შინაგან საქმეთა მინისტრებთან ერთად, გენერალურ პროკურორს დაავალა. როგორ შეხვდებიან მაღალჩინოსნები ამ პასუხისმგებლობას და რამდენად შეძლებენ პრეზიდენტის იმედების გამართლებას, ჯერჯერობით, ძნელი სათქმელია. ცნობილია მარტო ის, რომ შოუს გატაცებიდან მეორე დღეს შს მინისტრს მხოლოდ გატაცების დეტალების მოყოლა შეეძლო. ფაქტობრივად, ერთადერთი, რაც გამოძიებას გუშინდელი დღისთვის ჰქონდა, ეს გახლდათ აღმოჩენილი ორი მანქანა — ერთი პიტერ შოუს კუთვნილი "შკოდა", რომელიც გამტაცებლებმა გატაცებულთან ერთად წაიყვანეს, და მეორე — გამტაცებლების, უფრო სწორად, ორი დღის წინ მოპარული მანქანა "07", რომელსაც ბოროტმოქმედები მართავდნენ. სხვათა შორის, ამ მანქანის ნომრები გამტაცებლებს ოპერაციაზე წასვლამდე შეუცვლიათ. სანომრე ნიშანი, რომელიც დიდ დიღომში ნაპოვნ "07"-ს ეკეთა, პანკისში აღმოჩნდა რეგისტრირებული. გარდა ამისა, მთელი საქართველოს მასშტაბით შსს-ს ორგანოებს დაგზავნილი აქვთ გამტაცებელთა გარეგნული აღწერილობა.

აღსანიშნავია, რომ მანქანების პოვნას და გამტაცებელთა აღწერილობის დადგენას გამოძიება იმ პოლიციელებს უნდა უმადლოდეს, რომლებიც შოუს გატაცებას პირადად შეესწრნენ, მაგრამ მანქანის ნომრებისა და ბოროტმოქმედთა გარეგნობის დამახსოვრების გარდა, ვერაფერი შეძლეს.



კობა ნარჩემაშვილს სათქმელი არაფერი აქვს, გატაცების დეტალების გარდა.

ბესო გულაშვილის ფოტო

როგორც გუშინ გამართულ ბრიფინგზე შს მინისტრმა ჟურნალისტებს უამბო, ბუდაპეშტის ქუჩაზე, "აგრობიზნესბანკის" ოფისიდან მეგობართან ერთად გამოსული შოუ საკუთარ ავტომანქანაში ჩაჯდა და სახლისკენ გაემართა. იოსებიძის ქუჩაზე მას წამოეწია ავტომანქანა პოლიციის ფორმაში ჩაცმული მგზავრებით. მათ უცხოელს მანქანა გააჩერებინეს და აიძულებდნენ, გადმოსულიყო. სწორედ ამ გაწევ-გამოწევისას შემთხვევის ადგილზე გამოიარა პოლიციის პატრულის ჯგუფმა, კაპიტნისა და ორი რიგითის შემადგენლობით. მათ პოლიციის ფორმაში გამოწყობილებს ურჩი უცხოელის დამორჩილებაში დახმარებაც კი შესთავაზეს და სანამ შეგვიანებულ პასუხს ელოდნენ, სამხედრო ფორმაში ჩაცმული ხალხით სავსე მანქანა მიუახლოვდათ. მისულებმა პოლიციის პატრულს მოსთხოვეს, წასულიყვნენ ამ ადგილიდან, უარის მიღების შემდეგ კი ცეცხლი გახსნეს.

შს მინისტრის თქმით, სროლის დროს არავინ დაზიანებულა, თუმცა თავდამსხმელებმა პიტერ შოუს გატაცება როგორღაც მაინც მოახერხეს.

კობა ნარჩემაშვილმა აღიარა, რომ პოლიციელებმა გამტაცებლებს სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს და ეს ფაქტი იმით ახსნა, რომ წესრიგის დამცველები პისტოლეტებით იყვნენ შეიარაღებულები და წამგებიან სიტუაციაში იმყოფებოდნენ. არადა, ცნობილია, რომ ახლო დისტანციაზე შეტაკებისას, პისტოლეტი უფრო მოსახერხებელი ტიპის იარაღია, ვიდრე საგრძნობლად უფრო გრძელი კალაშნიკოვის ავტომატი. ნარჩემაშვილს არ აუხსნია, რატომ არ დაედევნა საპატრულო ჯგუფი გამტაცებლების მანქანებს, თუმცა, შემთხვევის ადგილზე პოლიციელთა გამოჩენა მას მაინც სასარგებლოდ მიაჩნია. რაც არ უნდა იყოს, გამტაცებლები სიუჟეტის ასეთ განვითარებას არ ელოდნენ, რამაც სამართალდამცავებს საშუალება მისცა, დანაშაულის გარკვეული კვალისთვის მიეგნოთ.

გატაცებიდან თხუთმეტ წუთში თბილისის შესასვლელ-გასასვლელები გადაიკეტა, თუმცა, ცხადია, ეს ვერ იძლევა იმის გარანტიას, რომ გამტაცებლები, ტყვესთან ერთად, თბილისში ვერ დაიმალებიან. ასევე არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ უცხოელი პანკისში არ წაუყვანიათ. ამდენად, პოლიციის საყვარელი - გზების გადაკეტვის მეთოდი უფრო მოქმედების ილუზიის შექმნის მცდელობას წააგავს, ვიდრე რეალურ მოქმედებას. ამასთანავე, ახმეტის პოლიციის უფროსის ავთანდილ თურქიაშვილის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ რეგიონში გაძლიერებულია საგზაო პოლიციის საგუშაგოები და ტარდება შესაბამისი ოპერატიული ღონისძიებები, ბოროტმოქმედებს პიტერ შოუს პანკისის ხეობაში გადაყვანა საქართველოს სხვა რაიონებიდან, მთის ბილიკების მეშვეობითაც შეუძლიათ.

### საქართველოს იმიჯი საფრთხეშია

გუშინ საქართველოში ევროკავშირის ტასისის პროგრამის წარმომადგენლებმა გამაფრთხილებელი მესიჯი გაახმოვანეს. მათი თქმით, თუ ერთი კვირის მანძილზე სამართალდამცველი ორგანოები ვერ უზრუნველყოფენ პიტერ შოუს დაბრუნებას, საფრთხე შეექმნება არა მარტო ევროკავშირის მიერ "აგრობიზნესბანკისთვის" იმ გრანტის გამოყოფას, რომლის საკითხიც ევროპელებმა ამ კვირაში უნდა განიხილონ, არამედ, საერთოდ, ევროკავშირის მხრიდან საქართველოსთვის დახმარებების გაწევას და, საბოლოო ჯამში, ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანების შანსებს. ევროპელების გაფრთხილებასთან ერთად, გატაცებულის დაბრუნება ქართველი სამართალდამცველების მხრიდან საკუთარი სკამების შენარჩუნებაზე ზრუნვამაც უნდა დააჩქაროს – მთავრობის გუშინდელ სხდომაზე შევარდნაძე ხომ, შოუს დროულად ვერგათავისუფლების შემთხვევაში, ძალოვანი მინისტრების პასუხისმგებლობის საკითხის დასმით დაიმუქრა. ძალოვნებიც ფორსირებულად ამუშავებენ სხვადასხვა ვერსიებს, რაც საკმაოდ შრომატევადი საქმეა, თავად პიტერ შოუს საქართველოში მოღვაწეობის თანმხლები შუქ-ჩრდილების გათვალისწინებით.

როგორც ამბობენ, შოუს საქართველოში ბევრი მტერი ჰყავდა. თავის დროზე, როცა პარლამენტის ანტიკორუფციული საგამოძიებო კომისია სოფლის მეურნეობის იმდროინდელ მინისტრს, ბაკურ გულუას ევროპელებისგან მიღებული 300 მილიონი ეკიუს არამიზნობრივად დახარჯვას ედავებოდა, მათ გარკვეული სერიოზული პრეტენზიები შოუს მიმართაც ჰქონდათ. თუმცა, მაშინ პარლამენტარ-ანტიკორუფციონერებს უცხოელმა ბაკურ გულუა "მიუგდო შესაჭმელად" და თავად განზე გადგა. უკვე ამის შემდგომ მან მთავარი როლი შეასრულა რამდენიმე, საკმაოდ მსხვილი ქართული ბანკის გაკოტრებაში. მიუხედავად ამ ძველი ისტორიების სკანდალურობისა, დღეს გამოძიება ნაკლებად განიხილავს ადრინდელი წყენის გამო გატაცების ვერსიას. არის გარკვეული ვარაუდები იმის თაობაზე, რომ პიტერ შოუმ მტრების დაგროვება "აგრობიზნესბანკშიც" მოასწრო. გუშინდელ მთავრობის სხდომაზე კი გენერალური პროკურორის მხრიდან კიდევ ერთმა ვერსიამ გაიჟღერა. ნუგზარ გაბრიჩიძის თქმით, პიტერ შოუს გატაცება, შესაძლოა, უკავშირდებოდეს "აგრობიზნესბანკისათვის" ევროკავშირის მიერ ერთი მილიონი ევროს გამოყოფის საკითხს. რამდენად ახლოს არის ეს ვერსია რეალობასთან, ძნელი სათქმელია, იქიდან გამომდინარე, რომ, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ამ თანხის გამოყოფისათვის გამოცხადებულ ტენდერში, "აგრობიზნესბანკის" გარდა, სხვა ქართული ბანკები არ მონაწილეობენ. თუმცა, ეს გაბრიჩიძისეული ვერსიის გამორიცხვის საფუძველს იმდენად არ იძლევა, რამდენადაც, შესაძლოა, ტენდერში მონაწილე უცხოურ ორგანიზაციებს ჰყავდეთ მონდომებული ქართველი "ლობისტი".

არის კიდევ ერთი ვერსია, რომლის ხმამაღლა გამოთქმასაც სამართალდამცველები ჯერჯერობით თავს არიდებენ. ამ ვერსიის თანახმად, შოუ იმ იარაღის პატრონებმა მოიტაცეს, რომელიც გუშინწინ დააკავა პოლიციამ ნატახტარის საგუშაგოსთან. 300 ათასი დოლარის (როგორც ამბობენ) ღირებულების იარაღი, რომელსაც შესაძლო რეალიზაციის შემდეგ კიდევ მოგება უნდა მოეტანა, ძნელი დასავიწყებელია. ამიტომ არ არის გამორიცხული, იარაღის მფლობელებმა გატაცებული ბრიტანელის იარაღში გაცვლა მოითხოვონ. ცხადია, დღევანდელ აბსურდის თეატრში ამ ვარაუდსაც აქვს არსებობის უფლება, თუმცა, ჯერ ამაზე ლაპარაკი ნაადრევია. ყოველ შემთხვევაში მანამდე მაინც, სანამ გამტაცებლები კავშირზე არ გამოსულან.

# "გრანტიჭამია" არასამთავრობო ორგანიზაციები და "ანგაჟირებული" პოლიტიკოსები

## მითი და რეალობა

ლიანა ჭერვალიძე

ნებისმიერი არარგუმენტირებული გალაშქრება როგორც არასამთავრობო ორგანიზაციებისა და დამოუკიდებელი მედიის, ისევე დასავლური ორიენტაციის ცალკეული საზოგადო მოღვაწეების წინააღმდეგ, მიუთითებს იმაზე, რომ არც ჩვენს ხელისუფლებას, არც პოლიტიკურ პარტიებს და მათ ლიდერებს არ გააჩნიათ ქვეყნის განვითარების ჩამოყალიბებული კონცეფცია და პროგრამა. ამიტომ, კონცეპტუალური პლატფორმის არარსებობის პირობებში, ეს დაპირისპირება ხელისუფლებისათვის ბრძოლის კალაპოტში მიმდინარეობს. და ამ ბრძოლაშიც აშკარად იგრძნობა, კორექტული პოლიტიკური ჭიდილისთვის აუცილებელი, არა მხოლოდ სიმწიფისა და გამოცდილების, არამედ ელემენტარული ცოდნისა და განათლების დეფიციტი.

ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები და, მათ მსგავსად, ზოგიერთი პოლიტიკური პარტიის ლიდერი, რომელსაც ხელისუფლებასთან შეურიგებელი ოპოზიციონერობის პრეტენზია აქვს, სულ უფრო ხშირად მოიხსენიებენ უარყოფით კონტექსტში არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომელთა საქმიანობა პარტნიორი დასავლური ქვეყნებიდან წამოსული სახელმწიფო თუ კერძო გრანტებით ფინანსდება. ისინი, ასევე, არაკეთილგანწყობილნი არიან იმ პოლიტიკოსებისა და პროფესიონალების მცირე ჯგუფების მიმართ, რომლებსაც, საკონკურსო წესით მოპოვებული გრანტების საშუალებით, განათლება აქვთ მიღებული, ან საკვალიფიკაციო კურსი აქვთ გავლილი დასავლეთის საუნივერსიტეტო ცენტრებში.

ამგვარად, ისინი ცდილობენ, შეცდომაში შეიყვანონ მოსახლეობის ფართო ფენები და გზიდან ჩამოიცილონ, ერთი მხრივ, საშიში პოლიტიკური და პროფესიული კონკურენტები, ხოლო მეორე მხრივ, ჩააჩუმონ ის არასამთავრობო ორგანიზაციები და დამოუკიდებელი საინფორმაციო საშუალებები, რომელთა მთავარი მიზანია, ხელისუფლებისა და მასთან შეზრდილი ფინანსური ჯგუფების საქმიანობა საზოგადოებრივ კონტროლს დაექვემდებარონ.

არც ხელისუფლება და არც აღნიშნული ოპოზიციური ლიდერები ღიად არ უარყოფენ იმას, რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობა უნდა დაეფუძნოს ცივილიზაციის ისეთ ფასეულობებს, როგორიცაა დემოკრატია და პლურალიზმი, კანონის უზენაესობა, სახელმწიფოს საქმიანობის გამჭვირვალობა, ადამიანის უფლებათა დაცვა, სიტყვის თავისუფლება და ა.შ. თუმცა, როგორც კი ამ ფასულობების რეალურად დამკვიდრების მცდელობა საფთხეს შეუქმნის მათ სახელისუფლებო და ვიწროპარტიულ ინტერესებს, ისინი არასამთავრობო ორგანიზაციებს "გრანტიჭამიებად," ხოლო დასავლური ორიენტაციის პოლიტიკურ მოღვაწეებსა და პროფესიულ ჯგუფებს დასავლეთის მიერ "ანგაჟირებულ" ჯგუფებად ნათლავენ.

ამასთან ერთად, ისინი სრულიად მართებულად აღნიშნავენ, რომ დასავლეთს თავისი კერძო ინტერესები ამოძრავებს რეგიონში და ცდილობენ, ეს ინტერესები უარყოფით კონტექსტში წარმოადგინონ. რაოდენ პარადოქსულადაც უნდა მოგვეჩვენოს, დღეს დასავლეთი უფრო მეტად არის დაინტერესებული კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების სტაბილურობითა და მდგრადი ეკონომიკური განვითარებით, ვიდრე ამ რეგიონების ზოგიერთი ქვეყნის პოლიტიკური ელიტა - კერძო ინტერესებითა და ნებისმიერ ფასად ხელისუფლების შენარჩუნებით გამსჭვალული.

დასვლეთის ქვეყნების ინტერესს კავკასიის ქვეყნებისა და კერძოდ საქართველოს მიმართ განაპირობებს ის ფაქტი, რომ იგი უშუალოდ ესაზღვრება NATO-ს და სულ რაღაც ხუთ წელიწადში ევროკავშირის მოსაზღვრეც გახდება. კავკასიაზე უნდა გაივიდეს, რუსეთის პარალელური, დასავლეთ-აღმოსავლეთის ენერგეტიკული და სავაჭრო-სატრანზიტო გზები. ამ მაგისტრალის უსაფრთხოებას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს აშშ-სა და ევროკავშირისათვის. უსაფრთხოების აუცილებელ წინაპირობას რეგიონის ქვეყნების სტაბილურობა და მდგრადი ეკონომიკური განვითარება წარმოადგენს. პოლიტიკური სტაბილურობა და მდგრადი ეკონომიკური განვითარება კი შესაძლებელია მხოლოდ სამოქალაქო საზოგადოების არსებობის პირობებში.

ამრიგად, თუ ჩვენ არა მხოლოდ დეკლარირებულად, არამედ სიღრმისეულად ვიზიარებთ დასავლურ ფასეულობებს, გვსურს ვიყოთ დამოუკიდებელი, სტაბილური, მდგრადი ეკონომიკის მქონე, სამოქალაქო საზოგადოებაზე დაფუძნებული სახელმწიფო, მაშინ დასავლეთის ინტერესები საქართველოს მიმართ არათუ არ ეწინააღმდეგება, პირიქით, სრულიად ემთხვევა ჩვენს სახელმწიფო ინტერესებს.

ეჭვი იმისა, რომ დასავლეთი თავისი შეღავათიანი კრედიტებით, სამთავრობო და არასამთავრობო, ინდივიდუალური სასწავლო თუ საკვალიფიკაციო გრანტებით ლობირებს საკუთარ ინტერესებს საქართველოს სახელმწიფო ინტერესების საზიანოდ, რბილად რომ ვთქვათ, საფუძველს მოკლებულია.

ჩვენ სულ რაღაც ათი წელია, რაც ვარსებობთ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. დასვლეთს კი ჩვენნაირ გარდამავალ ქვეყნებთან ურთიერთობის ხანგრძლივი გამოცდილება აქვს. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აშშ-მ შეღავათიანი კრედიტებითა და გრანტებით დააყენა ფეხზე დანგრეული ევროპა და იაპონია. მაშინ შემოიღო აშშ-ს ხელისუფლებამ ინდივიდუალური სამეცნიერო და სასწავლო გრანტების პრაქტიკაც.

რაც შეეხება არასამთავრობო ორგანიზაციებს, მათი საქმიანობა განსაკუთრებით გააქტიურდა 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან, როდესაც შესუსტდა სსრკ-აშშ-ს დაპირისპირება, რაც უარყოფით გავლენას ახდენდა განვითარებადი ქვეყნების შიდაპოლიტიკურ სტაბილურობაზე. 50-იანი წლებიდან დაწყებული, დეკოლონიზაციის შედეგად წარმოქმნილი ქვეყნების მთავრობებმა, ერთი მხრივ, გარე ფაქტორების (სსრკ-აშშ-ს იდეოლოგიური დაპირისპირება), მეორე მხრივ, შიდა ფაქტორების (რადიკალური რეფორმების გატარების სურვილის არქონა, ან მათი გატარების უუნარობა) გამო ვერ უზრუნველყვეს თანამედროვე ტიპის სამოქალაქო საზოგადოებაზე დაფუძნებული სახელმწიფოების ჩამოყალიბება.

ამ ქვეყნებში საზოგადოებრივი დოვლათის არასწორი განაწილების შედეგად წარმოშობილმა სოციალურმა დაძაბულობამ უკიდეურეს ზღვარს მიაღწია. იმ დროს აშშ-სა და ევროპის განვითარებულ ქვეყნებს არ გააჩნდათ ახალი დამუკიდებელი ქვეყნების მთავრობების შიდა პოლიტიკურ კურსზე ზემოქმედების ქმედითი ბერკეტები. ცხადი გახდა, რომ გარდამავალი ქვეყნების მთავრობები თავისი ნებით, შიდა საზოგადოებრივი კონტროლის არარსებობის პირობებში, არანაირ რადიკალურ რეფორმებზე არ მიდიოდნენ.

არადა, ხშირი სახელმწიფო გადატრიალებები, სოციალური დაპირისპირება და კრიზისები ისევ განვითარებული ქვეყნების დასარეგულირებელი ხდებოდა. შეიძლება ეს თეზა ვინმეს სადაო მოეჩვენოს, მაგრამ განვითარეული ქვეყნების ინტერესებში არანაირად არ შედის ღარიბი, ეკონომიურად და პოლიტიკურად ჩამორჩენილი, ფეთქებად-განვითარებადი ქვეყნების არსებობა. ამას მარტივი მიზეზი აქვს: ძლიერი სახელმწიფოები სრულფასოვნად ვერ ითამაშებენ ისეთ პარტნიორთან, რომელმაც არ იცის, ან, გამოუცდელობის გამო, ვერ იყენებს თამაშის იმ წესებს, რომლითაც განვითარებული სამყარო თამაშობს (რის გამოც იზღუდება თავისუფალი სავაჭრო სივრცე, ფერხდება მსოფლიო ეკონომიკური განვითარება).

ამგვარად, თამაშის თანამედროვე წესების დანერგვის აუცილებლობამ დღის წესრიგში დააყენა ადამიანის უფლებადამცავი და სოციალური სამართლიანობის მიმართულების არასამთავრობო ორგანიზაციების, დამოუკიდებელი პრესისა და სხვა საინფორმაციო საშუალებების გრანტების გზით დაფინანსების საკითხი (რასაკვირველია, თავად რეჟიმები ამგვარ ორგანიზაციებსა და დამოუკდებელ საინფორმაციო საშულებებს, თავისდა საზიანოდ, არ დააფინანსებდნენ).

ამგვარად, განვითარებული სამყარო (აშშ, ევროკავშირი, იაპონია) ცდილობს, ნებსით თუ უნებლიედ, ახლო აღმოსავლეთსა და ლათინურ ამერიკაში დაშვებული შეცდომები აღარ გაიმეოროს. ამიტომ, ისინი საქართველოს მსგავს გარდამავალ ქვეყნებს (რომლებსაც მათთვის სტრატეგიული მნიშვნელობა აქვთ), უანგარო ფინანსურ დახმარებას (გრანტები) უწევენ რამდენიმე მიმართულებით:

1. სამთავრობო მიზნობრივი გრანტები, რომლითაც ფინანსდება სახელისუფლებო ინსტიტუტების სისტემური რეფორმა (იგულისხმება სასამართლოს, პროკურატორის, სამინისტროების-თავდაცვა, უშიშროება, საგადახადო და ა.შ.), რეფორმა ზევიდან.

2. არასამთავრობო სექტორისა და დამოუკიდებელი საინფორმაციო საშუალებებისათვის განკუთვნილი გრანტები, რომელთა მიზანია, ერთი მხრივ, უზრუნველყოს საზოგადოების მიუკერძოებელი ინფორმირება ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ და, მეორე მხრივ, საზოგადოებრივ კონტროლს დაუქვემდებაროს სახელმწიფო ინსტიტუტებისა და მათთან შეზრდილი ფინანსური ჯგუფების საქმიანობა (რეფორმა და რეფორმის მიმდინარეობაზე კონტროლი ქვემოდან).

3. ინდივიდუალური სასწავლო და საკვალიფიკაციო გრანტები, რომელთა მიზანია საერთაშორისო რანგის პროფესიული კადრების მომზადება. სწორედ მათ უნდა იტვირთონ ქვეყნის პოლიტიკის, ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების წარმართვა გარდამავალი პერიოდის შემდგომ.

წარმოუდგენელია, საღი სახელმწიფოებრივი აზროვნების მქონე რომელიმე პოლიტიკურმა მოღვაწემ, ამგვარ დახმარებაში რაიმე საძრახისი დაინახოს, თუკი, რასაკვირველია, მას სახელმწიფოებრივის გარდა რაიმე სხვა პირადი და კონიუნქტურული ინტერესი არ ამოძრავებს. სხვა საკითხია, რამდენად სწორად და ეფექტიანად ხდება აღნიშნული გრანტებიდან პირველი ორის ადმინისტრირება. აქ თუ რაიმე სამდურავი გვაქვს, ეს ეხება არა დონორ ქვეყნებსა და ორგანიზაციებს, არამედ - ჩვენს არაპროფესიონალიზმს, ჩვენს არამოქალაქეობრივ აზროვნებას.

სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოების განვითარებაზე ჯერ ვერანაირ გავლენას ვერ ახდენენ მესამე კატეგორიის გრანტიორები. ისინი მინიმალურად არიან წარმოდგენილი სახელისუფლებო სტრუქტურებში, სადაც, ჯერჯერობით, ნაცნობ მოედანზე ძველი პარტიულ-კომკავშირულნომენკლატურული წესებით თამაშს ამჯობინებენ (ასე უფრო უსაფრთხოა, ხელისუფლების შენარჩუნების თვალსაზრისით).

ჩვენ კარგად გვახსოვს დამოუკიდებლობის პირველ წლებში, როდესაც ქვეყანაში არ იყო უცხოური საელჩოები, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლობები, არასამთავრობო ორგანიზაციები, დამოუკიდებელი საინფორმაციო საშუალებები და ხელისუფლება ყოველგვარი შიდა საზოგადოებრივი კონტროლის გარეშე მოქმედებდა. მაშინ მოხდა საზოგადოებრივი ქონების, პარტიული და კომკავშირული ქონების, მოქალაქეთა კერძო ანაბრების დატაცება. მოგვიანებით ასევე სახელისუფლებო ელიტამ დაიტაცა პირველი სახელმწიფო კრედიტები და ჩვენს მომავალ თაობებს მილიარდნახევრიანი საგარეო ვალი აჰკიდა.

საზოგადოების მცირე ჯგუფი გამდიდრდა მოსახლეობის ფართო ფენების ძარცვის ხარჯზე, რამაც საზოგადოება ორ დაპირისპირებულ ბანაკად აქცია. ამ დაპირისპირების შედეგად წარმოშობილი სოციალური დაძაბულობა განსაკუთრებით გამწვავდა და საფრთხეს უქმნის ქვეყნის დამოუკიდებლობასა და სტაბილურ განვითარებას. რომ არა სხვადასხვა მიმართულების არასამთავრობო ორგანიზაციები, დღეს ისევ ხუთი-შვიდი წლის წინანდელ მდგომარეობაში ვიქნებოდით. რომ არა დამოუკიდებელი საინფორმაციო საშუალებები, საზოგადოებისათვის ბევრი რამ დღესაც დაფარული დარჩებოდა. საზოგადოებამ უნდა იცოდეს სიმართლე, იმისათვის, რომ სწორი არჩევანი გააკეთოს. მას ამ არჩევანის უფლება აქვს.

ამიტომ არასამთავრობო ორგანიზაციები და დამოუკიდებელი საინფორმაციო საშუალებები ის რეალური ძალაა, რომელიც მოწოდებულია მოახდინოს საზოგადოებრივი აზრის კონსოლიდაცია ამ პოზიტიური გარდაქმნების სასარგებლოდ, რომლებმაც ქვეყანა განვითარების თვისობრივად ახალ ეტაპზე უნდა გაიყვანოს.



მარიკა ამურველაშვილის ფოტო

# „გიხაროდენ„ - რიმეიქი

ბადრი კოპლატაძე

ედუარდ შევრდნაძე, გადაწყვეტილებების მიღებისას, არასოდეს დაყრდნობია მხოლოდ ერთ ფაქტორს. მის ნებისმიერ გადაწყვეტილებას ძირითადად ორი (ზოგჯერ რამდენიმე) შემადგენელი აქვს: პირველი - რა უნდა პირადად შევარდნაძეს და მეორე - რა უნდა მის გარემოცვას. ასეა ახლაც, როდესაც, ადგილობრივი არჩევნების შემდეგ, პრეზიდენტს და სახელმწიფო მინისტრს სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღება უხდებათ.

ავთანდილ ჯორბენაძის პირველივე ნაბიჯებში გამოიკვეთა ორი სტრატეგიული ხაზი - მოეხდინა სახელისუფლო ბერკეტების თავის გარშემო კონცენტრაცია და მოეძებნა ან შეექმნა პოლიტიკური მოკავშირეები. ორივე ფრონტზე ჯორბენაძე საკმაოდ აქტიურად და აგრესიულად მოქმედებდა.

მან თავიდანვე განაცხადა, რომ არ დაუშვებდა სამთავრობო გუნდში დაპირისპირებას და სწორედ ეს იქცეოდა ბიუჯეტის შესრულების და მთლიანად მთავრობის ეფექტური მუშაობის გარანტია. მართალია პირველი ოთხი თვის ბიუჯეტი ტრადიციულად არ შესრულდა, მაგრამ ჯორბენაძე შეეცადა, დამარცხება ლოკალურ გამარჯვებად გადაექცია და პრეზიდენტი ნოღაიდელის და ძნელაძის გადაყენებაზე დაითანხმა. სხვა მინისტრებთან ჯორბენაძეს თითქოს პრეტენზია არ ჰქონდა, თუმცა, როგორც ბოლო დღეებში გაირკვა, ჯორბენაძე ახლა უკვე იმათ წინააღმდეგ ილაშქრებს, ვინც, მისი თქმით, ორ სკამზე ზის. უკვე ქრონიკულ სტადიაში გადავიდა ჯორბენაძის ღია თუ ფარული დაპირისპირება თბილისის მერთანაც, რომელსაც, შესაძლოა (სულ არ არის გამორიცხული), ისეთივე პოლიტიკურ ამბიციები ჰქონდეს, როგორც თვითონ ჯორბენაძეს.

მეორე მხრივ, ჯორბენაძე ინტენსიურად თანამშრომლობდა საპარლამენტო ფრაქციებთანაც და დაპირებებსაც უშურველად არიგებდა. თავის მხრივ არც ახლები, სოციალისტები და მრეწველები მალავდნენ სახელმწიფო მინისტრისადმი სიმპათიებს. ამ თანამშრომლობის ლოგიკური გაგრძელება იყო პარლამენტში უმრავლესობის შექმნის მცდელობა და საპარლამენეტო თანამდებობების ხელახალი გადანაწილება.

ადგილობრივი არჩევნების შემდეგ, უკვე ლოგიკური და აქტუალური გახდა ამ ორი ფრონტის შეერთების საკითხი. ჯორბენაძისთვის, ალბათ, საუკეთესო ვარიანტი იყო, მთავრობაში პოზიციების გაძლიერებასთან ერთად, უკვე ოფიციალურად გაეფორმებინა მხარდამჭერთა ფრონტი. ამისათვის მას, პოლიტიკურ პარტნიორებზე დაყრდნობით, შეეძლო ახალი პოლიტიკური მოძრაობა შეექმნა, რომელიც წარმომადგენლობითიც იქნებოდა და, პოლიტიკური იმიჯის თვალსაზრისითაც, პრობლემები არ ექნებოდა. იყო სხვა ვარიანტიც. ჯორბენაძეს შეეძლო თავისი კავშირები ჯერ ოფიციალურად არ გაეფორმებინა და შეენარჩუნებინა ის სტილი, რითიც დღემდე სარგებლობდა. ეს მას საშუალებას მისცემდა, თავისი მომხრეების რიგები კიდევ უფრო გაეფართოვებინა. ასეთ შემთხვევაში 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებში უკვე რამდენიმე ძალა იარსებებდა, რომლებიც ამომრჩეველთა სხვადასხვა სეგმენტზე იმუშავებდა და გაერთიანებას უკვე პარლამენტში მოახდენდა. ასეთი სქემა განსაკუთრებით ხელს აძლევდათ სახელმწიფო მინისტრის პარტნიორ პოლიტიკურ ძალებს, რადგანაც საშუალება ეძლეოდათ, პოლიტიკური იმიჯის შენარჩუნებით, ორმაგი და, გარკვეულწილად, გარანტირებული თამაში ეწარმოებინათ.

როგორც ჩანს, სწორედ აქ ამოქმედდა გადაწყვეტილებების მიღების ის შემადგენელი, რომელსაც ედუარდ შევრდნაძის ინტერესები ჰქვია. პრეზიდენტმა, რომლის მთელი მოღვაწეობა სხვადასხვა სახის ინტრიგებს უკავშირდება, პოლიტიკურ ძალები ალტერნატივის წინაშე დააყენა – ან ხელისუფლებასთან (და არა ხელისუფლებაში) ან ოპოზიციაში. სწორედ ამით აიხსენება ის ჩუმი უკმაყოფილება, რომელიც ჯორბენაძის პოლიტიკურ პარტნიორებში სუფევს – იმ სმკ-სთან ყოფნა, რომელსაც აქამდე ასე ებრძოდნენ, მათთვის არც თუ ისე სახარბიელო პერსპექტივაა.

საერთო პოლიტიკური პროცესისათვის, მომავლის თვალსაზრისით, ასეთი ალტერნატივა არც თუ ისე ცუდია–- პარტიებმა ერთხელ და სამუდამოდ უნდა ისწავლონ პოლიტიკურ სცენაზე ადგილის საკუთარი ძალებით დაკავება და მუდმივად ყოვლისშემძლე რეჟისორის იმედზე არ უნდა იყვნენ. მხოლოდ ასეთ კონკურენტულ პირობებში მათი ჩაყენება განაპირობებს პოლიტიკური სისტემის რეალურ განვითარებას.

რაც შეეხება სახელმწიფო მინისტრს - შევარდნაძემ ისიც ჩარჩოში მოაქცია. მას კვლავ მოუწევს მთავრობაში თავისი გავლენის გაფართოებაზე ზრუნვა, ეს კი, ალბათ, უფრო გაძნელდება, რადგანაც გარედან მხარდაჭერა ჯორბენაძისთვის სერიოზულ ფაქტორს წარმოადგენდა. ხელახალი ენერგიით გააქტიურდებიან მისი კონკურენტი სახელისუფლო ძალები, რომლებმაც, პოლიტიკური ტექნოლოგიებისაგან განსხვავებით, კანცელარიული ინტრიგები არანაკლებ კარგად იციან. ამის პარალელურად ჯორბენაძეს უკვე პარტიაში მოუწევს პოზიციებისთვის ბრძოლა. ასეთი ბრძოლები კი ყოველთვის შიდა (მათ შორის სამთავრობო) დაბალანსებით და "არავის" გამარჯვებით სრულდება ხოლმე. ერთი, რასაც ჯორბენაძე ვერ გაექცევა, უნდა მას ეს თუ არა, არის პოლტიკური გვამის - სმკ-ს ხელახალ ლამაზ შეფუთვაზე ზრუნვა. ალბათ შემთხვევითი არ არის, რომ საქართველოს რადიოში კვლავ გამოჩნდა "გიხაროდენ", თავისთავად მშვენიერი კლიპი, რომლის პოლიტიკური წარსული აქამდე მისი ხელახალი ამღერების საშუალებას არ იძლეოდა.



# კურნიკოვა საკუთარ თავს არ ღალატობს

ინგლისის ქალაქ ისტბერნში ქალთა საერთაშორისო ტურნირი მიმდინარეობს. ანა კურნიკოვამ ასპარეზობა პირველსავე წრეში შეწყვიტა. იტალიელმა რიტე გრანდემ უკეთ ითამაშა და ტურნირს, ორგანიზატორთა აზრით, სილამაზე დაუკარგა. რუსი ჩოგბურთელის ფანებს მოსწყინდათ კურნიკოვას სხეულის თვალიერება და, რა ხანია, მისგან ტურნირის მოგებას ითხოვენ. უიმბლდონზე კურნიკოვა 52-ე ნომრადაა განთესილი. ყველა რუსი ჩოგბურთელი ქალი: დემენტიევა (12), პანოვა (19), მისკინა (20) და ლიხოვცევა (39) რეიტინგში მასზე წინ არიან. მისკინამ საკუთარი ამბიცია ისტბერნშიც დაადასტურა. მან საკმაოდ ძლიერ, მომავალი უიმბლდონის მეთექვსმეტე ნომერს, შვეიცარიელ პეტი შნაიდერს ორ სეტში 6:4 და 6:4 მოუგო. მისკინა სამი წლის წინათ ბათუმის ქალთა ღია პირველობაზეც გამოდიოდა და, როგორც ხედავთ, უდიდესი პროგრესი განიცადა. საინტერესო გამოდგა მარტინა ნავრატილოვასა და რუსი პანოვას დუელი. ნავრატილოვამ დაადასტურა, რომ კვლავ კარგ ფორმაშია და სამ სეტში გაიმარჯვა (6:1, 4:6 და 6:2).



სექს-სიმბოლოს უიმბლდონზე ელიან
REUTERS

## უიმბლდონი „რუსთავი-2„-ს ეთერში

24 ივნისს სტარტს აიღებს თანამედროვე ჩოგბურთის ყველაზე პრესტიჟული ტურნირი. უიმბლდონის ცნობილ კორტებზე მსოფლიოს უძლიერესი ქალი და კაცი ჩოგბურთელები გავლენ. ერთი კვირის განმავლობაში საკვალიფიკაციო ეტაპი ჩატარდება, შემდეგ კი დაიწყება ყველაზე საინტერესო - მეთექვსმეტედფინალები. "რუსთავი-2" პირველი ივლისიდან უიმბლდონის გაშუქებას იწყებს. პირველიდან ექვს ივლისამდე ყოველდღე ეთერში გავა დღის ერთსაათიანი მიმოხილვა. შაბათსა და კვირას კი მაყურებელს ელის ქალთა და კაცთა ტურნირის ფინალური შეხვედრების პირდაპირი რეპორტაჟები.

## ლაბაძის მარცხი

ნოტინგემში მიმდინარეობს ჩოგბურთელთა ტურნირი "The Samsung Open", რომლის საპრიზო ფონდმა 381 ათასი დოლარი შეადგინა. სამწუხაროდ, ასპარეზობას გამოეთიშა ირაკლი ლაბაძე. მან პირველი წრის შეხვედრა რუს ანდრეი სტოლიაროვთან დათმო. ნოტინგემის ტურნირი, ისევე, როგორც მსოფლიოში მიმდინარე სხვა ასპარეზობები, მომავალი უიმბლდონისთვის მზადების ეტაპია.

საინტერესო გამოდგა შვედი ბიორკმანისა და ამერიკელი როდიკის შეხვედრა. სკანდინავიელმა დაძაბულ ბრძოლაში 7:5,7:5 გაიმარჯვა. ბიორკმანი უიმბლდონის განთესილთა შორის 53-ე ადგილზეა, ამერიკელი კი – მე-11-ზე. ნოტინგემში კი როდიკი ტურნირის პირველ ნომრად ითვლება.

ფრანგმა სანტორომ ორ სეტში იოლად დაამარცხა ბრაზილიელი სიმონო (6:1, 6:4). გერმანელმა ნიკოლას კიფერმა მოუგო ამერიკელ მაიკ ბრაიანს (6:0 7:6).

## "Ordina Open"

უიმბლდონის რამდენიმე მონაწილე ჰოლანდიის ქალაქ ჰერტოგენბოსში შეიკრიბა. ამ ტურნირის საპრიზო ფონდი მოკრძალებულია - 170 ათას დოლარს შედაგენს. ფავორიტებს პრობლემები არ შექმნიათ. ფრანგმა ამელი მორესმომ ორ სეტში, 6:3 და 7:5 დაამარცხა ესპანელი მონტოლიო. ბულგარელმა მალეევამ გერმანელ მერტინა მიულერს 6:4, 6:2 მოუგო. კარგად ითამაშა უიმბლდონის მეხუთე ნომერმა, ბელგიელმა კიმ კლისტერსმა, რომელმაც გერმანელი ანდრეა გლასი ორ სეტში 6:2 და 6:3 დაამარცხა.

## პირველი ჩემპიონი ბანჯოზე უკრავდა

უიმბლდონის პირველი ჩემპიონი 125 წლის წინათ, 1877 წელს გამოვლინდა. ისტორიაში სამუდამოდ შევიდა 27 წლის წითური სპენსერ გორი. ფინალურ შეხვედრას გორსა და ვინმე უილიამ მარშალს შორის 200 ადამიანი დაესწრო. ჩემპიონმა სულ რაღაც 48 წუთში გაიმარჯვა და გახდა კაცთა შორის პირველი ჩემპიონი. ქალებმა უიმბლდონზე გამოსვლა მხოლოდ 1884 წელს "დაიმსახურეს". ამ ტურნირის პრობლემად კვლავაც რჩება წვიმიანი ამინდი. 1877 წლის ფინალის მონაწილეები 5 დღის განმავლობაში გამოდარებას ელოდნენ - ლონდონში გადაუღებლად წვიმდა. სპენსერ გორი უნიკალურია არა მხოლოდ ტურნირის მოგების გამო. იგი პროფესიონალი მუსიკოსი იყო და ჩოგბურთს მხოლოდ გასართობად თამაშობდა. გორი ბარებში ბანჯოზე უკრავდა და თავს ამით ირჩენდა.

ფინალის მეორე დღეს ბრიტანეთის ორმა წამყვანმა გაზეთმა დაბეჭდა ვრცელი ინტერვიუ ჩემპიონთან, საიდანაც შეიძლება უიმბლდონის პირველი საპრიზო ფონდის დადგენა. "გორმა 12 გინეა და ვერცხლის თასი მიიღო", - იუწყება გაზეთი "Illustrated London News"-ი. პირველი ჩემპიონი კიდევ ერთხელ, 1878 წელს გავიდა ფინალში, სადაც დრამატულ ბრძოლაში 7:5, 6:1 და 9:7 წააგო ჩაის პლანტაციის მფლობელ ფრენკ ჰედოუსთან.

წლების განმავლობაში პირველი ჩემპიონის ჯანმრთელობა სიღარიბისა და ყოველდღიური პრობლემების გამო შეირყა. იგი 1906 წლის 19 აპრილს, 59 წლის ასაკში გარდაიცვალა.

# მძლეოსნების ჩემპიონატი

კახა ფაჩუაშვილი


REUTERS

"მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატი ფეხბურთში მეტად უცნაურად მიმდინარეობს. ჩვენ კარგი გუნდი ვიყავით და მსაჯების არაობიექტურობა რომ არა, უდავოდ ბევრს მივაღწევდით, – ეს სიტყვები ალესანდრო ნესტას ეკუთვნის, – ვერ გამიგია, მსაჯებს ასე ძალიან რატომ არ უყვართ იტალიელები".

18 ივნისს "სკუადრა აძურამ" სამხრეთ კორეის ნაკრებისგან სამარცხვინო წაგება იწვნია და სამშობლოში უსახელოდ დაბრუნდა. იტალია, საფრანგეთისა და არგენტინის შემდეგ მსოფლიო ფეხბურთის მესამე გრანდია, რომელიც კორეა-იაპონიას დაემშვიდობა. თუ მათ რიცხვს პორტუგალიასაც დავუმატებთ, მივხვდებით, რომ ეს უკვე ანაქრონიზმს ჰგავს.

მაინც რატომ არის მსოფლიო ჩემპიონატი ასეთი უცნაური? ამ კითხვას რამდენიმე პასუხი მოეძებნება და ყველა მათგანს თავისი არგუმენტი აქვს. უპირველესად, ეს გადატვირთულ საფეხბურთო კალენდარს უკავშირდება. დიდ ფეხბურთელებს წლის განმავლობაში ძალიან ბევრი მატჩის ჩატარება უწევთ, რის გამოც მსოფლიო ჩემპიონატზე გადაღლილები ჩადიან. დავაკვირდეთ, ტურნირს ის გუნდები გამოეთიშნენ, რომლის ფეხბურთელებიც ევროპის უძლიერეს ლიგებსა და ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში ასპარეზობდნენ.

ეს საკითხი ფიფა-ს ამასწინანდელ კონგრესზე სერიოზული მსჯელობის საგანი გახდა. იოზეფ ბლატერის თქმით, ფიფა-ს შესაბამის სამსახურში მუშავდება გეგმა, რომელიც ფეხბურთელთა შრომას შეამსუბუქებს. არის ვარიანტი, ჩემპიონთა ლიგის კალენდარი შემცირდეს, მაგრამ მთავარი პრობლემა მაინც, ეგრეთ წოდებული "მორბენლების", აზია-აფრიკული გუნდების მოზღვავებაა.

სწორედ ეს არის უცნაურობის მიზეზი და ამის სულის ჩამდგმელი იოზეფ ბლატერის რეფორმებია. ბლატერმა აფრიკას ორი დამატებითი ადგილი გამოუყო. ამან აზიელებსაც გაუღვივა მადა და დამატებითი ადგილები მოითხოვეს. მათ დასაშოშმინებლად ფიფა-მ ახალი პრეცედენტი დაუშვა. მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთი საგზური ირლანდიისა და ირანის გუნდებმა გაითამაშეს, მაგრამ აშკარაა, რომ დროთა განმავლობაში აზია მიღწეულით არ დაკმაყოფილდება. მით უფრო, თუ სამხრეთ კორეა ნახევარფინალში გააღწევს.

"მორბენლების" ძირითადი კოზირი უხეშობა და ფიზიკური სიძლიერეა, რაც საფუძველშივე სპობს ტექნიკური ფეხბურთის მცნებასაც კი. ინგლისის ნაკრების შვედი დამრიგებელი სვენ გორან ერიქსონი კმაყოფილებას ვერ ფარავდა, რომ სენეგალის გუნდთან ასცდა დაპირისპირება. "ისინი გაიძულებენ, ირბინო, ირბინო და კიდევ ერთხელ ირბინო," – ამბობს ერიქსონი.

ზეპ ბლატერი ყურადღებას მსაჯების არაობიექტურობასაც უთმობს და აცხადებს, რომ ეს პრობლემა სასწრაფოდ უნდა გადაიჭრას, მაგრამ ფიფა-ს პრეზიდენტი არ აკონკრეტებს, თუ როდის და როგორ მოგვარდება პრობლემა. კულუარებში კი ამბობენ, რომ მსაჯები ბლატერის დირექტივებით მოქმედებენ და ავალანჟ-ბლატერის იდეის განხორციელებას ემსახურებიან - წინა პლანზე წამოწიონ აზია-აფრიკის კონტინენტი და ამით თავისი დაუძინებელი მტრის, ლენარტ იუჰანსონის ბანაკის იგნორირება მოახდინონ.

იოზეფ ბლატერი ჟოაო აველანჟის თანამებრძოლი და მემკვიდრეა. აველანჟმა თავის დროზე განაცხადა: "იმ შემთხვევაში გადავდგები, თუ ბლატერი ფიფა-ს პრეზიდენტი გახდება". ეს განცხადება ცხადყოფს ბლატერის დამოკიდებულებას ჟოაო აველანჟის მიმართ. ასეც მოხდა. ბლატერი ფიფა-ს პრეზიდენტი გახდა და ის რეფორმები, რომლებზეც ყურადღება გავამახვილეთ, სწორედ ბლატერის მმართველობის პერიოდს უკავშირდება. შედეგად კი უაღრესად უცნაური ჩემპიონატი მივიღეთ. პრინციპში, უცნაური არაფერია. ბლატერის ნაბიჯებიდან გამომდინარე, ეს ასეც უნდა მომხდარიყო. ფაქტია, რომ მოვლენების პროგნოზირება შეუძლებელი გახდა.

მსოფლიო ჩემპიონატის კენჭისყრა ისე წარიმართა, რომ იაპონიის ნაკრებს, როგორც მასპინძელს, ყველაზე სუსტი მეტოქეები ერგო და მერვედფინალშიც თურქებს შეხვდა. ანუ მეოთხედფინალამდე იაპონიას სერიოზული მოწინააღმდეგე არ ჰყოლია და თუ იაპონელები მეოთხედფინალში ვერ გავიდნენ, ეს მხოლოდ მათ უსუსურობას უნდა დავაბრალოთ.

პარალელურად ევროპულ გუნდებზე მიზანმიმართული ზეწოლა მიმდინარეობდა. ეგრეთ წოდებულ "სიკვდილის ჯგუფზე" რომ არაფერი ვთქვათ, იტალიელებს ოთხი გოლი არ ჩაუთვალეს (ამათგან სამი წესების სრული დაცვით გავიდა), ხოლო პორტუგალიას გადამწყვეტ მატჩში ორი ფეხბურთელი გაუძევეს.

ბლატერი მიზანთან ახლოს არის. სენეგალისა და სამხრეთ კორეის გასვლით, რეალურია იმის შანსი, რომ ორივე თუ არა, ნახევარფინალს ერთ-ერთი მაინც მიაღწევს. ამ შემთხვევაში, ისიც რეალურია, რომ აზია-აფრიკას მომავალში ერთი ადგილი დაემატოს. ფიფა ფულს მიიღებს, ხოლო გულშემატკივარი - მძლეოსნების ჩემპიონატს.

ფიფა-ს პრეზიდენტს მოსწონს მსოფლიო ჩემპიონატის ერთობლივად ჩატარების იდეა. "მუნდიალმა სრულიად გაამართლა, ამიტომ ჩემპიონატის ერთობლივად ჩატარების იდეას 2010 წელს აუცილებლად განვიხილავთ," – ამბობს ბლატერი. 2010 წლის მუნდიალის ჩატარება კი აფრიკის კონტინენტზეა ნაგულისხმევი.

აფრიკას კორეა-იაპონიაში ხუთი გუნდი ჰყავდა. თუ ერთობლივი ჩემპიონატი გაიმართება, ამ ხუთეულს შეიძლება მეექვსეც დაემატოს. სამხრეთ კორეის ნაკრების წარმატების შემთხვევაში კი, დამატებითი ადგილები შეიძლება აზიამაც მიიღოს. ვთქვათ, ოთხი პირდაპირ და ერთი გადათამაშებით. მივიღებთ უცნაურ ჩემპიონატს, სადაც წარმატებას მიაღწევენ აუტანელ სიცხეს შეგუებული, ფიზიკურად ძლიერი, მორბენალი გუნდები.

# მერვედფინალისტთა სიმბოლური ნაკრების თავდასხმა რონალდო-რივალდოა

დერეკ ფოლი
კორეა-იაპონიიდან
სპეციალურად "24 საათისთვის"


REUTERS

ამ ოცი დღის განმავლობაში ამოსუნთქვის საშუალება პირველად მოგვეცა და მოდით, გამოვიყენოთ – სიტუაცია გავაანალიზოთ!

ჩემს მიერ შედგენილ ნაკრებს გადახედეთ, განლაგებით 4-4-2: **ოლივერ კანი** (გერმანია); **უმიტ დავალა** (თურქეთი), **ჩოი ჯინ-ჩული** (სამხრეთ კორეა), **რიო ფერდინანდი** (ინგლისი), **კაფუ** (ბრაზილია); **დემიენ დაფი** (ირლანდია), **ფრანჩესკო ტოტი** (იტალია), **მარკ ვილმოტსი** (ბელგია), **კლაუდიო რეინა** (აშშ); **რონალდო** (ბრაზილია), **რივალდო** (ბრაზილია);

წლეულს "სუფთად" ვერც ერთი ნაკრები ამოვიდა წყლიდან. ამიტომაც ავირჩიე კანი. მართალია, გერმანიის ნაკრებს ბოლო ხანს ძალიან აკრიტიკებენ, მაგრამ მათ ჯერჯერობით მხოლოდ ერთი გოლი აქვთ გაშვებული. ამ განხრით, გერმანიას მხოლოდ ინგლისი თუ შეედრება, კანთან შედარებით, დევიდ სიმენის აყვანა მაინც სარისკოა.

თურქი ფეხბურთელის არჩევა, შესაძლოა, ცოტა უცნაური გადაწყვეტილება იყოს, მაგრამ რას ვიზამთ – წლევანდელ ჩემპიონატზე მაღალი კლასის მცველების ნაკლებობა იგრძნობა. ასე რომ, "გალათასარაის" უმიტ დავალა ერთადერთი ოპტიმალური გამოსავალი იყო. ის თავის ფუნქციებს ჩემპიონატზე ყოველთვის კარგად ასრულებდა. ამაზე სტატისტიკაც მეტყველებს: თურქეთის ნაკრებს ოთხი თამაშიდან მხოლოდ სამი გოლი აქვს გაშვებული. ისიც, ორი - ბრაზილიასთან მატჩში.

ფაქტია, რომ ბრაზილიური დაცვა სუსტად გამოიყურება, მაგრამ ნაკრების კაპიტანი კაფუ მაღალი კლასის ფეხბურთელია. ის ჭკვიანი მოთამაშეა, ძლიერია და მთელი მოედნის დაპყრობა შეუძლია. ჩემს მიერ შედგენილ გუნდში ის მარცხენა ფლანგზე გადმოვწიე.

ინგლისელი რიო ფერდინანდი დღემდე საუკეთესო მცველად ითვლებოდა. ჩემპიონატზე ფერდინანდი მთელი ძალებით იცავდა თავის კარს და ინგლისმაც მხოლოდ ერთი გოლი გაუშვა. თუმცა, მართალია – ფერდინანდთან ერთად, ინგლისის მთელ ნაკრებს მთავარი გამოცდა პარასკევს აქვს ჩასაბარებელი. მათი გამომცდელი ბრაზილიაა. თუმცა, თუ ვინმეს აქვს ბრაზილიელების შეჩერების შანსი, უპირველესად, სწორედ ფერდინანდს. ის ელვასავით სწრაფია. როცა ფიზიკურ ძალაზე მიდგება საქმე, თავს არავის აჩაგვრინებს. შთამბეჭდავია ჰაერშიც და მის მიერ გადაცემული პასები ნახევარმცველის დონეზეა შესრულებული.

ჩემს მიერ შედგენილ ნაკრებში, ფერდინანდის გვერდით, თამაშის პატივს სამხრეთ კორეელი, ჩოი ჯინ-ჩული ფლობს. ის მოედანზე მთელი ძალებით იბრძვის და ეს იტალიელებთან მატჩშიც დაგვანახა. თუმცა, კორეელის ნაცვლად, ჯერ ნესტას შერჩევას ვფიქრობდი, მაგრამ მერე დავრწმუნდი, რომ წლევანდელ ჩემპიონატზე მან თავი ვერაფრით დაგვამახსოვრა.

ჩემი ნახევარმცველებიდან სამის ნაკრები უკვე გავარდნილია. თუმცა, სირცხვილი იქნებოდა, არ აღმენიშნა დემიენ დაფის ღირსებები. ის, თითქოს, ჩუმი ადამიანია, მაგრამ თავის სამუშაოს მოედანზე ყოველთვის ენერგიულად ასრულებს.

იგნორირებას ვერც ბელგიელ მარკ ვილმოტსს გავუწევ, იმის მიუხედავად, რომ მისი ეროვნული ნაკრების თამაშს მწვავე კრიტიკა ჰქონდა. ვილმოტსის გარეშე, ბელგია ჩემპიონატის ყველაზე უარესი გუნდი იქნებოდა. ვილმოტსი მთელ გუნდს ათამაშებს, წინ მიიწევს, საკუთარი თავი საგოლე პოზიციებზე გაჰყავს და გოლიც გააქვს. სწორედ ვილმოტსმა დააშინა ბრაზილიელები წინა შეხვედრაში.

მართალია, ფრანჩესკო ტოტის, ისევე როგორც მის ნაკრებს, უიღბლო ჩემპიონატი ჰქონდა, მაგრამ ის მაინც შეუდარებელია. ტოტი ბრწყინვალე გამთამაშებელია.

მომწონს კლაუდიო რეინაც, ამერიკელი ნახევარმცველი. მას დაცვაში დგომაც შეუძლია და შეტევაზე გადასვლაც. შესაძლოა, ის გამთამაშებლისთვის საჭირო ყველა თვისებას ვერ ფლობდეს, მაგრამ რასაც აკეთებს, კარგად გამოსდის.

და მაინც, წლევანდელ ჩემპიონატზე ყველაზე ხშირად ბრაზილიური დუეტის სახელი გაისმის. რონალდო-რივალდოს ერთად ცხრა გოლი აქვთ გატანილი. ისინი პირველი ბრაზილიელები არიან, რომელთაც მთელი 32 წლის განმავლობაში პირველივე თამაშებში ოთხი გოლი გაიატანეს. ეს ციფრი რომ ხუთად გადაკეთდეს, მათ ინგლისის კარშიც გოლის შეგდება სჭირდებათ. რონალდო-რივალდოს ამის ისტორიული მაგალითი აქვთ - ფანტასტიკურმა ჟაირზინიომ 1970 წელს ბრაზილიელების მიერ მოგებულ შვიდივე თამაშში გაიტანა გოლები.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ რონალდო მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში თავისი ქვეყნის მეორე ბომბარდირია (სულ ცხრა გოლით), ამდენივე გოლის ავტორია ვავაც. თუმცა, ორივე მათგანი სამი გოლით ჩამორჩება ლეგენდარულ პელეს.

მოკლედ, რონალდო-რივალდოს თავის გამოჩენის შანსი პარასკევს აქვთ. მთავარია, მათ ეს შანსი წარმატებით გამოიყენონ. შეგახსენებთ იმასაც, რომ ჯერჯერობით არც ერთი მათგანი ჩემპიონატის ბომბარდირის ტიტულს არ ფლობს.

## იაპონელები ბრაზობენ

იაპონელი გულშემატკივრები, ალბათ, ვერც კი წარმოიდგენდნენ, რომ მათი საყვარელი გუნდი მუნდიალს გამოეთიშებოდა, კორეელები კი იტალიას მოუგებდნენ და მეოთხედფინალში გავიდოდნენ.

თურქეთთან წაგებამ იაპონელი ფანები ისე აღაშფოთა, რომ მათ ტრადიციული აზიური ზრდილობა და თავშეკავებულობა დაივიწყეს და ოსაკას ქუჩებში აურზაური მოაწყვეს.

თურქმა გულშემატკივრებმა სწრაფად უშველეს თავს და იაპონელთა რისხვას გადაურჩნენ. სამაგიეროდ, ოსაკას მაღაზიების მფლობელები დაზარალდნენ, რადგან გაბრაზებულმა ფანებმა უდანაშაულო ფანჯრებზე იყარეს ჯავრი.

პოლიციამ თერთმეტი ყველაზე აქტიური ფანი დააპატიმრა და არეულობა სწრაფად აღკვეთა.

## ფიფა მსაჯობით კმაყოფილია

მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე მუნდიალზე მატჩი ისე არ ჩაივლის, მსაჯებს რაიმე სერიოზული შეცდომა არ მოუვიდეთ, ფიფა სულაც არ თვლის, რომ ჩემპიონატზე ცუდი მსაჯობაა.

არბიტრთა შეცდომებით ყველაზე მეტად დაზარალდა იტალიის ნაკრები, რომელსაც მსაჯებმა ოთხი გოლი არ ჩაუთვალეს და, იმის ნაცვლად, რომ მათ სასარგებლოდ პენალტი დაენიშნათ, ფეხბურთელი გაუძევეს.

იტალიელთა საჩივარს ფიფა-მ ყურადღება არ მიაქცია და ეკვადორელი არბიტრი ბრიან მორენო დაიცვა კიდეც. "იმ მატჩში საგანგაშო არაფერი მომხდარა, მსაჯს მხოლოდ უმნიშვნელო შეცდომები მოუვიდა", - განაცხადა ფიფა-ს წარმომადგენელმა კეიტ კოპერმა.

იტალიაში ამ განცხადებამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. "უმნიშვნელო შეცდომა ჰქვია იმას, რამაც იტალიის ნაკრები მუნდიალიდან გამოთიშა? ამაზე მეტი რაღა უნდა მომხდარიყო, რომ ფიფა მსაჯების არაობიექტურობაში დარწმუნებულიყო?" - აღშფოთებით იკითხა ჯოვანი ტრაპატონიმ, მაგრამ ამ რიტორიკულ კითხვაზე, რა თქმა უნდა, ვერანაირი პასუხი ვერ მიიღო.

## ფრანგები იტალიელებს ემხრობიან

იტალიის ნაკრები, რომელიც მუნდიალს მერვედფინალიდან გამოეთიშა, წარუმატებლობას არაობიექტურ მსაჯს აბრალებს. ფიფა-მ ეკვადორელი ბრიან მორენო დაიცვა, მაგრამ სკანდალი ამით არ დამთავრებულა. "სკუადრა აძურას" გამოექომაგა ფრანგული ყოველდღიური სპორტული გამოცემა "ეკიპი", რომელმაც ეკვადორელი მსაჯის თითოეული შეცდომა დეტალურად გააანალიზა და ბრიან მორენო არაობიექტურობაში დაადანაშაულა.

ფრანგი ჟურნალისტები მიიჩნევენ, რომ არბიტრი საოცრად უსამართლო იყო იტალიელთა მიმართ, მასპინძელთა მიერ წესების დარღვევას კი ლოიალურად ხვდებოდა. ტოტის გაძევება, "ეკიპის" აზრით, საერთოდ სკანდალური ფაქტი იყო.

## ინგლისელები მწყობრში დგებიან

ინგლისის ნაკრებს პარასკევს ურთულესი მატჩი ელის ბრაზილიელთა წინააღმდეგ და, ბუნებრივია, სვენ გორან ერიქსონს წამყვანი ფეხბურთელების ტრავმები ძალიან აწუხებს.

გუნდთან ერთად ვერ ვარჯიშობდნენ მაიკლ ოუენი, ოუენ ჰაგრივზი და პოლ სქოულზი, რომლებიც დანიასთან მატჩში დაშავდნენ. ფეხბურთელები ნელ-ნელა დგებიან ფორმაში. ერიქსონს იმედი აქვს, რომ პარასკევამდე სამივე ფეხბურთელი მწყობრში იქნება და ბრაზილიას ინგლისელები საბრძოლო შემადგენლობით დახვდებიან.

სქოულზი და ოუენი მატჩს, ალბათ, ძირითად შემადგენლობაში დაიწყებენ, რასაც ვერ ვიტყვით ჰარგრივზე, რადგან მის ნაცვლად შესულმა სინკლერმა ერიქსონზე ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა და შვედი მწვრთნელი მას ბრზილიელებთანაც სასტარტოში დააყენებს.

## სენეგალელებს უჭირთ

ჯერჯერობით სენეგალის ნაკრებს არაფერი უჭირს - მეოთხედფინალში გავიდა და უფრო შორს წასვლასაც გეგმავს, მაგრამ აფრიკელებს ნამდვილად ძალიან გაუჭირდებათ, თუ თურქებთან მატჩში სამი წამყვანი ფეხბურთელი არ ეყოლებათ.

აფრიკელ მცველ ფერდინანდ კოლს მუხლი აწუხებს, კაპიტანი ალიუ სისე ბარძაყის კუნთის დაჭიმულობას უჩივის, პაპე მალიკ დიოპს კი კოჭის ტრავმა აქვს.

სენეგალელთა ფრანგი მწვრთნელი ბრუნო მეტსიუ იმედს არ კარგავს, რომ მისი გუნდის შესანიშნავი ტრიო თურქებთან მატჩისთვის ფორმაში იქნება და სენეგალის ნაკრები კიდევ ერთ სენსაციას მოახდენს, ანუ იქნება პირველი აფრიკული გუნდი, ვინც მუნდიალის ნახევარფინალში შეძლებს გასვლას.

## მეტცელდერი ფორმაშია

გერმანიის ნაკრები, რომელსაც მუნდიალის ფავორიტად არავინ მიიჩნევდა, სხვა გრანდებისგან განსხვავებით, ჩემპიონატს ნაადრევად არ დაემშვიდობა და დიდი შანსი აქვს, სერიოზულად იბრძოლოს ფინალში გასასვლელად. რუდი ფიოლერი შიშობდა, რომ მეოთხედფინალურ მატჩში გერმანიის ნაკრებს კრისტოფ მეტცელდერის გარეშე მოუწევდა ამერიკელებთან ბრძოლა, მაგრამ ახალგაზრდა მცველმა კოჭის ტრავმა იმაზე უფრო ადრე მოიშუშა, ვიდრე ექიმები ვარაუდობდნენ და 21 ივნისს გუნდთან ერთად იქნება.

"მეტცელდერმა უკვე დაიწყო ვარჯიში. საბედნიეროდ, მისი ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა. ულსანში მოედანზე გავა ყველა ის ფეხბურთელი, ვინც აქამდე თამაშობდა", - განაცხდა ფიოლერის თანაშემწემ მიხაელ სკიბემ.

## კორეელები არ ცხრებიან

იტალიასთან მატჩში კორეელთა ფანატიზმი და საოცარი გამძლეობის უნარი კიდევ ერთხელ გამოჩნდა. მასპინძელთა 31 წლის მცველმა კიმ ტე იუნგმა კრისტიან ვიერისთან ბრძოლაში ცხვირი დაიზიანა და შესაცვლელი გახდა. როგორც ექიმებმა დაასკვნეს, ფეხბურთელს ცხვირი აქვს გატეხილი.

მიუხედავად საკმაოდ სერიოზული ტრავმისა, კიმს ფიქრიც კი არ უნდა იმაზე, რომ მეოთხედფინალში დაისვენოს და ესპანელებთან არ ითამაშოს. მას სურს, აუცილებლად ითამაშოს, და რაკი ცხვირი სერიოზულად აქვს დაზიანებული, მოედანზე დამცავი ნიღბით გავა.

იტალიელებთან ჩატარებული თითქმის ასოცწუთიანი მატჩის მეორე მსხვერპლია კორეელი ნახევარმცველი კიმ ნამ ილი, რომელმაც თავიდან ბოლომდე ითამაშა, თავდაუზოგავად ირბინა, ბევრი სითხე დაკარგა და მატჩის ბოლოს ისე გამოიფიტა, რომ განძრევის თავი აღარ ჰქონდა. თავდადებულ ფეხბურთელს ექიმებმა დროზე უშველეს და ისევ ფორმაში ჩააყენეს.

## რონალდო მხოლოდ შეტევაზე ფიქრობს

ბრაზილიის ნაკრებისა და მილანის "ინტერის" ფორვარდი რონალდო უკვე ფინალზე ფიქრობს, მიუხედავად იმისა, რომ მის გუნდს მეოთხედფინალში მრისხანე მეტოქე ჰყავს ინგლისის ნაკრების სახით. "ფენომენი" აცხადებს, რომ მას ინგლისელების არ ეშინია და დარწმუნებულია, რომ ფინალში აუცილებლად ბრაზილიის ნაკრები გავა.

"სულაც არ მაინტერესებს, როგორ ითამაშებს ინგლისი ჩვენს წინააღმდეგ და რა ტაქტიკას გამოიყენებს მათი განსწავლული შვედი სვენ გორან ერიქსონი. ჩვენი ამოცანა მარტივია – უნდა შევუტიოთ, მეტოქეზე პრესინგი განვახორციელოთ და, რაც შეიძლება, მეტი გოლი გავიტანოთ. არ არის საჭირო იმაზე ფიქრი, რომ ჩვენი მეტოქე მუნდიალის ერთ-ერთი ფავორიტია. თუ მატჩზე კონცენტრირებას მოვახერხებთ, აუცილებლად მოვიგებთ." - ამბობს რონალდო.

## სენტიმენტალური კლოზე

გერმანიის ნაკრების ფორვარდი მიროსლავ კლოზე ჯერჯერობით მუნდიალის საუკეთესო ბომბარდირად რჩება, თუმცა, მას უკვე დაეწია ბრაზილიელი რონალდო. კლოზე ხუთ გოლზე გაჩერებას არ აპირებს და დიდი სურვილი აქვს, კვლავაც დაეხმაროს თავის გუნდს გამარჯვების მოპოვებაში.

გერმანიის ნაკრები მოედანზე კიდევ ერთხელ პარასკევს გავა და ამერიკელებთან ბრძოლაში შეეცდება ნახევარფინალის საგზურის მოპოვებას. მიროსლავ კლოზე აცხადებს, რომ ამერიკელების კარს აუცილებლად დალაშქრავს და გატანილ გოლს ფრიც ვალტერის ხსოვნას მიუძღვნის.

ფრიც ვალტერი, გარდა იმისა, რომ გერმანიის ნაკრების ლეგენდარული ფეხბურთელი იყო და გუნდთან ერთად 1954 წელს მსოფლიო ჩემპიონი გახდა, თავის დროზე "კაიზერსლაუტერნის" ღირსებასაც იცავდა და "კაიზერში" მოთამაშე კლოზე მას კარგად იცნობდა.

"მას ყოველთვის უხაროდა, როცა მე "კაიზერსლაუტერნისთვის" გოლს გავიტანდი. მატჩის შემდეგ ჭიქა ღვინოზე მეპატიჟებოდა და რჩევებს მაძლევდა. ჩემს ოჯახში ფრიც ვალტერს არასოდეს დაივიწყებენ. ამერიკელებთან მატჩში აუცილებლად გავიტან გოლს, რომელსაც ამ დიდი ფეხბურთელის ხსოვნას მივუძღვნი", - თქვა კლოზემ.

## "პერუჯას" ანი აღარ უნდა

სამხრეთ კორეის ნაკრების ეროვნულ გმირად შერაცხული იუნგ ჰვან ანის იტალიური კარიერა, როგორც ჩანს, იტალიის კარში გატანილ "ოქროს გოლს" შეეწირა. კორეელ ფეხბურთელს "პერუჯასთან" კონტრაქტი უკვე დაუმთავრდა, კლუბის პრეზიდენტი ლუჩანო გაუჩი კი მის გაგრძელებას აღარ აპირებს. მიზეზი ყველასთვის ცნობილია: ანმა იტალიის ნაკრებს "ოქროს გოლი" გაუტანა და მუნდიალს გამოთიშა. სწორედ ამიტომ პერუჯაში მისი დანახვაც კი აღარ უნდათ.

"ვინც იტალიის ნაკრების მუნდიალიდან გავარდნის მიზეზად იქცა, ის ჩვენთან ვეღარ დაბრუნდება!" - კატეგორიულად განაცხადა "პერუჯას" პრეზიდენტმა ლუჩანო გაუჩიმ.

უმბრიელთა მთავარი მწვრთნელი სერსე კოზმი შეეცადა, ანის დათხოვნა სპორტული მიზეზებით აეხსნა. "ანი საკუთარ მოვალეობებს ცუდად არ ართმევდა თავს, მაგრამ ჩვენ გვინდა, იატლიური ფეხბურთის განვითარებას შევუწყოთ ხელი და ამიტომ მის ნაცვალდ მომავალი სეზონიდან ამ პოზიციაზე ფაბიო გატი ითამაშებს." - თქვა კოზმიმ.

ანი "პერუჯაში" არც ისე ცუდად გამოიყურებოდა. 26 წლის ფეხბურთელმა უმბრიული კლუბის მაისურით 13 მატჩი ჩაატარა და ხუთი გოლი გაიტანა. მომავალი სეზონიდან ანი თავის კარიერას, ალბათ, სხვა ევროპულ კლუბში გააგრძელებს. მუნდიალს შემდეგ მის შეძენას უდავოდ ბევრი გუნდი მოისურვებს.

## მასპინძელი ზამთარში გაირკვევა

დღეს უეფა-ს შტაბ-ბინაში, რომელიც შვეიცარიაში, ნიონში მდებარეობს, ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის მასპინძლობის მსურველებმა ოფიციალური განაცხადი უნდა წარადგინონ. საბოლოო განაჩენს ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანიზაცია 13 დეკემბერს გამოიტანს, მაგრამ ამთავითვე ნათელია, რომ არჩევნის გაკეთება ერთობ გაძნელდება.

საქმე ისაა, რომ ტურნირის მასპინძლობა სურს მრავალ ქეყანას, რომელთა შორისაც შეამხანაგებულნი სჭარბობენ. ავსტრიას და შვეიცარიას ერთად სურთ მასპინძლობა, ასევე არიან ბოსნია-ხორვატია, საბერძნეთი-თურქეთი, შოტლანდია-ირლანდია. ეს კიდევ არაფერი: ტურნირის მასპინძლობის მსურველთა რიცხვში კვარტეტიც კი გამოერია - დანიის, ფინეთის, ნორვეგიისა და შვედეთის შემადგენლობით. მხოლოდ ორი ქვეყანაა, რომელთაც მარტო სურთ ჩემპიონატის მასპინძლობა. ესენი არიან რუსეთი და უნგრეთი. სხვათა შორის, უნგრეთს თავდაპირველად ავსტრიასთან ერთად სურდა ტურნირის მასპინძლობა, მაგრამ ფინანსურ საკითხებზე ვერ შეთანხმდნენ და ავსტრიელებმაც შვეიცარიელები შეიამხანაგეს.

## გაგონილა?

რას გაუგებ კაცი ამ ამერიკელებს - ხან რას მოიმოქმედებენ და ხან რას. ჯერ კიდევ მუნდიალის დაწყებამდე ერთი იტალიელი პორნოვარსკვლავი ნაკრების წევრებს, ტურნირის მოგების შემთხვევაში, სტრიპტიზის ჩვენებას შეპირდა. ცოტა ხნის წინათ მისმა ესპანელმა კოლეგამაც დაახლოებით ამგვარი რამ განაცხადა, იმ განსხვავებით, რომ ესპანელ სელია ბლანკოს მშობლიური ნაკრების ფინალში გასვლაც დააკმაყოფილებდა. ამის გამო, მართლაც, შეიძლება მოინდომო კაცმა, მაგრამ ის კი გაუგებარია, ამერიკის ნაკრების წევრის, ენტონი სანეს სტრიპტიზი ვის რაში სჭირდება. ამაზე იტყვიან, წაიმურდლა მშობლიური დედამიწაო. მოკლედ, თუკი ამერიკელებმა მეოთხედფინალურ მატჩში გერმანელები დაამარცხეს, სანე პირდაპირ მოედანზე გაიხდის. ახლა არ იკითხავთ, რატომ მოუვიდა თავში ეს ფეხბურთელს? თურმე, დედიშობილა სანეს ნახვის პერსპექტივა მის თანაგუნდელებს დამატებით ძალებს შემატებს გერმანელებთან მატჩში. ყოველ შემთხვევაში, თვითონ ასე ამბობს.

## ბექჰემომანია

იაპონელები ყოველთვის გიჟდებოდნენ დევიდ ბექჰემზე, მუნდილის პერიოდში კი ბექჰემომანიამ აპოგეას მიაღწია. ეს იმაში გამოვლინდა, რომ ფეხბურთით დაინტერესებულმა მამრებმა ვარცხნილობა შეიცვალეს და ბექჰემს მიბაძეს.

"ჩვენ ამას "ბექჰემის ეფექტს" ვუწოდებთ. ყოველდღიურად რამდენიმე ადამიანი შემოდის და გვთხოვს, ბექჰემის ვარცხნილობა გავუკეთოთ", - განაცხადა ტოკიოს ერთ-ერთი სალონის პარიკმახერმა.

იაპონიაში ჩასვლის შემდეგ ბექჰემს ადგილობრივი ფანები გასაქანს არ აძლევენ. ეს კარგიცაა და ცუდიც. სვენ გორან ერიქსონმა ნაკრებისთვის დამატებითი დაცვის გამოყოფა მოითხოვა, რათა გუნდს ვარჯიშისთვის ნორმალური პირობები ჰქონდეს და ფეხბურთელები ფანებისგან ძალიან არ შეწუხდნენ.

## ინამოტოს ევროპა იზიდავს

იაპონელი იუნიჩი ინამოტოს დიდი სურვილი ჰქონია, ევროპაში გააგრძელოს საფეხბურთო კარიერა. ამჟამად ის ლონდონის "არსენალის" საკუთრებაა, მაგრამ, როგორც ცნობილი გახდა, არსენ ვენგერი მის გუნდში დატოვებას არ აპირებს. სწორედ ამიტომ გახდა საჭირო, რომ ფეხბურთელს ასეთი საჯარო განცხადება გაეკეთებინა. ჯერჯერობით უცნობია, რა როგორ იქნება მის კარიერაში, მაგრამ საბოლოოდ ინამოტო მაინც ევროპაში დარჩება, რადგან მისი გადაბირება რამდენიმე საშუალო დონის ევროპულ კლუბს მოუნდა.

## ისტორიული გოლის მოლოდინში

კორეელებთან მეოთხედფინალური მატჩი, შესაძლოა, ისტორიული გამოდგეს ესპანეთის ნაკრებისთვის. საქმე ისაა, რომ, თუკი ესპანელები ორი გოლის გატანას მოახერხებენ, ნაკრების მონაგარი 900 გოლამდე გაიზრდება. ყოველ შემთხვევაში, ესპანელებს ჩინებული შანსი ეძლევათ, ამ მატჩში თუ არა, ტურნირზე მაინც მიაღწიონ ამ შედეგს. თუკი ასე მოხდება, გამოვა, რომ ასი გოლის გასატანად ესპანელებს სამი წელიწადი და სამი თვე დასჭირდათ. წინა, საიუბილეო მე-800 გოლი, რაულმა 1999 წლის 27 მარტს გაუტანა ავსტრიის ნაკრებს.

# ბავშვთა მსოფლიო ფეხბურთის დღე

მიხეილ აბაიშვილი


საქართველოს და სომხეთის ნორჩ ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების შეხვედრა. გოგიტა ბუხაიძის ფოტო

2001 წლის 20 ნოემბერს იუნისეფსა (გაეროს ბავშვთა ფონდი) და ფიფა-ს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში ბავშვებს ეძღვნება. ფიფა-იუნისეფის ალიანსის მთავარი მიზანია მსოფლიო ჩემპიონატის რამდენიმე მილიარდიანი აუდიტორიის წინაშე ბავშვთა უფლებების პოპულარიზება და ბავშვთა საკითხებზე საზოგადოების ყურადღების გამახვილება. ამ ალიანსის ფარგლებში 2002 წლის 19 ივნისი ბავშვთა მსოფლიო ფეხბურთის დღედ გამოცხადდა.

ფიფა-ს მხრიდან ამ ალიანსში მონაწილეობა მხოლოდ ლამაზი და კეთილშობილი ჟესტი ნამდვილად არ არის. ეს ორგანიზაცია, იუნისეფთან კავშირის გარეშეც, მთელს მსოფლიოში ბავშვთა ფეხბურთის განვითარებაზე ყოველწლიურად ასეულმილიონობით დოლარს ხარჯავს. პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელებიც ბავშვთა უფლებების აქტიურ დამცველებად გვევლინებიან. იუნისეფის კეთილი ნების ელჩები არიან პელე და რონალდო, ლუიშ ფიგუ და ზინედინ ზიდანი, რაული და პაოლო მალდინი...

ამ თარიღის - ბავშვთა ფეხბურთის საერთაშორისო დღის დაარსება - საქართველოშიც საკმაოდ პომპეზურად აღინიშნა. იუნისეფის წარმომადგენლობამ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან ერთად, თბილისში, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე გამართა ზეიმი. სპეციალურად ამ მოვლენისთვის მეზობელი სომხეთიდან მოიწვიეს 1989 წელს დაბადებულ ნორჩ ფეხბურთელთა ნაკრები, რომელიც საზეიმო ნაწილის დასრულების შემდეგ ქართველ თანატოლთა ნაკრებს ამხანაგურად გაეპაექრა. არც ქართული ესტრადის ვარსკვლავებმა ისურვეს ამ მოვლენის მიღმა დარჩენა და შეკრებილ ასეულობით მოზარდს სტადიონის დასავლეთ ტრიბუნის ქვეშ, იმპროვიზირებულ სცენაზე, ნამდვილი კონცერტი გაუმართეს. ნეკა სეფისკვერაძე, დათო ხუჯაძე, აჩი ფურცელაძე, ჯგუფი "რონდო" ის სახელებია, რომლებსაც არც ბავშვებისთვის და არც უფროსებისთვის განსაკუთრებული წარდგენა არ სჭირდებათ. უფროს შემსრულებლებზე არანაკლები აპლოდისმენტებით დაჯილდოვდნენ თენგიზ სუხიშვილის ქართული და ქართულ-სომხური ხალხური ცეკვების ბავშვთა ანსამბლებიც.

ამხანაგური მატჩი კი, რომლის შედეგსაც, დამეთანხმებით, ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა არ აქვს, ქართველი ნორჩების გამარჯვებით დასრულდა (1:0).

რუტ ლეანო (საქართველოში იუნისეფის ოფისის ხელმძღვანელი): "ფეხბურთი მთელს მსოფლიოში ძალზე დიდ როლს თამაშობს დაუცველი ბავშვების არსებობის შენარჩუნებაში. ჩვენ მოხარულნი ვართ ბავშვთა უფლებების დაცვისათვის ბრძოლაში ისეთი ავტორიტეტული და გავლენიანი პარტნიორის შეძენით, როგორიცაა ფიფა. იუნისეფისა და ფიფას ალიანსი მსოფლიო ჩემპიონატის დასრულების შემდეგაც გაგრძელდება. ეს ძალიან ბევრს ნიშნავს, უპირველესად, ბავშვებისთვის."

მერაბ ჟორდანია (საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი): " საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მუშაობაში ბავშვთა ფეხბურთი გამოკვეთილად პრიორიტეტული მიმართულებაა. დღევანდელი დღე იმის დამადასტურებელია, რომ ბავშვთა ფეხბურთი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ამ საქმეში ისეთი სერიოზული და გავლენიანი საერთაშორისო ორგანიზაციებია ჩართული, როგორებიცაა იუნისეფი და ფიფა. ფეხბურთის საერთაშორისო ორგანიზაციიდან სისტემატურად ვიღებთ დირექტივებს ბავშვთა ფეხბურთის განვითარებისათვის განსაკუთრებული ზრუნვისა და ამ კუთხით იუნისეფთან თანამშრომლობის მოთხოვნით."

## წმინდა ამერიკული გადაწყვეტილება

- რაო, რაო, ფინალიო? დიდი სიამოვნებით, მისტერ ბუშ, თქვენ ოღონდ მოინდომეთ და ჩვენგან უარი რა საკადრისია.

- მე მგონი, ცუდი აზრი არ მომსვლია. ბევრია იქ შეკრებილთაგან ჩვენზე უკეთესი?

- ერთი-ორი შეიძლება იყოს, ბევრი - ნამდვილად არა.

- მაგათ როგორმე მოვუვლით.

დაახლოებით ასეთი საუბარი გაიმართა თეთრ სახლში, სადაც ამერიკის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა სენეგალის პრეზიდენტს აბდულაე ვადეს უმასპინძლა. დაზუსტებით ვერ გეტყვით, რა გახდა აფრიკელის შტატებში ვიზიტის მიზეზი, მაგრამ შეხვედრისას ბევრი რომ ისაუბრეს ახლანდელ ჩემპიონატზე, ფაქტია.

შეხვედრის შემდგომ ჟურნალისტებისთვის გამართულ ბრიფინგზე თეთრი სახლის ოფიციალურმა წარმომადგენელმა იხუმრა, პრეზიდენტებმა მოილაპარაკეს, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში ერთმანეთს ამერიკისა და სენეგალის ნაკრებები შეხვდებიანო.

ხუმრობა იქით იყოს და, პოლიტიკისა და სპორტის ურთიერთობას თუ გავითვალისწინებთ, ასეთები მომხდარა?

ექსპერტი

## ომარ თეთრაძე: „მწვრთნელების კრიზისია„

იტალიის ნაკრების მარცხი სენსაციად მხოლოდ იტალიაში აღიქვეს. ჩემპიონატის მიმდინარეობიდან და, რაც მთავარია, მასპინძელთა თამაშიდან გამომდინარე, იტალიელთა მარცხი კანონზომიერია. თუმცა, ჩემპიონატი თანდათან ღარიბდება. ალბათ, უფრო კარგად ჟღერს მეოთხედფინალური წყვილი "საფრანგეთი-იტალია," ვიდრე სენეგალი-თურქეთი. მაგრამ ეს რეალობაა. რუსეთის ნაკრებს ჰქონდა შანსი, მაგრამ მწვრთნელმა ყველაფერი გააფუჭა. იტალიის ნაკრების გავარდნა უფრო ტრაპატონის ბრალია, ვიდრე ფეხბურთელებისა. აშკარად უსუსური იყო არგენტინელთა მწვრთნელი ბიელსა. მსოფლიო ფეხბურთში მწვრთნელების კრიზისი დაიწყო. ამის შესანიშნავი მაგალითია გუს ჰიდინკი, რომელმაც კორეელებს ისეთი ფეხბურთის თამაში ასწავლა, რომ ეს გუნდი მეოთხედფინალში გავიდა. იტალია-ინგლისის წყვილი, უბრალოდ, მეცოდება. ეს გუნდები თავს მოიკლავენ და ბოლომდე იბრძოლებენ. ფავორიტი არ არსებობს. გერმანია, ესპანეთი, თურქეთი თეორიულად ფავორიტებად ითვლებიან, მაგრამ ეს მხოლოდ თეორიაა და მეტი არაფერი. ამერიკის შეერთებული შტატების, სენეგალისა და განსაკუთრებით კორეის ნაკრებებს უამრავი სიურპრიზის შეთავაზება შეუძლიათ. თუკი შეიძლება ვთქვათ, იგივე კორეელთა ნახევარფინალში გასვლას სენსაცია ან სურპრიზი უნდა ვუწოდოთ. ჩემი აზრით, ჩემპიონატს ბრაზილია-ინგლისს შორის მოგებული გუნდი მოიგებს. ისე, არც სქოლარი და ერიკსონი არიან თანამედროვე მწვრთნელის ეტალონი. სამაგიეროდ, აქ თამაშობენ ფეხბურთელები, რომლებიც მწვრთნელზე არანაკლებ სწრაფად აზროვნებენ, რივალდოს და ბექჰემს მოედანზე თვითონ შეუძლიათ სიტუაციის შეცვლა.

კალათბურთი

## ქართველი კალათბურთელების მესამე გამარჯვება

მოსკოვში დასრულდა ახალგაზრდული სპორტული თამაშების კალათბურთელთა ტურნირის პირველი ჯგუფური ეტაპი. საქართველოს ნაკრებმა, რომელსაც თამაზ ოქრუაშვილი და დავით უსტიაშვილი ხელმძღვანელობენ, ზედიზედ მესამე შეხვედრა მოიგო. უკანასკნელი მეტოქე ლიტვის ნაკრები გახლდათ. ლიტველებმა აქამდე ორივე შეხვედრა დამაჯერებლად მოიგეს. მათ ჯერ რუსეთის ურალის ოლქის გუნდი დაამარცხეს (91:63), შემდეგ კი 100 ქულის სხვაობით (133:33) მოუგეს ყირგიზეთის ნაკრებს. ორი მატჩი ჰქონდათ მოგებული ქართველებსაც. ასე რომ, ლიტველებთან შეხვედრას ქვეჯგუფში პირველი ადგილის ბედი უნდა გაერკვია. მაყურებლის მოლოდინი არ გამართლდა -საქართველოს ნაკრებმა 89:54 დაამარცხა მეტოქე და ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა.

სპეციალისტები ერთხმად აღნიშნავენ ქართველი კალათბურთელების კარგ თამაშს და ოქრუაშვილის გუნდს მთავარ ფავორიტად თვლიან. საქართველოს ნაკრებს ყველაზე მეტი, 398 ქულა აქვს მოპოვებული. თამაშიდან კალათში ტყორცნის სიზუსტე 47,1 პროცენტს შეადგენს. როგორც ყოველთვის, პრობლემა საჯარიმოების ტყორცნის დროს იქმნება. საქართველოს ნაკრები ამ კომპონენტით ათეულშიც კი ვერ შევიდა. დაფარებებში ჩვენი გუნდი მეორე ადგილზეა - სამი შეხვედრის განმავლობაში საქართველოს ნაკრების წევრებმა 25-ჯერ დააფარეს მეტოქე გუნდების კალათბურთელებს.

# პაველ გოგე „ბასკოდან" წავიდა


ნუგზარ კანდელაკი. ლევან ხერხეულიძის ფოტო

საქართველოს ჩემპიონატი კალათბურთში ბათუმის "ბასკოს" გამარჯვებით დასრულდა. ზღვისპირელთა წარმატებაში დიდი თუ არა, გადამწყვეტი როლი ითამაშა მოწვეულმა მწვრთნელმა, პაველ გოგემ. მან ლეგიონერებით დახუნძლული კლუბი სწორი გზით წაიყვანა და დაძაბული ფინალური სერიაც ბათუმელთა გამარჯვებით დასრულდა. "დინამოსა" და "ბასკოს" ფინალმა დიდი აჟიოტაჟი და არეულობა გამოიწვია. ბევრი ითქვა და დაიწერა. ბათუმში მომხდარს ყველა თავისებურად აფასებდა. მიუხედავად ყველაფრისა, ცხადია, რომ ჩემპიონატის გარშემო ინტრიგა ყოველწლიურად იზრდება.

და მაინც, რისი ბრალია ის, რაც ყოველწლიურად ხდება. პირველი მიზეზი ქართული ხასიათია. კალათბურთელები, ხშირად მწვრთნელები ემოციებს ვერ თოკავენ. ამას მოყვება ჯერ შელაპარეკება, შემდეგ კი ჩხუბი და მასობრივი არეულობა.

"24 საათის " რედაქციას "ბასკოს" ყოფილი მეორე და დღეს (გოგეს გამგზავრების შემდეგ) პირველი მწვრთნელი ნუგზარ კანდელაკი ესტუმრა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კალათბურთელებსა და მწვრთნელებს "ბასკოსთან" კონტრაქტის ვადა დაუმთავრდათ. ჯერჯერობით ცნობილი არ არის, თუ ვინ დაიცავს ბათუმელთა ღირსებას მომავალ ჩემპიონატში. გოგე მოსკოვში იმყოფება და სხვადასხვა წინადადებებს იხილავს. მისი მიწვევის მსურველთა შორის მოსკოვის არმიელთა კლუბს, "ურალ გრეიტს" და რუსეთის ნაკრებსაც კი ასახელებენ. აქედან გამომდინარე, შეიძლება პაველ გოგე საქართველოში აღარც დაბრუნდეს.

რაც შეეხება კანდელაკის სტუმრობას, ამ ადამიანს კვლავ აწუხებს ის, რაც მოხდა ფინალების დროს და შემდგომ დღეებში და ბევრ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრება გააჩნია. "საქართველოში კალათბურთი განვითარდება მაშინ, როდესაც თოთოეული ჩვენთაგანი წარუმატებლობის მიზეზს საკუთარ თავში ვიპოვით.იმპერიის ნგრევას არ შეიძლებოდა, უარყოფითად არ ემოქმედა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოში რამდენიმე ძლიერი გუნდი გამოჩნდა.გამორჩეული ადგილი დაიკავა საკალათბურთო კლუბმა: "ვითამ", რომელმაც უდიდესი საქმე გააკეთა, თუმცა მიზეზთა გამო მაშინდელმა თაობამ თავისი გზა ვერ იპოვა."

ქართულ კალათბურთში არსებული პრობლემების თავი და თავი, კანდელაკის აზრით, მწვრთნელთა მომზადებაშია. წარმატების თუ წარუმატებლობის ერთ-ერთი მიზეზი არა მსაჯობა, პატარა ზომის დარბაზები ან ხულიგანი მაყურებელი, არამედ მწვრთნელთა ცუდი მომზადებაა. ეს ეხება უკლებლივ ყველა მწვრთნელს, მათ შორის, თავად კანდელაკსაც. ერთ-ერთ მთავარ პრობლემად რჩება ის აგრესია, რომელიც აშკარად შეინიშნება ქართულ კალათბურთში."

აგრესია მართლაც არსებობს, მაგრამ ეს ყოფითი, ყოველდღიური პრობლემებიდან გამომდინარეობს და არა კერძოდ კალათბურთში შექმნილი სიტუაციიდან.

დავუბრუნდეთ კვლავ საქართველოს ჩემპიონატს და ჩემპიონ "ბასკოს". დღეს სიტუაცია გაურკვეველია. მწვრთნელი და კალათბურთელები გუნდიდან წასულებად ითვლებიან. გოგეს ნაცვლად მთავარი მწვრთნელის პოსტზე ნუგზარ კანდელაკი მუშაობს. თუმცა არც მისი ბედია ბოლომდე გარკვეული. ყველაფერი 10 ივლისს გადაწყდება. სავარაუდოა, რომ მომავალი ჩემპიონატისათვის გაძლიერდება ლეგენდარული თბილისის "დინამო", რომელსაც მძლავრი მფლობელი გამოუჩნდა. დინამოელები წელსაც ახლოს იყვნენ მიზანთან.თუმცა რა დასამალია და მხოლოდ საქართველოს ჩემპიონობა საკმარისი არა არის. ყველა გუნდი ევროპულ ასპარეზზე ფიქრობს. კანდელაკის განცხადებით, ყველაფერს ფინანსები გადაწყვეტს. მომავალი ჩემპიონატი უფრო საინტერესო და დაძაბული იქნება. იმედია, გაცილებით მშვიდიც.

# ტეფლონის დონის აღსასრული

## გარდაიცვალა ამერიკის მთავარი მაფიოზი


დამწუხრებული ქალიშვილი ვიქტორია REUTERS



ჯონის ძმა რიჩარდ გამბინო REUTERS

მელორ სტურუა
საკ. კორ. აშშ

*გაგრძელება. დასაწყისი იხ. "24 საათი", 17. 19 ივნისი, 2002.*

მაკიაველის "მთავარ"-ზე გაზრდილი გოტისათვის არ არსებობდა ისეთი ცნება, როგორიცაა კოლექტიური ხელმძღვანელობა ან პასუხისმგებლობის განაწილება. მას სწყუროდა აბსოლუტური ძალაუფლება და სრული მორჩილება ხელქვეითთა მხრიდან. ის ითხოვდა თანაშემწეთაგან, რომ ყოველდღიურად პირადად მისთვის ჩაებარებინათ ანგარიში და პირადად მისგან მიეღოთ განკარგულებები. ყველაფერი ეს წააგავდა პოლიტბიუროს პერმანენტულ თათბირს, მხოლოდ "ხალხთა ბელადისაგან" გოტი საბედისწეროდ განსხვავდებოდა ლაყბობის სიყვარულით. მოლაყბე კი, როგორც ცნობილია, ძვირფასი მონაპოვარია მტრისთვის. მტერმა, ამ შემთხვევაში გამოძიების ფედერალურმა ბიურომ (გფბ), მოაწყო სასმენი პუნქტი "ბერგინ-კლუბში" გოტის შტაბ-ბინის ზედა სართულზე. ფრიად უხვი მოსავალიც მიიღეს - ფირზე ჩაწერილი ასობით საათი გოტის ლაყბობისა თავის კავშირებზე, თავის "კაპო"-ზე, მკვლელობებზე. იგი პირდაპირ ამხელდა საკუთარ თავს.

მოსმენილი საუბრების საფუძველზე 1990 წელს გოტი ისევ ბრალდებულის სკამზე აღმოჩნდა. მას ბრალად ედებოდა მკვლელობის ორგანიზაცია პროფკავშირების პრეზიდენტ პლოტნიკოვისა, რომელთანაც გოტის უთანხმოება მოუვიდა ანაკრეფ თანხებთან დაკავშირებით. მაგრამ ამჯერადაც სასწაულით მოახერხა თემიდის მკლავებიდან თავის დაძვრენა. სასწაული კი იმაში მდგომარეობდა, რომ გამოძიებას აწარმოებდა ნიუ-იორკის პოლიციის ოფიცერი, რომელსაც გოტი აფინანსებდა და რომელმაც შეატყობინა სასამართლოს მსაჯულთა სახელები და მისამართები. მსაჯულთა დამუშავება უკვე ტექნიკის საქმე იყო. გოტი გაათავისუფლეს, მოსყიდული ოფიცერი კი ციხეში ჩასვეს. ასე რომ, სამართალმა ნაწილობრივ იზეიმა.

მაგრამ ეს იყო "ტეფლონის დონის" უკანასკნელი გამარჯვება. თავის სრულ მოუხელთებლობაში დარწმუნებულმა ამ მაფიოზმა აქილევსმა თამამად მიუშვირა თავისი ქუსლი გფბ-ს ისარს. გუვერის უწყების ტექნიკურმა სამსახურმა დაამონტაჟა დამატებითი სასმენი მოწყობილობა ელიტარულ "რეივენანტ-კლუბში" მდებარე გოტის კიდევ ერთი რეზიდენციის მეზობლად. რამდენიმე თვის განმავლობაში ფირზე იწერებოდა თვითონ გოტის, მისი მარჯვენა ხელის სალვატორე გრავანოს (მეტსახელად "სემი-ხარი") და გამბინოს ოჯახის კონსილიორეს ფრენკ ლოკასიოს სისხლიანი საგა.

და აი, 1990 წლის დეკემბერში თემიდამ გადაწყვიტა, გოტი ნოკაუტში ჩაეგდო. გოტი და მისი პოლიტბიუროს წევრები დააპატიმრეს. ისინი სრულიად არაპრესტიჟულად წაიყვანეს პრესტიჟულ "რეივენანტ-კლუბიდან". ამჯერად ბრალდებამ საუბრების ჩანაწერებთან შედარებით უფრო მრისხანე იარაღი ჩაიგდო ხელში. მაფიოზმა №2 - **სალვატორე გრავანომ**, შეშინებულმა სამუდამო პატიმრობის და, იქნებ, სიკვდილით დასჯის პერსპექტივით, გადაწყვიტა ბრალდების მოწმედ გამოსულიყო. ასე რომ, "სემი-ხარი" გადაიქცა "მოჭიკჭიკე ჩიტუნიად". ორგანიზებულ დანაშაულობათა ისტორიაში ის იყო ყველაზე მაღალჩინოსანი მაფიოზი, ვინც თემიდის სამსახურში ჩადგა.

1992 წლის 2 აპრილს გოტის და ლოკასიოს ბრუკლინის სასამართლომ სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა. "სემი-ხარი" კი, გამყიდველობის საფასურად, ხუთი წლის პატიმრობით გადარჩა. მსაჯულთა სასამართლომ გოტი დამნაშავედ სცნო ბრალდების ყველა - ცამეტივე (საბედისწერო რიცხვი!) პუნქტში: რეკეტი, ხუთი მკვლელობა, გემბლინგი, შეთქმულებები, მართლმსაჯულებისათვის წინააღმდეგობის გაწევა, გადასახადების დაფარვა და კიდევ ბევრი წვრილმანი. სასამართლოზე გოტის სიტყვაც არ დაუძრავს. გულხელდაკრეფილი და ირონიულად მოღიმარი თვალს ადევნებდა პროცესს, ხოლო დასკვნით სიტყვაში მხოლოდ ის თქვა, რომ თავს დამნაშავედ არ სცნობს. იმავე დღეს, განაჩენის გამოტანის შემდეგ, გოტი ჩასვეს სპეციალურ თვითმფრინავში და გააგზავნეს ქ. მერიონში, ილინოისის შტატში, სადაც "მაქსიმალური უსაფრთხოების" ციხეში უნდა გაეტარებინა სამუდამო პატიმრობა. თემიდამ, ბოლოს და ბოლოს, შვებით ამოისუნთქა. გფბ-ს ნიუ-იორკის ოფისის ბოსმა - ჯეიმს ფოქსმა წარმოთქვა ცნობილი ფრაზა: "ტეფლონის დონი" აღარ არსებობს. ის მთლიანად ამოთხვრილია ბრალდებებში".

"ტეფლონის დონის" დაცემა იყო გამბინოს ოჯახის დაცემის დასაწყისი. გოტის გრძელი ენა, ვით ალბატროსი, ანდა აისიდორა დუნკანის შარფი, ოჯახს ყელზე შემოეხვია და მოახრჩო. მაფიოზურ ტახტზე მემკვიდრედ გოტიმ დატოვა უფროსი ვაჟი, აგრეთვე ჯონ გოტი, მეტსახელად "უმცროსი". მაგრამ მალე შვილი მამის კვალს გაჰყვა. ის გაასამართლეს რეკეტის ბრალდებით და დააპატიმრეს ექვსი წლითა და ხუთი თვით. გოტის ოჯახის დაცემას ფეხდაფეხ მიჰყვებოდა გამბინოს ოჯახის კრახი. გისოსებს მიღმა აღმოჩნდნენ გოტის ძმები პიტერი და რიჩარდი, რომლებიც გაასამართლეს რეკეტისათვის ნიუ-იორკის პორტში (პიტერი იყო ოჯახის ბოსი "უმცროსის" დაპატიმრების შემდეგ). ნარკოტიკებით ვაჭრობისათვის ციხეში მოხვდა გოტის კიდევ ერთი ძმა - ჯენი. მას მიესაჯა მთელი ორმოცდაათი წელი. გოტის დარჩა კიდევ თერთმეტი შვილიშვილი! დადგება თუ არა მგლის ლეკვებისგან ბაბუის მსგავსი მგლები, დრო გვიჩვენებს.

გოტის ოჯახის ერთადერთი თეთრი ყვავი აღმოჩნდა მისი ქალიშვილი ვიქტორია. იგი "ნიუ-იორკ პოსტის" რეპორტიორია და დეტექტიური რომანების წარმატებული ავტორი. მას ამ ჟანრში გამოცდილება არ აკლია, თავისუფლად შეეძლო, ეწერა ნატურიდან...

პარტნიორებს შორის უძლიერესმა გამბინოს ოჯახმა დაკარგა უპირველესის სტატუსი, მისი "კაპოების" უმრავლესობა დააპატიმრეს და გაასამართლეს, 23 ქვეგანყოფილებიდან 21 - დაარბიეს. ციხეში მყოფი გოტი ამაოდ ცდილობდა, შეენარჩუნებინა მართვის სადავეები და თავიდან აეცილებინა ოჯახის რღვევა. ის ჰყავდათ კამერა-იზოლატორში, ფანჯრების გარეშე და მხოლოდ ერთი საათით გამოჰყავდათ ჰაერზე. ამასთანავე, იგი დაავადდა კიბოთი და რამდენჯერმე წამოიყვანეს მერიონიდან სპრინგფილდში, ციხის ჰოსპიტალში. სწორედ აქ მიაბარა მან სული ღმერთს. ან, უფრო სწორად, სატანას.

ცნობა გოტის სიკვდილის შესახებ სწრაფად გავრცელდა ოზონპარკში, სადაც გოტის ოჯახი ცხოვრობს. ნიუ-იორკის ამ რაიონის მთავარ ქუჩაზე - ლიბერტი-ავენიუზე მცხოვრებმა ადამიანებმა განსხვავებულად აღიქვეს თავიანთი ყველაზე ცნობილი მეზობლის სიკვდილი. ზოგიერთებმა დაიტირეს კიდეც იგი.

- ჯონ გოტის გარდაცვალება ყველაზე სევდიანი მოვლენაა ჩემს ცხოვრებაში 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ, - ამბობდა კარმინე რომეო, პენსიონერი, მცხოვრები "ბერგინ-კლუბის" გვერდით, - ის იყო მეტი, ვიდრე ნიუ-იორკი, ვიდრე ჰოლივუდი, ვიდრე თვით ცხოვრება!

რომეო იხსენებს გოტის მიერ ორგანიზებულ ფეიერვერკს, რომელსაც იგი ყოველ წელიწადს აწყობდა თავისი რაიონის მცხოვრებლებისთვის დამოუკიდებლობის დღეს, 4 ივლისს. იგი გოტის მადლიერია მეზობლებისათვის გაკეთებული გულუხვი საჩუქრების გამო და განსაკუთრებით იმის გამო, რომ გოტის მრისხანე სახელი აფრთხობდა დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენლებს, რომლებიც ვერ ეკარებოდნენ ამ საცხოვრებელ რაიონს.

- ნახეთ ჩვენი სახლების დამახინჯებული ფასადები. სანამ გოტი ჩვენთან იყო, ამას ვერავინ გაბედავდა. ახლა ირგვლივ დანაშაულებები ხდება, მის დროს კი ასე არ იყო, - რომეოს ეთანხმება ჯოის ენ დომენიკო.

ერთხელ სალვატორე გრავანომ, შემდგომში გამცემმა, ჰკითხა გოტის: "არ გაღიზიანებენ ადამიანები, რომლებიც ასე ჩაგაშტერდებიან ხოლმე?" "არა, არა! - წამოიძახა გოტიმ, - ეს ჩემი პუბლიკაა, ჩემი ხალხი. მე მათ ვუყვარვარ!" გარკვეულწილად ეს მაფიოზი შორს არ იყო ჭეშმარიტებისაგან - მკვლელი, რომელიც რაფინირებული რობინ ჰუდის როლს თამაშობდა, საჭიროებისამებრ გულუხვი იყო და ზრუნავდა, რომ ხმები მისი გულუხვობის შესახებ გავრცელებულიყო.

- ის, ჩვეულებრივ, აძლევდა პატარა ბიჭებს ჯიბის ფულს, ყიდულობდა მათთვის ნაყინს და, საერთოდ, ანებივრებდა, - იხსენებდა ლოურენს ლესიო. მის გვერდით მდგარი ქალბატონი დომენიკო კი ასეთ ისტორიას მოგვიყვა:

- მე მყავდა ძაღლი - იორკშირული ტერიერი, რომელთან ერთად ხშირად ვსეირნობდი გოტის სახლის მახლობლად. ტერიერი მომიკვდა და გოტიმ შენიშნა, რომ ახლა უკვე მარტო ვსეირნობდი, ძაღლის გარეშე. "რა დაემართა?" - როგორღაც ერთხელ მკითხა მან და, როდესაც გაიგო, დაინტერესდა: "გინდათ, რომ გყავდეთ ზუსტად ისეთივე ძაღლი?" ვუპასუხე, რომ მინდა, და მან მაჩუქა სწორედ ისეთი ტერიერი. ეს მშვენიერი იყო!

გოტის სახლთან (იქ ახლა ცხოვრობს მისი ქვრივი) შეკრებილი მეზობლები აღშფოთებულნი არიან, რომ ნიუ-იორკის მერი რუდოლფ ჯულიანი უკრძალავს განგსტერებს ფეიერვერკის მოწყობას, რომ პრესა და ტელევიზია ასე ლანძღავდა გოტის.

ახლომდებარე აფთიაქის მეპატრონე ალ მონაკო ამბობს:

- გოტისა და მისი პროცესის ირგვლივ ბობოქრობდა სენსაცია. მაგრამ ჩემთვის ის იყო უბრალოდ კარგი ბიჭი, ჯენტლმენი, რომელიც კარგად იცვამდა...

იყო, რა თქმა უნდა, სხვა მოსაზრებებიც.

- ის იყო ცუდი ადამიანი, დამნაშავე, რომელმაც დაიმსახურა სიკვდილი! - ამბობს ფრედი როდრიგესი, ავტოსარემონტო სახელოსნოს მეპატრონე ლიბერტი-ავენიუზე, - დიახ, ის იყო დამნაშავე და მე არ მეშინია ამის ხმამაღლა თქმის.

მაგრამ ასეთი გამბედავები ცოტანი აღმოჩნდნენ. გოტი თავისი მეზობლებისათვის არა მარტო მფარველი ანგელოზი, არამედ სატანაც იყო. ამიტომ, როდესაც გოტის სიკვდილის შემდეგ რეპორტიორები მიცვივდნენ მის სახლთან მეზობლებისაგან ინტერვიუების ასაღებად, უმრავლესობა შიშით გარბოდა დიქტოფონის დანახვაზე და მოკლედ პასუხობდა: "არავითარი კომენტარი!"

კვარტლის ეთნიკური მრავალფეროვნებაც განაპირობებს გოტის მიმართ ასეთ განსხვავებულ დამოკიდებულებას. იტალიელები მას, როგორც იტყვიან, მკერდით იცავდნენ.

- მან ბევრი სიკეთე გაგვიკეთა. ყოველთვის იცავდა თავის თანამემამულეთა - იტალიური წარმოშობის ამერიკელთა - ინტერესებს. შეიძლება, მისი ქმედებები უკანონო იყო. მე ცოტა ვიცი ამის შესახებ, მაგრამ ჩვენ ყველას გვიყვარდა იგი, - ამბობს კარლო ბოსტილური.

ხოლო ახალი ტალღის იმიგრანტებს ლათინური ამერიკიდან და აფრიკიდან საერთოდ არ გაუგიათ მის შესახებ ან ფრიად ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ. ყოველ შემთხვევაში, მის სულს შენდობას უთვლიდნენ და ამბობდნენ, რომ ცხოვრება ძალიან რთულია და, რაც შეიძლება ჩქარა უნდა დადგნენ ფეხზე. ამაში კი მათ მხოლოდ საკუთარი თავის იმედი აქვთ და არა ვიღაც "მაგარი ბიჭის", როგორც ამბობდა გაიანის ყოფილი მკვიდრი, გვარად ტვეირი.

თავის ანდერძში გოტიმ დაიბარა, რომ ის დაეკრძალათ წმ. იოანეს სასაფლაოზე ქვინსში, მიდლ ვილიჯის მახლობლად. ეს რომაულ-კათოლიკური სასაფლაოა, რომელზეც დაკრძალულია მისი 12 წლის ვაჟიშვილის - ფრენკის ნეშტი. სასაფლაო ცნობილია იმით, რომ იქ განისვენებს "კოზა ნოსტრას" ბევრი ლეგენდარული ფიგურა, როგორებიც არიან ლაკი ლუჩიანო - ყველა ბოსების ბოსი 30-იან წლებში, და კარლო გამბინო - გოტის ყოფილი ბოსი.

არც გოტის ოჯახის ადვოკატს და არც ბრუკლინის ეპარქიის (რომლის მფლობელობაშიც შედის სასაფლაო) ხელმძღვანელობას არ უნდოდა ეცნობებინა პრესისათვის - იქნება თუ არა მიღებული უფლება გოტის დაკრძალვაზე. არსებობდა პრეცედენტი კათოლიკურ სასაფლაოზე განგსტერის დაკრძალვის წინააღმდეგ, რამეთუ უკანასკნელ წლებში ეკლესიამ გაამკაცრა კანონები. ეს პრეცედენტი გულისხმობდა საკმაოდ დიდ ირონიას. თავად განსაჯეთ: 1985 წელს ნიუ-იორკის არქიეპისკოპოსმა კარდინალმა ჯონ ო'კონორმა აკრძალა წმ. იოანეს სასაფლაოზე გამბინოს ოჯახის "ნათლიის" პოლ კასტელანოს დაკრძალვა, სწორედ იმ კასტელანოსი, რომელიც მოაკვლევინა ჯონ გოტიმ და შემდგომ დაიკავა მისი ადგილი. კარდინალმა ო'კონორმა, რომელიც პრაქტიკულად მთელი შეერთებული შტატების კათოლიკური ეკლესიის წინამძღოლია, თავისი გადაწყვეტილება ასე ახსნა: "ეკლესია ვერ მოითმენს უკანონობას".

დაკრძალვები მაფიოზური ხელმძღვანელებისა, რომელთაც აღუმართავენ გიგანტურ მავზოლეუმებს (სასაფლაოს ადგილობრივი კრიტერიუმებით მათი აღებაც აუცილებლობას წარმოადგენს), ყოველთვის გადაიქცევა ხოლმე უზარმაზარ შეკრებად. ათასობით ცნობისმოყვარე, მაფიის ასობით დამწუხრებული ჯარისკაცი (რიგითი მებრძოლი) და "კაპო", მას-მედიის უამრავი წარმომადგენელი, არანაკლები რაოდენობა გფბ-ს აგენტებისა და პოლიციის დეტექტივებისა, შავი "კადილაკების" და "ლინკოლნების" დიდი კავალკადა, ყვავილების ზღვა და ცრემლების ოკეანე - მოკლედ, ყველაფერი ის, რაც ჩვენ ბევრჯერ გვინახავს ჰოლივუდის განგსტერულ ფილმებში.

გოტის შემთხვევაში სიტუაცია კიდევ უფრო გაართულა იმ გარემოებამ, რომ ბევრი მისი უახლოესი ნათესავი ციხეში იჯდა. შეიტყვეს თუ არა თავიანთი საყვარელი ძმისა და მამის გარდაცვალების შესახებ, მათ მაშინვე თხოვნით მიმართეს ხელისუფლებას - ნება დაერთო, უკანასკნელი პატივი მიეგოთ "ნათლიისათვის". ბრუს კატლერმა, რომელიც ოდესღაც სასამართლოში იცავდა გოტის, მიმართა ფედერალურ სასამართლოს თხოვნით - დაკრძალვის დღეს უახლოესი ნათესავები პირობით გაეთავისუფლებიათ.

13 ივნისს ბრუკლინის ეპისკოპატმა, ბოლოს და ბოლოს, მიიღო სოლომონისებური გადაწყვეტილება: ნება დართო დაეკრძალათ გოტი წმ. იოანეს სასაფლაოზე, მაგრამ აუკრძალა მესის ჩატარება. კათოლიკმა იერარქებმა, როგორც ჩანს, გადაწყვიტეს, რომ "ნათლია" საეკლესიო რიტუალს არ იმსახურებდა.

ან, შეიძლება, ამ სოლომონისებური გადაწყვეტილების მიღებაში როლი შეასრულა იმ გარემოებამ, რომ ამ დღეს ტეხასის ქალაქ დალასში გაიხსნა ამერიკის კათოლიკური პრელატების კონფერენცია, მიძღვნილი გრანდიოზული სკანდალისადმი, რომელმაც შეძრა მთელი ამერიკა. გამომჟღავნდა პედოფილიის და მცირეწლოვანთა გარყვნის მრავალი შემთხვევა ღვთის მსახურთა შორის, რომელთაც ხელს ეკლესიის მამები აფარებდნენ.

ასე რომ, როგორც ჩანს, ეკლესიის წინამძღვრებმა გადაწყვიტეს, რომ მათ საკუთარი ცოდვები სავსებით ჰყოფნით და არ ღირს, სხვისი ცოდვებიც იკისრონ.

*დასასრული შემდეგ ნომერში*

# ძველი მამაკაცებისა და გრეის კელის დამსახურება

## ხელჩანთის ისტორიიდან

თამარ ბაბუაძე

***მარგარეტ თეტჩერის განუყრელი შავი ხელჩანთა, მის დოკუმენტებთან ერთად, არქივში შეინახეს, როგორც უამრავი სამთავრობო გადაწყვეტილების ძალაუნებური მოწმე. თეტჩერის "რკინის ლედობის" პერიოდში მას "პრემიერის საიდუმლო იარაღსაც" უწოდებდნენ... ხელჩანთა მფლობელის სულს გამოხატავს. მისი შიგთავსი ქალის საიდუმლოებებს ინახავს, გარეკანი კი მის ხასიათზე მიგვანიშნებს.***

თუ ძალიან შორს წავალთ, შეიძლება, ედემის ბაღამდეც ჩავაღწიოთ და ხელჩანთის პირველი პროტოტიპის მოძიება იქ მოგვიხდეს. თუმცა, ნამდვილად ძნელი წარმოსადგენია მკლავზე ჩანთაგადაკიდებული, ბაღში მოსეირნე ევა, მითუმეტეს საკრალური ვაშლის მოწყვეტამდე...

ხელჩანთის პირველი ვარიანტი ცოტა აქეთ, ჩვენსკენ უნდა ვეძიოთ და, სხვათა შორის, არა ქალების გარდერობში. მისი საჭიროება გადაპრანჭულმა მანდილოსნებმა კი არა, თურმე, სქელ-სქელი ბანკნოტების თრევით შეწუხებულმა მამაკაცებმა იგრძნეს. და ასე – მძიმე მონეტების ტარებით კუზები რომ არ გასჩენოდათ, შემოიღეს პატარა ჩანთები, რომელთაც სუნამოს შესანახადაც იყენებდნენ. დიახ, სუნამოს, რომელსაც იმ ხანად არც ივ სენ ლორანი "აყენებდა" და არც გუჩი. მაშინ სუნამოებს გამხმარი ხილისგან, საკუთარი ხელით ამზადებდნენ. მერე კი ხელჩანთის ისტორია უკვე შეიძლება ასწლეულების მიხედვითაც დავყოთ:

**1400-იანი წლები:** ხელჩანთებს ქალებიც ატარებდნენ და მამაკაცებიც, რომელთა ჯიბის სისქესაც, ისევე როგორც დღეს, ჩანთის ძვირფასი ქსოვილი უსვამდა ხაზს. ამ სისქის უკეთ გამოსახატად ჩანთებს ოქროთიც ქარგავდნენ.

**1500-იანი წლები:** თუმცა, რა ჯიბე. მაშინ სად იყო ჯიბე. არადა, ქალებს რაღაც აკლდათ, რაღაც უნდოდათ და ვერ ხვდებოდნენ, რომ ეს რაღაცა ჯიბე იყო. ამ გაუთვითცნობიერებელი სურვილით, მე-17 საუკუნეში მათ ქვედაბოლოების ქვეშ პატარა ხელჩანთების ტარება დაიწყეს. დიახ, ჩანთებს მრავალფენიან კაბებს შიგნით მალავდნენ.

**1600-იანი წლები:** როგორც იქნა, ვიღაც მადლიანმა ქალების ახირებას გაუგო და ჯიბე "გამოიგონა". მას მანდილოსნები ისეთი აღფრთოვანებით შეხვდნენ, როგორც, ალბათ, მოგვიანებით ტელეფონს – ჭორაობის ქალური ნიჭიდან გამომდინარე. თუმცა, პატარა ხელჩანთები მოდიდან მაინც არ გადავიდა. უბრალოდ, სანამ ისინი თავიანთ ღირსეულ ადგილს მანდილოსნების მკლავებზე დაიმკვიდრებდნენ, ქვედაბოლოებიდან ჯიბეებში გადაინაცვლეს.

**1700-იანი წლები:** ამ პერიოდში ხელჩანთები ცოტათი გადაავიწყდათ კიდეც. საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ ხომ მოდაში მინიატურული სტილი შემოვიდა, მარლის კაბებითა და მკერდზე მიმაგრებული ბაფთებით. ასე რომ, ჯიბის ადგილი აღარსად დარჩა და ქალებმაც ხელჩანთის ახალი სტილი გამოიგონეს – რედიკული.

**1800-1900 წლები:** მეოცე საუკუნის დასაწყისში, როცა მანდილსონებმა ისევ ვიწრო კაბებში გაჭედვა ამჯობინეს, მოდაში გრძელ ჯაჭვზე ჩამოკიდებული დიდი ჩანთები შემოვიდა. ამ პერიოდში უჩანთოდ უკვე ველარავინ ძლებდა. ხელჩანთა ქალის გარდერობის უმთავრესი ატრიბუტი გახდა.

ფანტაზიას გზა მისცეს და შექმნეს წყალგაუმტარი ჩანთები წვიმიანი დღეებისთვის, უზარმაზარი ჩანთები პლაჟებისთვის, მინიატურული, ათასგვარი ფორმის ხელჩანთები საღამოებისა და წვეულებებისთვის, სპორტული ზურგჩანთები ყოველდღიურობისთვის. ერთი სიტყვით, ჩანთები – ყველანაირი განწყობის, ყველანაირი ჩაცმულობის და ყველანაირი შემთხვევისთვის.

ნამდვილი მოდაც ჩანთების ისტორიაში სწორედ აქედან დაიწყო. 20-იან წლებში ქალები ერთმანეთს თვალს უბრმავებდნენ ცელულოიდის ჩანთებით, რომლებსაც ემალის ან მარგალიტის თვლებით რთავდნენ. 40-50-იან წლებში კი ჩანთები უკვე ზედმეტად ექსტრავაგანტულიც გახდა. ამ დროისათვის მოდის სამყარო ამერიკულმა ნაწარმმა დაიპყრო და მთელი მსოფლიოს საქალეთმაც ლუციტის (მაგარი პლასტიკატი) დეტალებით გაწყობილი ჩანთები დაიკავა. ეს მანამ, სანამ მონაკოს პრინცესად ქცეულ მსახიობს, გრეის კელის "ჰერმესის" უძვირფასესი, ნიანგის ტყავის ჩანთა არ მოეწონებოდა. მოეწონა გრეის კელის და აიტაცა მთელმა მსოფლიომ. ეს ასე მოხდა:

**1956 წელს** პრინცესა გრეისმა "ჰერმესის" ზოლებიანი ხელჩანთა დაიკავა და ქალებს ჟურნალ Life-ის გარეკანზე მოევლინა. "ჰერმესის" მაღაზიებთან მაშინვე ცოცხალი რიგი გაიჭიმა, შუბლზე ნომრებით. თუმცა, ხუმრობის გარეშე, ქალებს, კელის ამ ჩანთის შესაძენად მართლაც ექვსთვიან რიგებში დგომა, მათ ქმრებს კი თითო ჩანთაში 20 ათასი ფრანგული ფრანკის ბუზღუნ-ბუზღუნით გადახდა (მამაკაცების ლექსიკონით, გადაყრა) უწევდათ.

თუმცა, მალე "კელი" კარლ ლაგერფელდის შემოქმედებამ დაჩრდილა. "შანელის" სახელით, ლაგერფელდმა ტყავის ნაკუწებით შეკერილი ჩანთა კვლავ დააბრუნა მოდაში, ოღონდ ტყავთან ერთად, შემოიტანა ტვიდი, ველვეტი. მოკლედ, 80-იან წლებში დატაცების საგანი ლაგერფელდის ეს ჩანთები გახდა. მკერავები კერვას ველარ აუდიოდნენ. ბოლოს საქმე იქამდეც მივიდა, რომ



გრეის კელი თავის განუყრელ ნივთებთან

ლიმიტი დააწესეს – თითო მყიდველს სამ ჩანთაზე მეტის ყიდვის უფლება არ ჰქონდა, თითო ჩანთა კი 560 ფუნტი სტერლინგი ღირდა.

**1989 წელს** საყოველთაო ყურადღების ცენტრში "პრადა" მოექცა თავისი შავი, ნეილონის ჩანთებით. **1992 წლიდან** კი, ტომ ფორდის მოსვლის შემდეგ, "გუჩი" აღსდგა - ფორდმა მოდაში ბამბუკის სახელურიანი, G ნიშნიანი ჩანთები შემოიტანა. მეოცე საუკუნის დასასრულს, ლუის ვიტონმა მინიატურული ზურგჩანთების მოდა დაამკვიდრა. ბუნებრივია, ამ ახალი სტილური პროდუქტის მოსაპოვებლად ვიტონის მაღაზიებში შვიდთვიანი რიგები გაჩნდა. თუმცა, უიდეოდ არც ტომ ფორდი დარჩა. მეოცე საუკუნე "გუჩიმ" ჯეკი ონასისის 60-იანი სტილის ჩანთის რეანიმაციით გააცილა.

მოკლედ, ისევე როგორც ტანსაცმლის, ჩანთის მოდაშიც ყველაფერი თავიდან დატრიალდა. დედამიწასთან ერთად, მოდამაც ბევრი იბრუნა. ბუნებრივია, გაჩერებას არც 21-ე საუკუნეში აპირებს. ტომ ფორდს თუ პრადას ბევრი ახალი და საინტერესო იდეა აქვს. ასე რომ, ხელჩანთების მიზეზით სტილური ქალბატონები მომავალშიც დიდი სიამოვნებით ჩადგებიან ექვსთვიან რიგებში.



„გუჩის" ჩანთებს მთელი თბილისი ხმარობს

# საზაფხულო ქალამნები

## სამამულო წარმოების ფეხსაცმელები „ქარვასლაში"

ვერა ნეფარიძე

განავითარებს თუ არა ერთი გამოფენა საქართველოში მსუბუქი მრეწველობის ისეთ ჩავარდნილ დარგს, როგორიც ფეხსაცმლის წარმოებაა და ეყოფა თუ არა ამ საქმეს ოთხი საწარმო და რვა დიზაინერი, დრო აჩვენებს. მიზანი კი სწორედ ასეთი ჰქონდა გამოფენას, რომელიც გუშინ დაიხურა "ქარვასლაში".

ორდღიანი გამოფენის სტუმრებიდან ბევრს, შესაძლოა, გაუჩნდა კიდეც ქართული ფეხსაცმლის ბაზარზე დამკვიდრების იმედი. მითუმეტეს, როგორც ითქვა, გამოფენა საკმაოდ შეზღუდულია, როგორც წარმოდგენილი დიზაინერების, ისე პროდუქციის თვალსაზრისით და ის მხოლოდ საშემოდგომო გრანდიოზული ღონისძიების სამზადისია. სექტემბერში ფეხსაცმლის ქართველი დიზაინერები სამამულო პროდუქციის მასშტაბურ გამოფენა-გაყიდვას გვპირდებიან. წინამოსამზადებელ გამოფენაზე კი, რომელსაც "ქალამანი" ერქვა, საკუთარი ნამუშევრები ოთხმა საწარმომ, რვა დიზაინერმა და ესკიზების ოთხმა ავტორმა წარმოადგინა.

თუ ბაზრობაზე თქვენი ყურადღება Masichi-ს, Rainboi-ს, Lord-ს ან Gorgi-ს სამარკო ნიშნიანმა ფეხსაცმელმა მიიპყრო, თქვენთვის გაურკვეველმა სახელწოდებებმა შეცდომაში არ უნდა შეგიყვანოთ. სახელწოდებებისგან განსხვავებით, მათი მწარმოებლები ნამდვილად ქართველები არიან და სამამულო ფეხსაცმელებს აწარმოებენ. ამაში თვადაც გუშინ, "ქარვასლაში", გამოფენზე დავრწმუნდი.

ქართული ფეხსაცმელების პოპულარიზაციის მიზნით, გამოფენის ორგანიზებაზე ახალგაზრდა დიზაინერმა, ელდარ ბიძინაშვილმა იზრუნა. მისი მონაწილეობა კი მხოლოდ დიზაინერ-მწარმოებელთა შეკრებით არ ამოწურულა. 27 წლის დიზაინერს თავადაც აქვს საკუთარი საწარმო, რომლის პროდუქციას Gorgi-ს საფირმო ნიშნით ვაგზლის ბაზრობაზეც შეიძლება გადააწყდეთ; "ქარვასლაში" ამ სამარკო ნიშნით მამაკაცის რამდენიმე ფეხსაცმელი იყო გამოფენილი.

"ამ გამოფენაში ქართველი დიზაინერების ძალიან მცირე ნაწილი მონაწილეობს და ისინიც მცირე კოლექციას გვაჩვენებენ. უფრო სრულად ქართული ფეხსაცმლის ბაზარი წარმოდგენილი იქნება შემოდგომაზე, როდესაც საქართველოში დიზაინერთა და მეწარმეთა პირველი ერთობლივი გამოფენა გაიმართება" – გამოფენის ორგანიზატორის დაპირებისამებრ, საშემოდგომო ღონისძიებაში ყველა იმ ადამიანის ნამუშევარს გააცნობენ ფართო საზოგადოებას, ვინც ფეხსაცმლის დიზაინით არის დაინტერესებული.

მე პირადად, სიმპათიით განვეწყე მალხაზ ჩირგაძის ფირმის პროდუქციისადმი, სადაც განსაკუთრებით ნატა გოგავას საზაფხულო ფეხსაცმელები მომეწონა; ნატა არც ისე დიდი ხანია, რაც ტანსაცმლიდან ფეხსაცმლის დიზაინზე გადავიდა. არ ვიცი, რატომ შეიცვალა სამუშაო მიმართულება დიზაინერმა და როგორ გამოსდიოდა ტანსაცმლის კერვა, მაგრამ ჩემი აზრით, ფეხსაცმელები მშვენივრად გამოსდის. როგორც აღმოჩნდა, გამოფენაზე ჩემი მოწონებული Masichi-ს ფირმის (ჩირგაძის ფეხსაცმელების საფირმო ნიშანი) ფეხსაცმელები რუსეთის ბაზარზე დიდი წარმატებით იყიდება.

ფეხსაცმელების გარდა, გამოფენაზე ოთხი ახალგაზრდა დიზაინერის გაკეთებული ფეხსაცმლის ესკიზებიც გამოიტანეს. საინტერესო იყო სამხატვრო აკადემიის დიპლომატის, თეა რაზმაძის ნამუშევრები. ახალგაზრდა დიზაინერის ნიჭი, როგორც ჩანს, მხოლოდ მე არ შემიმჩნევია – რაზმაძემ შეთავაზება მიიღო მალხაზ ჩირგაძის საწარმოსგან და მისივე თქმით, აკადემიის დამთავრების შემდეგ, ალბათ, დათანხმდება კიდეც საქმიან წინადადებაზე. საშემოდგომო ჩვენებაზე კი, შესაძლოა, მისი ესკიზების მიხედვით შეკერილი ფეხსაცმელებიც ვიხილოთ. რაც შეეხება ქართული ფეხსაცმელების ფასს, როგორც მითხრეს, ბაზრობაზე საკმაოდ ხელმისაწვდომია – 50 ლარიდან ზემოთ. ზოგადად, სამამულო წარმოების ფეხსაცმელების პერსპექტივას, ალბათ, უფრო ზუსტად საშემოდგომო გამოფენის მიხედვით განვსაზღვრავთ.



ალეკო კარტოზიანის ფოტო

### ამბები

# სტიუარტი, როსი და ბეისი ლონდონს გაამწვანებენ

29 ივნისს ლონდონში გაიმართება საქველმოქმედო კონცერტი, სადაც ცნობილი მომღერლები, როდ სტიუარტი, შირლი ბეისი და დაიანა როსი მიიღებენ მონაწილეობას. კონცერტის შემოსავალი გადაირიცხება პრინც ჩარლზის საქველმოქმედო ფონდში, რომელიც 1976 წლიდან ბავშვებსა და ღარიბ ოჯახებს ეხმარება. კონცერტამდე 75 ათასი მაყურებლის თვალწინ ცნობილი შემსრულებლები დარგავენ ხეებს, რაც სიმბოლურად გამოხატავს მათ წვლილს მსოფლიოსა და გარშემომყოფთა დაცვაში.

# ჰოლივუდი ბუშს ადანაშაულებს

ამერიკის კულტურის მოღვაწეების ჯგუფი პრეზიდენტის ახალი, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კანონის წინააღმდეგ გამოვიდა. მათი აზრით, კანონი ამერიკის მოქალაქეებს თავისუფლებას უზღუდავს.

პრეზიდენტის პოლიტიკისადმი ჰოლივუდის ასეთი დამოკიდებულების პარალელურად საზოგადობის ყურადღება სპილბერგის ინტერვიუმ მიიქცია. ინტერვიუ რეჟისორის ბოლო ფილმის, Minority report-ის ეკრანებზე გამოსვლას უკავშირდება. ფილმი, სადაც მთავარ როლს ტომ კრუზი თამაშობს, პრეზიდენტ ბუშის საგარეო პოლიტიკის პროტესტად აღიქვეს. რაც მთლად არ დაადასტურა თავად რეჟისორმა ინტერვიუს დროს და თქვა: "მე მხარს ვუჭერ ბუშის კამპანიას ტერორიზმის წინააღმდეგ, ამისთვის მზად ვარ, დროებით სამოქალაქო თავისუფლებაზეც ვთქვა უარი, მაგრამ უნდა დავუსვათ საკუთარ თავს შეკითხვა: საით წაგვიყვანს ეს პოლიტიკა?".

ამის მიუხედავად, სპილბერგი აღმოჩნდა იმ ჰოლივუდელთა სიაში, ვინც ხელი მოაწერა პრეზიდენტის პოლიტიკის საპროტესტო ბარათს. ამ შემთხვევაში რეჟისორი მწერალ ელის ვოლკერის, მსახიობების: ედ ასნერის, ოსი დევისის, მუსიკოსების: ლორი ანდერსონის და მოს დეფის, პალესტინელი ინტელიგენტის, ედვარდ საიდისა და ფემინისტი გლორია სტეინემის გვერდით აღმოჩნდა. ბევრმა ჰოლივუდელმა ხელი არ მოაწერა აქტივისტების მიმართვას, მიიჩნიეს, რომ ასეთი საქციელი მათ ღალატში ჩაეთვლებოდათ. ასეთები აღმოჩნდნენ: რეჟისორი, რობერტ ალტმანი, მწერალი, სიუზან სონტაგი და მსახიობი ანჯელინა ჯოლი; ამას გარდა, კინემატოგრაფისტები ეწინააღმდეგებიან ბუშის გადაწყვეტილებას, ნევადას უდაბნოში დაფლან ტონობით რადიაქტიური ნივთიერებები. ჰოლივუდში ეშინიათ, რომ ბირთვული ნივთიერების დაფვლა მოწამლავს მიწისქვეშა წყლებს ნევადაში, რომელიც კალიფორნიის მეზობლადაა. პროტესტის ამ ნაწილს ეთანხმებიან: ბარბარა სტრეიზანდი, ალეკ ბოლდუინი, მორგან ფრიმენი, ტიმ რობინსი, მარტინ შინი, რიჩარდ დრეიფუსი.

კულტურის 70 მოღვაწემ ხელი მოაწერა კონგრესისადმი მიმართვას, სადაც ისინი ადმინისტრაციის მოქმედებების ბლოკირებას მოითხოვენ.

# „კეთილი რჩევა" გაითვალისწინეს

ვინ იფიქრებდა, რომ გზააბნეული დებოშიორის, ჩარლი შინისა და "ველური სექსუალური გოგონას", დენიზ რიჩარდსის რომანი კანონიერი ქორწინებით დასრულდებოდა? თუმცა, მსახიობები, რომლებმაც ერთმანეთი ორი წლის წინათ ფილმის "კეთილი რჩევა" გადასაღებ მოედანზე გაიცნეს, კათოლიკური ტრადიციითა და წესით დაქორწინდნენ. ჯვრისწერას ესწრებოდა სიძის მამა, მარტინ შინი. უმცროსი შინისთვის ეს მეორე ქორწინებაა. წინა ქორწინებიდან მას გოგონა ჰყავს. 31 წლის რიჩარდსი კი, რომელიც მეუღლეზე ხუთი წლით უმცროსია, პირველად შეება უღელში. ჯვრისწერასა და საქორწინო წვეულებაზე, წყვილი ჯორჯო არმანის კოსტიუმებში იყო გამოწყობილი.

# პამელა ანდერსონი და კიდ როკი შერიგდნენ

პამელა ანდერსონის ისტერიების მიუხედავად, რომ იგი ველარ ეგუებოდა ლოთ მეუღლეს, მისი ქიდ როკთან ქორწინება ისევ ძალაშია.

კვირას, ტორონტოში ადგილობრივი მუსიკალური დაჯილდოების ცერემონიაზე, წყვილმა სანახაობა მოუწყო საზოგადოებას – როკ-მუსიკოსმა კანადელებს პამელას ხელი სთხოვა. "ვფიქრობ, რომ არასწორად მოვიქეცი, როდესაც პამელას ცოლობა ვთხოვე; დამავიწყდა, ნებართვა კანადისგან ამეღო. კანადა, შეგვიძლია ვიქორწინოთ?" – ქიდ როკის ნებართვას დარბაზის გამაყრუებელი შეძახილი მოჰყვა. რის შემდეგაც, კულისებიდან თავად პამელა ანდერსონი გამოვარდა და გადაეხვია მეუღლეს.

# 25 მილიონი გვერდი მაჯის საათში

მკვლევარებმა მონაცემთა შენახვის ახალი ტექნოლოგია შეიმუშავეს, რომელიც ადრეული კომპიუტერული ეპოქის ელემენტებს ეფუძნება. ამ ტექნოლოგიას ჰქვია Millipede. იგი 25 მილიონი გვერდის ოდენობის ტექსტის ეკვივალენტს ინახავს პატარა პლასტიკურ ფირფიტაზე, რომლის ზომაც საფოსტო მარკას არ აღემატება. როგორც პროექტის დირექტორმა პიტერ ვეტიგერმა განაცხადა, ამ ტექნოლოგიის მეშვეობით მაჯის საათები, მობილური ტელეფონები და მიკროკომპიუტერები დიდი მოცულობის ინფორმაციის შენახვას შეძლებენ.

Millipede-ს მონაცემთა შენახვის მექანიკური სისტემა ამ მიზნით გამოყენებულ ერთ-ერთ პირველ სისიტემას, პერფობარათების სისტემას გვაგონებს. Millipede იყენებს მინიატურული გამომთვლელი კონტაქტების კომპლექტს.

ახლა Millipede-ს ტექნოლოგია საშუალებას გვაძლევს წამში რამდენიმე კილობიტი ინფორმაცია ჩავწეროთ და გამოვთვალოთ, თუმცა პროექტის ავტორები უკვე ფიქრობენ სიჩქარის მომატებაზე, რომელმაც წამში რამდენიმე მეგაბიტს უნდა მიაღწიოს.

### გერმანული ამბავი

# იუველირის მკვლელობა გაიხსნა

პოლიციამ და სახელმწიფო პროკურატურამ დაასრულა რელინგსჰაუსერი იუველირის, კრისტელ ლ.-ს მკვლელობის გამოძიება. 12 იანვარს 52 წლის ქალი დანით მოკლული იპოვნეს; გატაცებული იყო 100000 ევროს ღირებულების სამკაული.

უბანში კრისტელ ლ.-ს კარგად იცნობდნენ, ამიტომ გამოძიებაში მოქალაქეებიც იყვნენ ჩართული. გამოვლენილი იყვნენ მძარცველები, ნარკოტიკებითა და იარაღით მოვაჭრეები, მაგრამ მკვლელებს მხოლოდ 18 ივნისს მიაგნეს.

ქართველი ომარ ს.,43 წლისა, საიუველირო მაღაზიის მახლობლად ცხოვრობდა. სწორედ ის გახლავთ ოპერაციის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი. დანაშაულის ჩადენის დღეს ის სადგურში რუს დიმიტრი ხ.-ს (26 წ.), ვინმე ფარუხ მ.-ს (18 წ.) და 15 წლის ქართველს შეხვდა – მის სახელს პოლიცია არ ახმაურებს. ახალგაზრდებს მეთვალყურეობა ევალებოდათ, პატარა ქართველმა ამ საქმეში 50 ევრო მიიღო. როდესაც იუველირმა განგაშის ატეხა დააპირა, ის დანით მოკლეს. მკვლელები, რომლებიც წინათ მხოლოდ მაღაზიებში წვრილი ქურდობით, მართვის მოწმობის გარეშე მძღოლობითა და უბილეთოდ მგზავრობით იფარგლებოდნენ, მშვიდად გაემართნენ სასადილოდ.

ჯერ-ჯერობით ჩვენებას მხოლოდ 15 წლის ქართველი იძლევა. სამკაული არა ჩანს.

## ავთო ვარსიმაშვილის მიუზიკლში „უცნობი" ითამაშებს

საქართველოში პირველი როკ-ოპერა თავისუფალ თეატრში დაიდგმება. რეჟისორი ავთო ვარსიმაშვილი მიუზიკლს „კვაჭი კვაჭანტირაძის" მიხედვით დგამს. მიუზიკლში გრიბოედოვის სახელობის თეატრისა და თავისუფალი თეატრის მსახიობები მიიღებენ მონაწილეობას. მთავარ როლისთვის კი რეჟისორმა გიორგი გაჩეჩილაძე - „უცნობი" მიიწვია. სპექტაკლისთვის მუსიკა ვახტანგ კახიძემ დაწერა. რეჟისორის თქმით, სპექტაკლი, რომელიც მუსიკალური შოუ იქნება, მაყურებელს დააინტერესებს.

თავისუფალ თეატრში ამჟერად რეპეტიციები მიმდინარეობს. იქ თეატრალური სეზონი ორ კვირაში დაიხურება. „კვაჭი კვაჭანტირაძის" პრემიერა კი ოქტომბრისთვისაა დაგეგმილი.

## ჰოლივუდის ჩემპიონატი

საქართველოში ახლახან შეიქმნა საშემსრულებლო ხელოვნების მსოფლიო ჩემპიონატის ოფიციალური წარმომადგენლობა „ჯორჯიან არტ ფრომოუშენი", რომლის პრეზიდენტია მუსიკათმცოდნე მაია დათუნაშვილი. გუშინ კინოს სახლში „ჯორჯიან არტ ფრომოუშენის" წარმომადგენლებმა პრესკონფერენცია გამართეს.

საშემსრულებლო ხელოვნების VI მსოფლიო ჩემპიონატი, რომლის მიზანია ახალი სახეებისა და ტალანტების გამოვლენა, ჰოლივუდში იმართება და მასში სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის მონაწილეობაა გათვალისწინებული. ესენი არიან 5-დან 15 წლამდე, 16 წლის და მათზე უფროსი შემსრულებლები.

მაია დათუნაშვილის თქმით, „არტ ფრომოუშენის" საქართველოს წარმომადგენლობაში შექმნილია სპეციალური ჟიური, რომელმაც ჰოლივუდში გასამგზავრებლად ნიჭიერი კონკურსანტები უნდა გამოავლინოს. ჟიურის თავმჯდომარეა კლიპმეიკერი ბასა ფოცხიშვილი, ხოლო წევრები არიან: ილიკო სუხიშვილი, „უცნობი", მაია დათუნაშვილი, გოგი ჭიჭინაძე და ანზორ ერქომაიშვილი.

შესარჩევი ტურები თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში ოთხ ეტაპად გაიმართება და წარმოდგენილი იქნება შვიდი ნომინაცია: ცეკვა, ვოკალი, მოდელი, მსახიობი, ანსამბლი, ინსტრუმენტალისტი და განსხვავებული ჟანრი. საქართველო ორ ნომინაციას - ცეკვასა და ვოკალს წარმოადგენს. მაია დათუნაშვილის თქმით, შესაძლოა, დაემატოს კიდევ ერთი ნომინაცია - ანსამბლი. შარშან გამართულ ჩემპიონატზე ქართველმა მომღერალმა მარიკა თხელიძემ გრან-პრი მოიპოვა და მრავალი საინტერესო შემოთავაზებაც მიიღო. მარიკა თხელიძის სიმღერაზე ბასა ფოცხიშვილის გადაღებული კლიპი MTV-ზე გადის.

## პრეზიდენტმა ხელოვანები დააჯილდოვა

სამშაბათს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ქართველ ხელოვანებს გადასცა სახელმწიფო პრემიები, რომლებიც მათ პრეზიდენტთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის 2001 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით მიენიჭათ. შვიდ-შვიდი ათასი ლარის ოდენობის პრემიები გადაეცათ: დრამატურგ ირაკლი სამსონაძეს პიესების კრებულისთვის „ტრიპტიქი"; სახელმწიფო კამერული ორკესტრის მთავარ დირიჟორს გიორგი ჟორდანიას და რეჟისორ სანდრო ვახტანგოვს საქველმოქმედო კონცერტებისთვის „პილიგრიმობა ევროპიდან იერუსალიმში"; ხალხური ცეკვისა და სიმღერის ანსამბლ „რუსთავის" რვა წევრს; კოტე მარჯანიშვილის სახელობის დრამატული თეატრის მსახიობ ოთარ მეღვინეთუხუცესს სპექტაკლ „ანტიგონეში" მთავარი როლის შესრულებისთვის; სახვითი ხელოვნების დარგებში მხატვრებს - ილია პაატაშვილს, ლევან ცუცქირიძესა და მოქანდაკე გიორგი შხვაცაბაიას. პრეზიდენტის პრემიების ლაურეატთა სიაშია ლიანა ისაკაძეც, რომელიც ამჟამად თბილისში არ იმყოფება. მას პრემიას პრეზიდენტი მოგვიანებით გადასცემს.

## თავისუფალ თეატრში სპექტაკლ „მრუდე სარკეების" პრემიერა გაიმართება

თავისუფალი თეატრში სპექტაკლის „მრუდე სარკეები" პრემიერა გაიმართება, - განუცხადა „ინტერპრესს" მსახიობმა ნანა ფაჩუაშვილმა.

მისი თქმით, თავისუფალი თეატრი თბილისელ მაყურებელს კიდევ ერთ საინტერესო სპექტაკლს შესთავაზებს, რომელიც ორი თაობის - პედაგოგისა და მოსწავლის დაპირისპირებაზე მოგვითხრობს. სცენარი დრამატურგ ირინა რაზუმოვსკაიას ეკუთვნის.

სპექტაკლი „მრუდე სარკის" რეჟისორი ციცინო კობიაშვილია, მხატვარი - თამარ გრძელიძე, კომპოზიტორი - ნიკა მემანიშვილი. მთავარ როლებს ნანა ფაჩუაშვილი, ლელა მებურიშვილი, ბაადურ ჩხიკვაძე, ბაჩო ქაჯაია და ბაჩო მებურიშვილი ასრულებენ.

სპექტაკლის პრემიერა თავისუფალ თეატრში 21 ივნისს შედგება.

## გრიბოედოვის სახელობის რუსულ თეატრში ბავშვთა კონცერტი გაიმართება

საქართველოს ბავშვთა ფედერაცია და ვოკალურ-ქორეოგრაფიული სტუდია „ლურჯა ცხენები" ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის რუსულ დრამატულ თეატრში კონცერტს „გამარჯობა გაზაფხულოს" გამართავენ.

კონცერტში ანსამბლ „მელოდიის" სტუდიის მოსწავლეები და ქართული ესტრადის ვარსკვლავები მიიღებენ მონაწილეობას. კონცერტის რეჟისორი გიორგი გოშიერაშვილი, ქორეოგრაფი - ნანა გელაშვილი, სტუდიის ვოკალისტი - თამარ მეჭიაური და სტუდიის სამხატვრო ხელმძღვანელი ნანა ბალახაშვილი არიან.

საღამოს ზაზა ალექსიძე წარუძღვება.

კონცერტი „გამარჯობა გაზაფხულო" ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის რუსულ დრამატულ თეატრში 23 ივნისს გაიმართება.

## კონსერვატორიაში სალომე ტომარაძის კონცერტი გაიმართება

მოსკოვის ვერა დულოვას სახელობის საერთაშორისო კონკურსის დიპლომანტი სალომე ტომარაძე თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში კონცერტს გამართავს. სალომე ტომარაძე არფაზე ევროპის კომპოზიტორთა ნაწარმოებებს შეასრულებს.

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში სალომე ტომარაძის კონცერტი 25 ივნისს გაიმართება.

## დღეს წიგნის ბაზრობაზე

დღეს თბილის მეოთხე საერთაშორისო წიგნის ბაზრობა რამდენიმე ძალზე საინტერესო წიგნის პრეზენტაციას გთავაზობთ. 12.00 საათზე გაიმართება მთარგმნელობითი ალმანახის, „ახალი დროების" მეორე ნომრის პრეზენტაცია. 15.00 საათზე კი ვლადიმირ ნაბოკოვის „ლოლიტას" თამარ ლომიძისეულ თარგმანს წარმოგიდგენთ გამომცემლობა „ლოგოს პრესი". „ლოგოს პრესის" მიერვეა გამოცემული ცნობილი ისტორიკოსისა და კულტუროლოგის, პიტერ ბერკის წიგნი „ისტორია და სოციალური თეორია", რომლის პრეზენტაციაც 16.00 -ზეა დაგეგმილი. 17.00 საათზე „ბაკურა სულაკაურის გამომცემლობა" აკა მორჩილაძის, ალეკო შუღლაძის და ილია ბაბუნაშვილის ახალ რომანებს წარმოგიდგენთ.

# ფრთხილად, პრეზიდენტს იცავენ

## ფესტივალზე ფართოჯიბეებიან წიგნის მოყვარულებს ჩხრეკა მოუწყეს



პრეზიდენტი წიგნის მეოთხე ფესტივალზე

მარიკა ამურველაშვილის ფოტო

ნანა კობაიძე

გუშინ, !9 ივნისს ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზის ჰოლში წიგნის მეოთხე ფესტივალი გაიხსნა, რომელიც წიგნის მოყვარულებს დიდხანს დაამახსოვრდებათ.

საქმე ის არის, რომ პირველი საათისთვის ფილარმონიაში მისულ ხალხს დეტექტორებით აღჭურვილი შესასვლელები დახვდა. ჰოლში მხოლოდ გულმოდგინე ჩხრეკის შემდეგ აღმოჩნდებოდით. მკითხველთა ნაწილი, შესაძლოა, გაოცდეს, რა არის ამაში შეურაცხმყოფელიო – ჩვენ ხომ უკვე მივეჩვიეთ, რომ პრეზიდენტის ნებისმიერ გამოჩენას საზოგადოებაში თან მოძრაობის პარალიზება, გზების გადაკეტვა და ადამიანების შეურაცხყოფა სდევს. არ გეგონოთ, რომ მას ვინმე დაცვის გარეშე სიარულს სთხოვდეს, უბრალოდ, ყველაფერს შეიძლება მოეძებნოს ფორმა. მაგალითისთვის, როდესაც საფრანგეთის პრეზიდენტი ჟაკ შირაკი რომელიმე საჯარო ღონისძიებაზე მიდის, მისი დაცვა სრულიად შეუმჩნეველი რჩება. ჩვენთან კი პირიქით – ხდება დაცვის, როგორც პრეზიდენტის ძალაუფლების (თუ პირიქით) შემადგენელი ნაწილის დემონსტრირება. რაზე მიუთითებს ეს, თავად განსაჯეთ.

თუმცა, ბატონმა პრეზიდენტმა ერთი საგულისხმო განცხადება მაინც გააკეთა. მეოთხე ფესტივალის შემდეგ, როგორც იქნა, სახელმწიფომ აიღო თავის თავზე მომავალი ფესტივალის ბიუჯეტიდან დაფინანსების ვალდებულება. რა თქმა უნდა, ეს თანხა არც ისე დიდი იქნება, მაგრამ ხომ გაგიგიათ, ყვავს კაკალი გააგდებინეო...

თუ არ ჩავთვლით ამ უსიამოვნო ფაქტს, წიგნის ფესტივალის პირველმა დღემ "ექსცესების" გარეშე ჩაიარა. დღის განმავლობაში რამდენიმე წიგნის პრეზენტაცია გაიმართა. საზოგადოებას წარუდგინეს გიორგი ეკიზაშვილის ლექსები და თარგმანები, თავისუფლების ინსტიტუტის პროექტის – "კანონის უზენაესობა" - ფარგლებში გამოცემული წიგნები და ბროშურები და ფარნაოზ ერთელიშვილის "ძალა და აღმართი".

გიორგი ეკიზაშვილს საზოგადოება იცნობს როგორც მოლიერის, სარტრის, ბოდლერის, კამიუსა და სხვა ფრანგი ავტორების კარგ მთარგმნელს. ფრანგული ლიტერატურის წინაშე დიდი დამსახურებისთვის საფრანგეთის მთავრობამ მას "აკადემიური პალმის რტოს" ორდენის ოფიცრის წოდება მიანიჭა. გუშინ იგი მკითხველის წინაშე პოეტის ამპლუაში წარსდგა. თუმცა, თავად საკუთარ თავს პოეტად არ მოიხსენიებს. უბრალოდ, ძალიან ბევრი სათქმელი დაუგროვდა და მისთვისაც აღმოჩენა იყო, როდესაც ერთ მშვენიერ დღეს წერა დაიწყო. "ეს არის სიმარტოვეში შექმნილი ლექსები, რომლებიც ვიღაცამ სიმარტოვეში უნდა წაიკითხოს", – ამბობს გიორგი ეკიზაშვილი. მისი პირველი პოეტური კრებული გამომცემლობა "სანიმ" გამოსცა. ეს გამომცემლობა არსებობის ხუთ წელიწადს ითვლის. გამომცემელ ზაზა ბერიშვილის თქმით, ამ პერიოდის განმავლობაში ისინი ნელნელა იზრდებიან. მათი ჯერ-ჯერობით ყველაზე სერიოზული პროექტი ამ ზაფხულს იგეგმება. ეს არის გურამ დოჩანაშვილის "სამოსელი პირველი", რომელიც რამდენიმე წელია, აღარ გამოცემულა.

წლევანდელ ფესტივალზე 70-ზე მეტი გამომცემლობაა წარმოდგენილი, მათ შორის რამდენიმე უცხოური. ფესტივალის საპატიო სტუმარია აზერბაიჯანელ გამომცემელთა ორგანიზაცია "ნაშირი". მისი პრეზიდენტი, რაფიკ ისმაილოვი უკვე მეორედ ჩამოვიდა წიგნის ფესტივალზე. მისი აზრით, შარშანდელთან შედარებით მდგომარეობა მკვეთრად გაუმჯობესებულია – იგულისხმება გამოცემათა პოლიგრაფიული დონე და წიგნების რაოდენობა. და კიდევ ერთი – მისი გაოცება საქართველოში მკითხველთა რაოდენობამ გამოიწვია. აზერბაიჯანში საკმაოდ მწვავედ დგას მკითხველის პრობლემა და წიგნებიც გაცილებით ცოტა და მცირე ტირაჟით იბეჭდება. არ ვიცი რატომ, მაგრამ რატომღაც თამაზ ყურაშვილის სიტყვები გამახსენდა, ჩვენი გაზეთის ერთ-ერთ წინა ნომერში აზერბაიჯანელ და სომეხ მუსიკოსებს რომ შენატროდა და გამიხარდა. გამიხარდა, რომ თურმე შეიძლება ჩვენნაირ გაჭირვებულ ქვეყანასაც შენატროდეს ვინმე.

# ვარსკვლავის დაბრუნება

## ზურაბ სოტკილავას კონცერტმა სტუდენტებს გამძლეობის მაგალითი მისცა



ზურაბ სოტკილავა და სვეტლანა ბელოკონი

მარიკა ამურველაშვილის ფოტო

მადი სერებრიაკოვა

ვოკალური მუსიკის ქართველმა მსმენელებმა გუშინ არტ-იმედისა და კოკა-კოლასგან დიდი საჩუქარი მიიღეს. კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში ცნობილი ქართველი მომღერლის, მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტის ზურაბ სოტკილავასა და მისი კოლეგების: სვეტლანა დობრონრავოვასა და სვეტლანა ბელოკონის კონცერტი გაიმართა. დიდებული მუსიკით, უშურველად გაღებული ტალანტითა და ენერგიით აღსავსე კონცერტი სოტკილავას პედაგოგის – დავით ანდღულაძის ხსოვნას მიეძღვნა.

ზურაბ სოტკილავას კარგა ხანია თბილისში კონცერტი აღარ გაუმართავს. ქართულ სცენასთან სამი წლის განშორების შემდეგ, მომღერალმა გამძლეობისა და ენერგიის კოლოსალური მაგალითი გვიჩვენა. 65 წლის მომღერალი ქართველი მსმენელის წინაშე ურთულესი რეპერტუარითა და გამძაფრებული პასუხისმგებლობით წარსდგა – პუბლიკამაც ღირსეულად დააფასა ვარსკვლავის დაბრუნება.

კონცერტის პირველი განყოფილება ვერდის ნაწარმოებებს ეთმობოდა. იგი "ნაბუქოს" ტერცეტით გაიხსნა, სადაც სოტკილავას რუსი სტუმრები უწევდნენ პარტნიორობას. თითო სოლო ნომერი რუსმა სტუმრებმაც იმღერეს. განსაკუთრებული წარმატება და აპლოდისმენტები სვეტლანა დობრონრავოვას მიერ უზადო პროფესიონალიზმით შერულებულ ლეონორას არიას ("ბედის ძალადან") მოჰყვა. სოლო ნომერში ცოტა არ გაუმართლა სვეტლანა ბელოკონს, ბოლო წარუმატებელი ნოტის გამო თავად მომღერალსაც ისე დასწყდა გული, რომ გასამხნევებლად დირიჟორმაც კი დატოვა პულტი. მოგვიანებით ბელოკონი მაესტრო ნოდარ ანდღულაძეს გამოუტყდა, რომ მხოლოდ მეორედ მოუწია ამ არიის შესრულება. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდა ბელოკონიც დიდი თეატრის სოლისტია, სცენაზე სოტკილავას ის მხოლოდ ბავშვობაში, ბავშვთა გუნდში სიმღერისას შეხვედრია. მათ გუშინდელ დუეტზე "ტრუბადურებიდან" ამას ნამდვილად ვერ იტყოდი – ბელოკონმა ქართველ ვარსკვლავს ღირსეული პარტნიორობა გაუწია და აზუჩენას არიის უხეირო შესრულების გამო "შელახული" ავტორიტეტიც უცებ აღიდგინა.

ყველაზე მეტად კონცერტზე ზურაბ სოტკილავა დაიხარჯა. ცნობილ საოპერო ნომრებთან ერთად, მან ვერდის ქართულ სცენაზე ჯერ არშესრულებული საკონცერტო არიები წარმოადგინა. ყველაფერი შესანიშნავად იქნებოდა, რომ არა ორკესტრი, რომელიც მიუხედავად სოტკილავას არაერთგზის მინიშნებისა, არა მარტო სოლისტს – ერთმანეთშიც ვერ ეწყობოდა. კონცერტის ბოლოსკენ ისე გაჭირდა, რომ აშკარად წყობიდან გამოსულმა მომღერალმა ლამის დირიჟორობაც შეითავსა.

მეორე განყოფილება, სადაც იტალიური, ფრანგული და ესპანური პოპულარული სიმღერები შესრულდა, მთლიანად სოტკილავას დაეთმო. გამოგიტყდებით, ცოტა "დამბურძგლა" კიდეც ცნობილი ტენორის სახელგანთქმულ პიანოზე. ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ როგორც სოტკილავამ თვითონ აღნიშნა – ეს განსაკუთრებული პიანო მას ქართულ სუფრაზე უსწავლია.

სამწუხაროდ, არ შესრულდა ვაჟა აზარაშვილის დაპირებული ახალი სიმფო-ჯაზური სიმღერა, რომელსაც დაინტრიგებული ველოდი. თუმცა, მსმენელის მხრიდან აშკარად უმადურობა იქნებოდა ამის მოთხოვნა – სოტკილავამ უმისოდაც იმხელა ენერგია გაიღო გუშინდელ კონცერტზე, რომ ბარე სამ ახალგაზრდა მომღერალს შეშურდებოდა. პროფესიული კლასის ჩვენების თვალსაზრისით, საქველმოქმედო კონცერტმა, - რომელიც სპეციალურად კონსერვატორიის სტუდენტებისთვის გაიმართა უფასოდ – თავისი მისია პირნათლად შეასრულა. მიუხედავად აღნიშნული მცირე ხარვეზებისა, გუშინდელ კონცერტს უკმაყოფილო მაინც არავინ დაუტოვებია. სახელგანთქმული ქართველი ტენორი კი სტუდენტებთან დაკავშირებით ახალ გეგმებსაც აწყობს.

# როგორ ეზიარნენ ქართველები ჯაზს

## თამაზ ყურაშვილის ნაამბობი

ნინო სვანიძე

**ჯაზური მუსიკა ქართველების ცნობიერებაში ორმოცდაათიანი წლების მიწურულიდან შევიდა და მალევე გაიჩინა თაყვანისმცემლები. მოგვიანებით კი, ამ ჟანრის ქართველი შემსრულებლებიც გაჩნდნენ. დღეს უკვე ცნობილი ჯაზმენი - თამაზ ყურაშვილი და მისი მეგობრები მაშინ სულ პატარები იყვნენ, ჯერ მუსიკასაც არ სწავლობდნენ, მაგრამ ეს განსხვავებული, მათთვის უცნაური ჟანრი მაშინვე გამოარჩიეს და შეიყვარეს.**

**თამაზ ყურაშვილი**: დაახლოებით 6-7 წლის ვიყავი, როდესაც ჩემმა ძმამ სახლში 78 სიჩქარეზე ჩაწერილი ფირფიტა მოიტანა, ძველებური, პატეფონზეც იკვრებოდა, ეროლ გარნერის მიერ შესრულებული სულ ორი ჩანაწერით: „ჩიკ თუ ჩიკ" და „მისტი" . ეს იყო ჩემთვის პირველი ინფორმაცია სრულიად ახალი, მანამდე უცნობი მუსიკალური ჟანრის შესახებ. შემდეგ ასეთი ფირფიტები, ჩემი ძმის წყალობით, პერიოდულად ისევ ჩნდებოდა ჩვენს ოჯახში. ამ მუსიკამ თავიდანვე გამიტაცა და რადგან ჩემი დაინტერესება ძალიან დიდი იყო, რადიოსაც ხშირად ვუსმენდი ჯაზური მუსიკის მოლოდინში. ძველი რადიო გვქონდა - „Мир"-ი, მაგრამ ამერიკის ხმას კარგად იჭერდა.

1957 წელს აღმოვაჩინე, რომ ყოველ ღამე (12 სთ. 15 წთ.) ეთერში იყო უილის კანუერის გადაცემა ჯაზზე. მე და ჩემი მეგობრები ამ გადაცემის ერთგული მსმენელები გავხდით. ამ დროს, წესით, უნდა გვძინებოდა, მაგრამ ძილი ვილას ახსოვდა, როდესაც საოცარ მუსიკას ვუსმენდით. გადაცემის წამყვანს ისეთი სასიამოვნო ხმის ტემბრი ჰქონდა, თანაც მისი კომენტარების გაგება ისე მინდოდა, რომ ინგლისური ენა შემიყვარდა და სწავლა დავიწყე. სულ მალე კომენტარებიც მესმოდა. ჩემი მეგობარი ჯიმშერ იაშვილი სწორედ იმ გადაცემის სიყვარულით გახდა საქართველოს რადიოს ჯაზის კომენტატორი. ახლა იგი კვირაში სამ დღეს უძღვება ჯაზისადმი მიძღვნილ რადიოგადაცემებს.

წლების შემდეგ მე უილის კანუერი გავიცანი და მივახარე - „თქვენს გადაცემას 1957 წლიდან ვუსმენ-მეთქი". მან კი მითხრა - „ეს გადაცემა მე 1956 წელს დავაარსე, რა ამბავია, მთელი წელი გაგიცდენიაო"...

ორმოცდაათიანი წლების მიწურულიდან ნელ-ნელა ჯაზური მუსიკის გასტროლებიც დაიწყო ჩვენში: პირველი ცოცხალი შემსრულებლები, რომლებიც ჩვენ მოვისმინეთ, გერმანელი მაქს გრეგერი და მისი ჯაზ-ორკესტრი იყო. მათი კონცერტი გოფილექტის ბაღში გაიმართა. სულ მალე ჩინეთიდან ჩამოვიდა ჩინეთის მოქალაქე ქართველი - გიორგი გაბესკირია, რომელმაც საქართველოში შანჰაის ჯაზ-ბიგ ბენდი ჩამოიყვანა (მუსიკოსების დიდ ნაწილს რუსები წარმოადგენდნენ, იყვნენ ჩინელებიც). ამ გასტროლებამდე თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში უკვე შექმნილი იყო ორკესტრი, რომელსაც იოსებ ტუღუში ხელმძღვანელობდა. იქ საკმაოდ ნიჭიერმა შემსრულებლებმა მოიყარეს თავი, ოღონდ ნოტური მასალის უქონლობის გამო ჯაზს ხშირად ვერ უკრავდნენ. რამდენიმე ხანში საქართველოს ხელისუფლების თხოვნით ჩინეთიდან სამუდამოდ ჩამოვიდა გიორგი გაბესკირია, რომელმაც თან ნოტური მასალაც ჩამოიტანა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის ორკესტრის წევრებისა და სხვა მუსიკოსების მოზიდვის შემდეგ შექმნა პირველი ქართული ჯაზ-ორკესტრი.

მოგვიანებით პოლიტექნიკური ინსტიტუტის ვოკალური ჯაზ-კვარტეტიც შეიქმნა. მას გურამ ბზვანელი ხელმძღვანელობდა. ამ კვარტეტის რეპერტუარს ძირითადად ქართული სიმღერები შეადგენდა, ოღონდ ეს სიმღერები უკვე ჯაზური ელემენტებით იქმნებოდა და ქართული ჯაზური ვოკალის პირველ ნიმუშებს წარმოადგენდა."

**- როგორც ვიცი, იმ პერიოდში გასტროლებითაც საკმაოდ განებივრებული იყო ქართველი მსმენელი...**

- 1962 წელს ბენი გუდმანის საქართველოში ჩამოსვლა, რა თქმა უნდა, დიდი მოვლენა იყო ჩვენთვის. გარდა იმისა, რომ თავად ბენი გუდმანი ამერიკაში სვინგის მეფედაა აღიარებული, მთელი მისი ბენდიც დამოუკიდებელი ვარსკვლავებისგან შედგებოდა...

**- თუ არ ვცდები, იმავე წლებში ლუი არმსტრონგის საქართველოში ჩამოსვლაც იგეგმებოდა, მაგრამ ჭორად ვიცი, თითქოს რაღაც ინციდენტმა შეუშალა ხელი.**

- ჭორი კი არა, სრული სიმართლეა, რომ ლუი არმსტრონგი საქართველოში ვერ ჩამოვიდა სულ უბრალო მიზეზით, თუმცა, რამდენად უბრალოდ მიაჩნდათ მაშინ ეს ამბავი ამ გასტროლის ჩამშლელებს, თავად განსაჯეთ... ლუი არმსტრონგმა იცოდა, რომ მის კონცერტზე კლუბში საბჭოთა საელჩოს წარმომადგენლები აპირებდნენ მისვლას. ხელშეკრულებაც იქვე უნდა გაეფორმებინათ. არმსტრონგმა გადაწყვიტა, მათთვის სიურპრიზი გაეკეთებინა და სტუმრების პატივსაცემად ჯაზური ინტერპრეტაციით შესრულდა საბჭოთა კავშირის ჰიმნი. ამის პასუხად, საბჭოთა კავშირის საელჩოს კულტურული ატაშე და მისი მხლებლები წამოხტნენ და „შეურაცხყოფილებმა" დატოვეს დარბაზი. ასე ჩაიშალა ლუი არმსტრონგის გასტროლები ჩვენთან...

1967 წელს პიანისტმა ერლ ჰაინსმა მოგვხიბლა თბილისის სპორტის სასახლეში ჩატარებული კონცერტით. იმავე სპორტის სასახლეში გაიმართა 1972 წელს არაჩვეულებრივი კონცერტი, ტედ ჯონსის (საყვირი), მელ ლუისის (დასარტყამი ინსტრუმენტი) და მაშინ დამწყები სოლისტის - დი-დი ბრიჯუოტერის მონაწილეობით. მახსოვს, ბრიჯუოტერი მაშინ ექვსი თვის ფეხმძიმე იყო და ექვსი სიმღერა შეგვისრულა. ახლა ის ცნობილი ვარსკვლავია...

**- მაშინ ჯაზ-კლუბიც ხომ არსებობდა?**

- 1967 წელს ბარათაშვილის ხიდის ქვეშ მდებარე კაფეში ჩამოყალიბდა პირველი კლუბი, სადაც იმდროინდელი ქართველი ჯაზის შემსრულებლები ვიკრიბებოდით და ჯაზს ვუკრავდით. 1975 წელს შეიქმნა ფილარმონიასთან არსებული პირველი სერიოზული ჯაზ-კლუბი. იმ დროს უკვე დავიწყეთ რუსი, ბალტიისპირელი და სხვა საბჭოთა ჯაზმენების თბილისში მოწვევა. მოგვიანებით იმის შესაძლებლობაც გაჩნდა, რომ ჯაზ-ფესტივალები ჩაგვეტარებინა. მე მისი პრეზიდენტი ვიყავი. მართალია, საქართველოში ჯაზ-ფესტივალი ყოველწლიურად არ ტარდებოდა, მაგრამ ის რამდენიმე ჯაზის ფორუმი (1975, 1978, 1986, 1988, 1989 წლები) ჩვენთვის მაინც დასამახსოვრებელი იყო. განსაკუთრებულად მახსენდება 1989 წლის ჯაზ-ფესტივალი: იმ წელს თბილისს ბევრი ვარსკვლავი ესტუმრა: ფრედ ჰაბარდი - საყვირი, ნილს ჰედერსენი - კონტრაბასი, არდ ბლეიკი - დასარტყამი ინსტრუმენტი, ჯიმი სმიტი - ორღანი და სხვები, თანაც, იმ ფესტივალებზე დასწრება ყველა მოყვარულს შეეძლო, ბილეთები ძალიან იაფი ღირდა.

**- ახლანდელ ფესტივალზე კი, ალბათ, ჯაზის ბევრი მოყვარული ვერ მოხვდება.**

- წინათ, უცხოელი ვარსკვლავების გასტროლებს „გოსკონცერტი" აფინანსებდა, ახლა კი, ბიჭებმა საკუთარი ბინები დააგირავეს, თანხის ნაწილი „კოკა-კოლამ" გაიღო, ნაწილი „კენტმა" და „მაგთიჯიესემმა", მაგრამ ამ ფესტივალს უფრო კომერციული გასტროლების სახე ექნება. ნამდვილი ფესტივალისთვის ფინანსები მაინც არასაკმარისია. ფესტივალს თავის პროგრამა უნდა ჰქონდეს. ამისთვის საჭიროა ჯაზ-კლუბი არსებობდეს, სადაც ფესტივალის მონაწილეთა შეხვედრები, კონფერენციები შედგებოდა. გარდა ამისა, კლუბში უნდა იმართებოდეს კონცერტის შემდგომი ჯემსეიშენები. ამჯერად ეს ვერ ხერხდება. გარდა ამისა, ეს ტენდენციურად ნამდვილი ჯაზ-ფესტივალი არ იქნება, რადგან პროგრამაში, ჯაზის გარდა, წარმოდგენილი იქნება რეპიც და ჯაზ-როკიც, თუმცა ეს სულაც არ ამცირებს მოყვარულთა კონცერტებზე დასწრების სურვილს. ბილეთების სიძვირის გამო, ალბათ, ბევრი ადამიანი ვერ მოახერხებს ამ კონცერტების მოსმენას, მაგრამ, როგორც ჩანს, სხვანაირად არ ხერხდება...


ლევან ხერხეულიძის ფოტო

30 ივნისი (21.00) - ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი
„მაგთი-GSM" წარმოგიდგენთ:
21.00 სთ - „მწვანე ოთახი" (საქართველო)
21.40 სთ - ტანია მარია და „ვივა ბრაზილ კვარტეტი" (ბრაზილია)

2 ივლისი (21.00) - ფილარმონიის საკონცერტო დარბაზი
„GMT-გრუპი" წარმოგიდგენთ:
ბოზ მინცერი და თბილისის ბიგ-ბენდი (აშშ-საქართველო)
აშშ-ის საელჩოსა და გადამხდელთა კავშირის მხარდაჭერით

3 ივლისი (21.00) - ფილარმონიის საკონცერტო დარბაზი
„ლუკოილი" წარმოგიდგენთ
ელ ჯარო და ბენდი (აშშ)

3 ივლისი (21.00) კლუბი „ბოი"
„რუსთავცემენტი" წარმოგიდგენთ
ჭაბუკა ამირანაშვილის ბენდი (აშშ)
ბოზ მინცერის კვარტეტი (აშშ)

4 ივლისი (21.00) კლუბი „ბოი"
„ნესკაფე" წარმოგიდგენთ
იგორ ბრილი და მაია ბარათაშვილი (რუსეთი, საქართველო)
22.00 დენის როლინზის „ბედბოენ ენდ კომპანი" (დიდი ბრიტანეთი)

5 ივლისი (21.00) - კლუბი „ბოი"
„კენტი" წარმოგიდგენთ
ჯაზ-კვარტეტი (სომხეთი) ჭაბუკა ამირანაშვილის ბენდი (საქართველო)
ალფრედ „პი ვი" ელისის ანსამბლი (აშშ)

თბილისის მე-6 საერთაშორისო ჯაზ - ფესტივალის პროგრამა



# ნიკიტა არანიკიტურ როლში

“ნიკიტას” ვარსკვლავი პეტა უილსონი იმიჯს იცვლის და სრულიად “არანიკიტურ” როლში გვევლინება. ის ფილმ “The League of Extraordinary Gentlemen-ში” მთავარი გმირის საყვარელი ქალის, მინა ჰარკერის როლს შეასრულებს. უილსონს პარტნიორობას შონ კონერი გაუწევს. ჰარკერის როლი თავიდან მონიკა ბელუჩის უნდა შეესრულებინა. თუმცა, ეს უკანასკნელი დროში ვერ ჩაეტია. საქმე ის გახლავთ, რომ ბელუჩის, ბრუს უილისთან ერთად, ფილმში Man of War იღებენ. ფილმზე მუშაობა ჯერაც არ დამთავრებულა და როგორც ბელუჩი ვარაუდობდა, 2 ივლისისთვის, როცა ახალი ფილმის გადაღება უნდა დაწყებულიყო, მომზადებას ვერ მოასწრებდა. ასე რომ, მას “ნიკიტა” შეცვლის. გადაღებები ჩეხეთში, ბრიტანეთსა და მალტაზე ჩატარდება. როგორც სათაური მიგვანიშნებს, ფილმს ალან მურისა და კევინ ონილის რომანის, “ლიგის” მიხედვით იღებენ.



ვლადიმერ პუტინი და პეტა უილსონი მოსკოვის კინოფესტივალზე
REUTERS

# ცეცხლოვანი სამბა სვენ გორან ერიქსონისთვის

სანამ პარასკევი მოვა, ფეხბურთის ბრაზილიელი ფანები სამბას კარნავალებით ირთობენ თავს. პარასკევს კი ერთ ასეთ ზეიმს ისინი ექსკლუზიურად ინგლისის ნაკრებს მოუწყობენ, რა თქმა უნდა, თამაშის მიმდინარეობის დროს. ბრაზილიელები ხომ დოლებად გადაკეთებული სკამების და წყლის ბოთლების ჩხარუნის ფონზეც გატაცებით ცეკვავენ.

პარასკევისთვის იაპონიაში უამრავი ბრაზილიელი ფანი ჩავიდა. თუმცა, არც მათ გარეშე ჰყავს იაპონიაში ბრაზილიის ნაკრებს მცირერიცხოვანი გულშემატკივარი. იქ დაახლოებით 260 ათასი ბრაზილიელი ცხოვრობს. მათი ყველაზე დიდი სათვისტომო კი ეკოპას სტადიონთანაა, ანუ იმ უბანში, სადაც ინგლისთან მატჩი უნდა ჩატარდეს. არ არის გამორიცხული, ბრაზილიურმა სამბამ ინგლისელი ფეხბურთელები დააბნიოს კიდეც. ისინი ხომ მიჩვეულნი არიან თამაშს იაპონელი და კორეელი გულშემატკივრების გამამხნევებელი შეძახილების ფონზე. პარასკევს კი სტადიონზე ბექჰემის სიყვარულით მისულ იაპონელებს ბრაზილიური ფეხბურთის გულშემატკივრებიც არ ჩამორჩებიან. იაპონიაში, საერთოდ, ცოტა უცხოელი ცხოვრობს. ზემოთხსენებული ბრაზილიელები კი არიან იმ იაპონელების შთამომავლები, რომლებიც ბრაზილიაში ყავის პლანტაციებში სამუშაოდ გადასახლდნენ და უკან იაპონური ეკონომიკის ბუმის პერიოდში დაბრუნდნენ. მათი უმრავლესობა “სუძუკის” ქარხანაში მოეწყო სამუშაოდ და ეკოპას სტადიონიდან რამდენიმე წუთის სავალზე დასახლდა.

“ინგლისი აქამდე ფონს იოლად გადიოდა, მას ხომ ნახევარი იაპონია გულშემატკივრობდა. ბრაზილიური ფეხბურთის ძალას მათ პარასკევს ვაჩვენებთ”, - იმუქრება “ტოიოტას” თანამშრომელი, ალექს მიცუო – ბრაზილური წარმოშობის იაპონელი. ერთი სიტყვით, ადგილობრივი ბრაზილიელები პარასკევისთვის დიდი შოუს გამართვას აპირებენ. მათ იმედი აქვთ, რომ გამაყრუებელი შეძახილები და სამბას რიტმები ფეხბურთელებს გამარჯვებას მოაპოვებინებს.



ბრაზილიელები „ბრძოლისათვის" ემზადებიან
REUTERS




# ახალი პლანეტარული სისტემა მზის სისტემას ჰგავს

ამერიკელმა ასტრონომებმა კირჩხიბის თანავარსკვლავედის პლანეტარული სისტემა აღმოაჩინეს, რომელიც ზომით მზის სისტემას ჰგავს. ამ პლანეტის ორბიტა და ბრუნვის პერიოდი ისეთივეა, როგორც პლანეტა იუპიტერისა.

ასტრონომები ჯეფრი მარსი ბერკლის კალიფორნიის უნივერსიტეტიდან და პოლ ბატლერი ვაშინგტონის კარნეგის ინსტიტუტიდან უკვე დიდი ხანია ახალი პლანეტების კვლევით არიან დაკავებულნი. ამასწინათ მათ გააკეთეს განცხადება 13 ახალი პლანეტის აღმოჩენის შესახებ. ახლადაღმოჩენილი ყველაზე პატარა ეგზოპლანეტის მასა დედამიწის მასას 40-ჯერ აღემატება.

ისეთი სისტემის აღმოჩენა, რომელიც ძალიან ჰგავს იმ პლანეტას, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, პირველი შემთხვევა არ არის. მაგრამ ახალი პლანეტა განსაკუთრებით იმითაა საინტერესო, რომ, როგორც მეცნიერები ამბობენ, “დღეისათვის აღმოჩენილი ყველა სხვა ექსტრასოლარული პლანეტა თავის ვარსკვლავთან ახლოსაა, ეს კი ისეთივე მანძილით არის დაშორებული ვარსკვლავისგან, როგორც იუპიტერი - მზისგან."

პლანეტარული სისტემა, რომელიც ჩვენს სისტემას ჰგავს, კირჩხიბის ვარსკვლავის გარშემო ბრუნავს ამავე სახელწოდების თანავარსკვლავედის ფარგლებში. ახალი პლანეტა ვარსკვლავისგან ხუთჯერ უფრო შორს იმყოფება. ამგვარად, თავისი პროპორციებით იგი ჩვენს პლანეტას ჰგავს. აქამდე ინფორმაცია გვქონდა კირჩხიბის ვარსკვლავთან არსებული ერთი პლანეტის შესახებ, რომელიც ბატლერმა და მარსიმ 1996 წელს აღმოაჩინეს.

კირჩხიბის სისტემაში სხვა პლანეტების არსებობასაც არ გამორიცხავენ. ვარსკვლავის გარშემო შესაძლებელია სატურნის ზომის ციური სხეული მოძრაობდეს.



## TV პროგრამა 20 ივნისი

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 ფიფქია
08.00 კურიერი
08.55 სერიალი "სიყვარულის სახელით"
09.50 კომუნიკატორი
10.40 ბრენდაიზერი
11.10 სერიალი "ოცნების კოშკები"
12.00, 15.00 კურიერი
12.15 მულტსერიალი
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ.ფილმი
17.05 დოკ.ფილმი
18.00, 21.00, 02.00 კურიერი
18.20 ბრენდაიზერი
18.45 სერიალი "ელენი და ბიჭები"
19.15 მოგზაურობის ასი წელი
19.50 სერიალი "ოცნების კოშკები"
22.00 კომუნიკატორი
22.50 კურიერი
00.05 მხ.ფ. "ჩიტი მავთულზე". მთ. როლებში: მელ გიბსონი, გოლდი ხოუნი

### პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 მულტსერიალი "პაპირუსის თავგადასავალი"
10.10 სერიალი "ძილის წინ"
10.30 "მსოფლიოს ველური ბუნება"
11.25 "მეტრო"
12.00, 15.00, 20.00, 22.50 მოამბე
12.15 მიამბეთ თქვენზე
13.00 "ნაშუადღევს"
14.05 სერიალი "გოგონები ქარში"
15.15 მხ. ფილმი "პოლიციის კომისრის აღსარება რესპუბლიკის კომისრისადმი"
17.00 "ჯანმრთელობა"
17.20 იუნიორ ფეხბურთელთა "ფიფას" თასის გათამაშება
17.50 "რამპა"
18.00 "ვესტნიკი"
18.20 სერიალი "გოგონები ქარში"
19.10 "ისტორიანი"
19.40 ბასტი ბუბუ
20.55 მღერის ჯო დასენი
21.50 "თბილისის დროით"
22.15 "თეთრი ფარდა"
23.35 ტელესერიალი "ძილის წინ"
23.55 დოკ.სერიალი "მეოცე საუკუნე"
00.15 ვიდეოპატრული
00.25 მხ.ფ. "სიგი:ის ზღვარზე""

### მეორე არხი

19.00 მულტფილმი
19.30 მხ. ფილმი "მემკვიდრეობა"
21.00 სერიალი "მხოლოდ შენთვის"
22.00 "მოამბე" მეორე არხზე
22.10 მხ. ფილმი "განკითხვის :ამი" (1-ლი ნაწილი)

### ევრიკა

10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 "ვესტი"
10.15 მუსიკალური ტაიმ-აუტი
10.45 მსოფლიო სპორტი
11.45 მუსიკალური კოლაჟი
12.25, 21.30 სალონი
14.00 ექიმი გვირჩევს
18.30 რუსული ენის ტელეგაკვეთილი
19.00 ინგლისური ენის ტელეგაკვეთილი
19.30 "იდენ ტვ"
20.00 მსოფლიო სპორტი
23.00 ოაზისი
00.15 მხ.ფ. "ვატიკანის ჯაშუშები"

### იბერია

მიმდინარეობს არხის რეორგანიზაცია
08.00, 20.00 ანონსი, მულტფილმი
08.15, 20.15 აღსავალი
08.20, 09.55, 12.00, 20.20, 22.05, 23.55 მუსიკა
08.25 მხ.ფ. "ყველაფერი ჩვენს ხელშია"
10.05 მხ.ფ. "გულის მუსიკა"
20.25 მხ.ფ. "სკოლის შემდეგ"
22.15 მხ.ფ. "უჩინარი მწევრავალი"

### პირველი სტერეო

07.15 "მორწმუნის ძლევამოსილი ხმა"
08.00 მუსიკალურ-გასართობი პროგრამა "ტოროლა"
11.00 "ოცეულები" განმეორებით
12.30 "მო" განმეორებით
14.30 მხ.ფილმი
16.10 მუსიკა
17.35 "სწ.მეღია" მხ.ფ. "წადი შენი, ფრედი"
19.00 მუსიკა
20.00 ჩაძიროგანა
22.00 ევრო-ქართული ათეული
23.00 "სოლო"
00.00 "ბრავო" მხ.ფ. "ამერიკელი გმირები". მთ. როლში კოლინ ფარელი
01.45 "ღამურა" მხ.ფ. "ჰარდბოლი". მთ. როლებში კიანუ რივზი, დაიან ლეინი
03.35 ნონ-სტოპი

### კავკასია

12.00 მხ.ფ "ადამიანი ოქროს პისტოლეტით"
14.00 მხ.ფ "სასიკვდილო იარაღი 3"
16.00 დოკ. ფილმი
17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს"
17.15 მხ.ფ. "თავში უქრის"
19.20 სპექტრი
21.00 დოკ. ფილმი
21.50 მხ. ფილმი "ჯაშუში რომელსაც ვუყვარვარ"

### მეცხრე არხი

09.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღის ამბები"
09.20 მულტფილმი "ალექსი" მე-13 სერია
09.50 მხ.სერიალი "ჰორასი და თინა" მე-13 სერია
10.20 დოკ. სერიალი "ჩემი ქვეყანა" - "სიონის სამრევლო სკოლა"
10.30 მხ. ფილმი "შენ არასდროს არ ყოფილხარ უფრო მომხიბვლელი"
11.55, 13.00, 14.15, 18.50, 20.20, 21.20, 23.50, 00.20 მუსიკა
12.05 დოკ. ფილმი "მაგია - წარსული აწმყო"
13.15 მხ. ფილმი "ნავიგატორი"
14.45 მთავარი თემა
15.30 მხ. ფილმი "სიყვარულის მონა"
17.00, 19.00 დისქავერი
17.45 მულტფილმი "ალექსი" მე-14 სერია
18.20 მხ.სერიალი "ჰორასი და თინა" მე-14 სერია
19.30 გადაცემა "საუბრები სტუდიაში"
21.10 მულტფილმი "ტომი და ჯერი"
21.30 მთავარი თემა
22.15 მხ. ფილმი "არასოდეს არ გამოელაპარაკო უცხოს" მთ. როლში ანტონიო ბანდერასი, რებეკა დე მორნეი

00.40 მხ.ფილმი "უკანასკნელი ქალი" მთ.როლებში ჟერარ დეპარტიე, ორნელა მუტი

### აჭარის ტელევიზია

09.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 "მსოფლიოს თასი-2002"
09.40 სათავგადასავლო ფილმი "რთული ბავშვი_2"
11.10 დოკუმენტური ფილმი
12.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 ქართული ფილმი "ვინ არის მეოთხე"
13.40 ვესთერნი "მისური კლაკნილები"
16.15 მულტფილმები
17.20 დრამა "მომხრე და მოწინააღმდეგე"
19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი"
19.30 " Пресс-папье"
19.40 "მსოფლიო კინოს კლასიკა" "სიკვდილზე ცივი სიყვარული"
21.05 კომედია "მახე მაესტროსათვის" 2 სერია
22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
23.00, 01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
23.05 "მსოფლიოს თასი-2002"
23.15 დოკუმენტური ფილმი
01.05 თრილერი "მეცხრე სესია"
03.30 მელოდრამა "ჰოლივუდის პრინცესა"

### VII არხი

09.00 ანონსი
09.05 ამინდის პროგნოზი
09.10 აფიშა
09.15 მუსიკალური ტაიმაუტი
09.35 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
09.50 "აჩიკუდა"
10.15 "სახლიდან გაუსვლელად"
10.30 მოკლედ... სპორტი
10.35 "ფაქტი, აზრი, კომენტარი" (განმეორებით)
10.45 მუსიკალური ბიორითმი - ალსუ
11.15 მულტსერიალი
11.30 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები
11.50 დოკ.ფ. "ბრძოლა წესების გარეშე"
12.10 დისნეი და მისი მეგობრები
12.30 "სახლიდან გაუსვლელად"
13.00 სპორტი
13.15 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
18.10 პრესა
18.25 სპორტული ინფორმაცია
18.35 "სახლიდან გაუსვლელად"
18.50 მუსიკალური ტაიმაუტი
18.55 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები
19.00 "აჩიკუდა"
19.30 მოკლედ... საინფორმაციო გამოშვება
19.40 "პაემანი"
20.40 მსოფლიო ჩემპიონატის მიმოხილვა
21.20 მუსიკალური ობიექტივი
21.45 მოკლედ... ასტროლოგიური პროგნოზი
21.50 მოკლედ... სპორტი
22.00 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
22.10 "კინოკლუბი" - მხ.ფილმი "შხეფი" .
23.55 პრესის მიმოხილვა
00.10 დოკ.ფ. "ბრძოლა წესების გარეშე"
00.30 მოკლედ... საინფორმაციო გამოშვება
00.45 "სახლიდან გაუსვლელად"
01.00 მუსიკალური ბიორითმი - ალსუ
01.20 მხ.ფ. ჟანრებში: - "სრულყოფილი მკვლელები"
02.55 პრესის მიმოხილვა

### ОРТ

07.00 “Доброе утро”.
10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости.
10.15, 19.20 Сериал “семейные узы”
11.10 х.ф. "РОМАН В РУССКОМ СТИЛЕ"
13.15 Ералаш
13.30 Док. фильм "Явка с повинной".
14.00 х.ф."УКАЗУЮЩИЙ ПЕРСТ" 1-я с.
15.00 "Народ против". Телеигра.
16.20 Дисней-клуб.
16.45 Программа "Объектив"
17.00 х.ф. "ЗИМНЯЯ ВИШНЯ" 7-я с.
18.00 Большая стирка
20.15 х.ф. "СИЛА ОДИНОЧКИ"
22.00 Время.
22.35 "Русская рулетка"
23.25 Человек и закон
00.05 "Секретные материалы"
01.00 Ночное "Время"
01.30 х.ф. "ИГЛА"
03.05 "ФИРМЕННЫЙ РЕЦЕПТ".

### РТР

06.50, 07.50, 08.50, 09.50, 19.20, 21.35, 00.20 Вести-Москва
07.00, 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.30, 21.00 Вести.
07.10 “Православный календарь”.
07.15, 08.30 Семейные новости
07.25, 09.10 Дежурная часть
07.30, 19.10 Афиша
07.40, 23.45 Дорожный патруль
08.10 Экспертиза РТР
08.20 Национальный доход
08.25 Вести-спорт
08.40 "Пролог" часть 1-я.
09.15 Открытая таможня
09.40 "Пролог" часть 2-я.
10.10 Вокруг света.
11.00 Сериал "ВЕЧНЫЙ ЗОВ"
12.20 х.ф. "ПОСЛЕДНЕЕ ДЕЛО ВАРЕНОГО"
13.55 Мульфильмы.
14.30 Сериал "СИБИЛЛ".
15.20 Сериал “дикий ангел”
16.20 "ПУАРО АГАТЫ КРИСТИ. УБИЙСТВО РОДЖЕРА АКРОЙДА"
18.50 Сериал “ДРУЗЬЯ-4”
19.50 Сериал “комиссар рекс”
20.50 Спокойной ночи, малыши!
21.55 "АГЕНТСТВО НЛС"
22.50 х.ф."КОБРА. ГРУЗ". 4-я ч.
00.00 Вести - Подробности
00.30 х.ф. "ТАБУ"
02.35 х.ф. "ЧЕЛОВЕК ПРОТИВ КИБОРГА".

### НТВ

07.05 Утро на НТВ
09.50 х.ф. "ПОЛИЦЕЙСКИЕ. ЗАЧИСТКА ОГНЕМ"
11.00, 13.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00, 01.00 Сегодня.
11.25 "Криминальная Россия"
11.55 Шоу Елены Степаненко.
13.20 фильм "ФРОНТ ЗА ЛИНИЕЙ ФРОНТА" 2-я с.
15.05 “Продолжение следует...”
16.00 Пепси-чарт. 16.40,
19.40 Криминал
17.30, 21.45 х.ф. "НА УГЛУ, У ПАТРИАРШИХ"
18.35 Сериал "ГРЯЗНАЯ РАБОТА"
20.35, 01.20 х.ф. "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ"
23.35 Герой дня.
23.55 Совершенно секретно.
02.20 "О, Счастливчик!". Игра.

TV პროგრამები მოგვაწოდა სააგენტო "ინფოზავრმა"

მისამართი: ვაჟა-ფშაველას 54, მე-14 სართული. ტელ: 32 23 71
იბეჭდება გამომცემლობა "სამშობლოს" სტამბაში